

საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი  
დიპლომატია და სამართალი

INTERNATIONAL SCIENTIFIC JOURNAL  
DIPLOMACY AND LAW



**N1-2 (11)**  
**2024**



ახალი უმაღლესი სწავლებელი - ნიუნუნი  
NEW HIGHER EDUCATION INSTITUTE - NEWUNI

რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი

**დიპლომატია და სამართალი**

ISSN 2449-2655

№1-2(11)2024

International Scientific Peer-Reviewed Journal

**Diplomacy and Law**



გამომცემლობა „ნიუნუნი“

საქართველო, თბილისი 2024

Georgia, Tbilisi 2024

UDC (უკ) 327+341.7

ჟურნალ „ლიკლომატია და სამართლის“ სარედაქციო საბჭო:

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე, მთავარი რედაქტორი**

**თამარ გარდაფხაძე** – სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის აფილირებული პროფესორი, საქართველოს სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის რექტორი

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რედაქტორი**

**დავით გეფერიძე** – საერთაშორისო სამართლის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი

**სარედაქციო საბჭოს წევრები:**

**ანა ანტჩაკ-ბარზანი** – ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი, ფინანსებისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების კათედრის გამგე (პოლონეთი, ვარშავა);

**ანატოლი ფრანცუზი** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის სამართლის დისციპლინების კათედრის გამგე (უკრაინა, კიევი);

**მამუკა მდინარაძე** – სამართლის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს პარლამენტის წევრი;

**მარია ტაციუ** – სამართლის დოქტორი, ლექტორი ფინანსურ და კორპორატიულ სამართალში, უკლანის უნივერსიტეტში (კვიპროსი, ლარნაკა)

**კახი ყურაშვილი** – სამართლის დოქტორი, ნიუ ვიქენ უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**სერგი კაპანაძე** – საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

**ავთანდილ ხაზალია** – სამართლის დოქტორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;

**სიმონე ჯომეტი** – ეკონომიკის დოქტორი, რომუალდო დელ ბიანკოს (ფლორენცია, იტალია) ფონდის გენერალური მდივანი;

**გულნარა იმედაშვილი** – ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი;

**ანნა მარუაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის აფილირებული პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;

**ქეთევან ჯიჯეიშვილი** – პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**მანანა ალადაშვილი** – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**მანანა ნანიტაშვილი** – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ნონა ახალაშვილი** – ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;

**ლალი გარდაფხაძე** – განათლების დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუუნის აფილირებული პროფესორი

**ქართული ტექსტის კორექტორი – ზურაბ სანადირაძე**

**ინგლისური ტექსტის კორექტორი – სოფიო მორალიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი**

ISSN 2449-2655

© ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნი, 2024

გამომცემლობა „ენიპერსალი“, 2024

თბილისი, U186, ა. პოლიტეკოვსკაიას 4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com



UDC (უკჯ) 327+341.7

Editorial Board of the journal *Diplomacy and Law*

**Editor-in-Chief**

**Tamar Gardapkhadze** – Doctor of Law, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI, Academician of the Georgian Academy of Social Sciences, Rector of New Higher Education Institute – NEWUNI

**Deputy Editor-in-Chief**

**David Geperidze** – Doctor of Law, Academician of the National Academy of Sciences of Abkhazia, Affiliated Professor at Gori State University

**Editorial Board**

**Anna Antczak-Barzan** – Doctor of Philosophy, Professor, Head of the Department of International Relations at University of Finance and Management in Warsaw;

**Anatoli Francuz** – Doctor of Law, Professor, Head of the Department of Law at Kiev University of Economics and Law;

**Mamuka Mdinardze** – Doctor of Law, Professor, Member of the Parliament of Georgia;

**Maria Tatsiou** – PhD of Law, Lecturer in Financial and Corporate Law at UCLan Cyprus.

**Kakhi Qurashvili** – Doctor of Law, Affiliated Professor at New Vision University;

**Sergi Kapanadze** – Doctor of International Relations, Professor, Illia State University;

**Avtandil Khazalia** – Doctor of Law, Academician of the Abkhazian National Academy of Sciences, Affiliated Professor at Sokhumi State University;

**Simone Jiometti** – PhD in Economics, General Secretary of Romualdo Del Bianco Foundation (Florence, Italy);

**Gulnara Imedashvili** – Doctor of Business Administration, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI, Head of the Scientific Research Center of New Higher Education Institute – NEWUNI

**Anna Maruashvili** – Doctor of Economics, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI, Vice Dean of the Faculty of Business, Law and Social Sciences at New Higher Education Institute – NEWUNI;

**Ketevan Jijeishvili** – Doctor of Politics, Professor, Head of the Bachelor’s Program in International Relations at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Manana Aladashvili** – Doctor of Business Administration, Professor, Head of the Bachelor’s Program in Tourism at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Manana Nanitashvili** – Doctor of Economics, Professor, Head of the Bachelor’s Program in Business Administration at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Nona Akhalashvili** – Doctor of Psychology, Professor, Head of the Bachelor’s Program in Psychology at New Higher Education Institute – NEWUNI School of Business, Law and Social Sciences;

**Lali Gardapkhadze** – Doctor of Education, Affiliated Professor at New Higher Education Institute – NEWUNI

**Georgian Text Editor – Zurab Sanadiradze**

**English Text Translator and Editor – Sophio Moralishvili, Doctor of Philology**

*ISSN 2449-2655*

© New Higher Education Institute – NEWUNI, 2024

Publishing House “UNIVERSAL”, 2024

4, A. Polictkovskaia., 0186, Tbilisi, Georgia ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

აკრძალულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში „დიპლომატია და საერთაშორისო სამართალი“ გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება სარედაქციო საბჭოს წერილობითი ნებართვის და წყაროს მითითების გარეშე.  
წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი მოსაზრებანი ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მის ავტორებს და არ წარმოადგენს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის პოზიციას ან პოლიტიკას.



*The opinions expressed in this publication are those of the author and do not necessarily reflect views or policies of the International Scientific Journal "Diplomacy and Law".*

*No part of this publication may be reproduced or transmitted in any form or by any means, electronic or mechanical, including photocopying, recording, or dissemination without prior written permission of the editorial board or without citing the source.*

დამფუძნებელი –

ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნი [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

თანადამფუძნებლები:

ვარშავის ფინანსებისა და მართვის უნივერსიტეტი [vizja.pl](http://vizja.pl)

საქართველოს უნივერსიტეტების ასოციაცია [sua.ge](http://sua.ge)

საერთაშორისო სამართლის ასოციაცია [intlaw.ge](http://intlaw.ge)

Founder – New Higher Education Institute [newuni.edu.ge](http://newuni.edu.ge)

Co-founders:

University of Finance and Management of Warsaw [vizja.pl](http://vizja.pl)

Association of Georgian Universities [sua.ge](http://sua.ge)

Association of International Law [intlaw.ge](http://intlaw.ge)



# სარჩევნი

## სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობები

თამარ გარდაფხაძე, ია ხარაზი  
კეთილსინდისიერი შეძენის მიერ არაუფლებამოსილი პირის მიერ მასზე  
გასხვისებული ნივთის შეძენისას წარმოშობილი პრობლემების შესახებ  
(სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე) ..... 7  
Tamar Gardapkhadze, Ia Kharazi  
ON ISSUES ARISING FROM THE ACQUISITION OF PROPERTY SOLD BY AN UNAUTHORIZED PERSON  
TO A BONA FIDE PURCHASER (BASED ON AN ANALYSIS OF COURT PRACTICE)..... 21

დავით გეფერიძე, ნინო კალატოზიშვილი  
ავიაგადამზიდველის პასუხისმგებლობის ზოგიერთი საკითხი მონრეალის 1999 წლის  
კონვენციის ფარგლებში ..... 33  
Davit Geperidze, Nino Kalatozishvili  
SOME ISSUES OF THE AIR CARRIER'S LIABILITY UNDER THE FRAMEWORK OF THE 1999 MONTREAL  
CONVENTION ..... 39

ია ხარაზი, თამარ გარდაფხაძე  
ფულადი ვალდებულების პროცენდი, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა (თეორიული  
და პრაქტიკული ასპექტები) ..... 44  
Ia Kharazi, Tamar Gardapkhadze  
THE INTEREST ON MONETARY OBLIGATION AS A FORM OF RESPONSIBILITY (THEORETICAL AND  
PRACTICAL ASPECTS)..... 68

ქეთი ჯიჯეიშვილი, სოფიო გორგილაძე  
დონალდ ტრამპი და საარჩევნო მანიპულაციები ..... 80  
Keti Djijeishvili, Sofio Gorgiladze  
DONALD TRUMP AND ELECTION MANIPULATIONS ..... 84

ნანა ციხისტავი, თამარ კოპალეიშვილი  
თორღვა პანკელი – კოხტასტავის შეთქმულების გმირი თუ ქართული სახელმწიფოს  
მტელაბაბა!? ..... 88  
Nana Tsikhistavi, Tamar Kopaleishvili  
THOROVA PANKELI – THE HERO OF THE KOKHTASTAVI CONSPIRACY OR A TRAITOR TO THE GEORGIAN  
STATE!? ..... 95

ნანა ბახსოლიანი, სალომე ქავთარაძე  
ორი გერმანია – ორ ბანაკში წარმოებული პოლიტიკა (გფრ, გდრ) ..... 102  
Nana Bakhsoiani, Salome Kavtaradze  
TWO GERMANYS – THE POLICY MADE IN TWO CAMPS (GFR, GDR) ..... 108

თამთა ტყეშვილი  
საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორები და ჩინეთთან ეკონომიკური  
დაახლოების პოლიტიკური ეფექტი ..... 113  
Tamta Tcheishvili  
GEORGIA'S FOREIGN-POLITICAL VECTORS AND THE POLITICAL EFFECT OF ECONOMIC  
RAPPROCHEMENT WITH CHINA ..... 117

ნანა ციხისტავი, თამარ კოპალეიშვილი  
იეზუიტების ორდენი და ეკონომიკა ..... 120  
Nana Tsikhistavi, Tamar Kopaleishvili  
THE JESUIT ORDER AND THE ECONOMY..... 128

## ეკონომიკა და ბიზნესის მიმართულება

მანანა ნანიტაშვილი სამომხმარებლო ქმედვის კანონზომიერებათა გამოკვლევა.....	135
Manana Nanitashvili RESEARCH OF CONSUMER BEHAVIOR PATTERNS.....	140
მანანა ალადაშვილი, ნათელა თუშიშვილი მდგრადი ტურიზმი, როგორც ურთიერთობის ახალი ტიპი „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში.....	144
Manana Aladashvili, Natela Tushishvili SUSTAINABLE TOURISM AS A NEW TYPE OF RELATIONSHIP IN THE DEVELOPMENT OF A “GREEN ECONOMY” ....	156
მარინა ლუარსაბიშვილი ვენჩერული კაპიტალის ბაზარი – კაპიტალის თანამედროვე ალტერნატიული ბაზრის ელემენტი.....	167
Marina Luarsabishvili VENTURE CAPITAL MARKET – MODERN CAPITAL ALTERNATIVE MARKET ELEMENT.....	171
ასმათ შამუგია HR შესაბამისობის მნიშვნელობა დამსაქმებლისთვის და დასაქმებულისთვის .....	174
Asmat Shamugia IMPORTANCE OF HR COMPLIANCE FOR EMPLOYER AND EMPLOYEE.....	179
მაია გელაშვილი შემოსავლების უთანასწორობის ეკონომიკური შედეგი საქართველოში .....	184
Maia Gelashvili ECONOMIC IMPACT OF INCOME INEQUALITY IN GEORGIA.....	190
ნაირა ღვედაშვილი, გულნარა იმედაშვილი მენეჯმენტის აქტუალური პრობლემები.....	195
Naira Ghvedashvili, Gulnara Imedashvili CURRENT PROBLEMS OF MANAGEMENT .....	199

## ჰუმანიტარული მეცნიერებები

თეა ლორთქიფანიძე ქვემოთქმული მორფოლოგიური პროცესთა ანალიზი.....	203
Tea Lortkipanidze ANALYSIS OF THE MORPHONOLOGICAL PROCESSES OF THE SUBLIMINAL.....	207
ზურაბ სანადირაძე, ირინე არჯევანიძე ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ასპექტები და თანამედროვე რეალობის საქართველოში .....	210
Zurab Sanadiradze, Irine Arjevanidze ASPECTS AND CONTEMPORARY REALITIES OF TEACHING GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE IN GEORGIA .....	213
მარინე დონგუზაშვილი პარიზის, როგორც მოდერნიზაციის ქალაქის პარადიგმა ფრენსის სკოტ ფიტჯერალდის პროზაში .....	216
Marine Donguzashvili THE PARADIGM OF PARIS AS A MODERNIST CITY IN THE PROSE OF F. SCOTT FITZGERALD .....	218
სამეცნიერო სიახლენი ჟურნალი „დიპლომატია და სემარტლის“ სარედაქციო საბჭო .....	220
Scientific news EDITORIAL BOARD OF THE JOURNAL “DIPLOMACY AND LAW” .....	221



# საპარტილოსა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

**თამარ გარდაფხაძე**  
სამართლის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის  
ავილირებული პროფესორი

**ია ხარაზი**  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული და აწესს მოწვეული პროფესორი

## კეთილსინდისიერი შემძენის მიერ არაუფლებამოსილი პირის მიერ მასზე გასხვისებული ნივთის შეძენისას წარმოშობილი პრობლემების შესახებ (სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე)

### ანოტაცია

სტატიამი განსახილველ პრობლემას აქვს სამი უკიდურესი გადაწყვეტა: დააკისროს ყველა რისკი შესაძლო მეცდომასთან დაკავშირებით მესაკუთრეს, ასევე, დააკისროს ყველა რისკი მყიდველს, და ბოლოს, აღმოფხვრას ყველა რისკი რეგისტრაციის სისტემისა და აღრიცხვის დახმარებით, ყველა უფლება გახდეს აშკარა და შემოწმებადი.

ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედება დაკავშირებულია მთელი რიგი გარემოებების არსებობასთან: 1) შემძენი კეთილსინდისიერია: გულისხმობს კეთილსინდისიერებას გამსხვისებლის, როგორც მესაკუთრის მდგომარეობასთან მიმართებით. აღნიშნული მოძრავ ნივთთან დაკავშირებით გულისხმობს, გამსხვისებლის მიერ ნივთის ფლობას, ხოლო უძრავთან – მისი, როგორც მესაკუთრის დაფიქსირებას მარეგისტრირებელ ორგანოში; 2) ნივთის გამსხვისებელსა და შემძენს შორის დადებულია გარიგება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების გადაცემისკენ; 3) გარიგება სასყიდლიანია; 4) შემძენს, ფაქტობრივად, გადაცემული აქვს ნივთი, რომელიც არ არის ბრუნვიდან ამოღებული ან ბრუნვაში შეზღუდული; 5) ნივთი გამოსულია მართლზომიერი მფლობელის ხელიდან მისი ნებით.

აზრი, რომლითაც შემძენი ვალდებულია შეამოწმოს გამსხვისებლის უფლება, დღეისათვის საკმაოდ აქტუალურია, მით უმეტეს, უძრავი ნივთის მიმართ, რომელზეც საკუთრების უფლება გადადის მხოლოდ სახელმწიფო რეგისტრაციის შემდეგ. საერთოდ, სახელმწიფო რეგისტრაციის სისტემა, უფლების გადასვლა უძრავ ქონებაზე, შემოღებულია ყველა უფლების გამჭვირვალობის მიზნით უძრავ ქონებაზე, და საბოლოოდ, გამოირიცხოს ვინდიკაციის შეზღუდვის შემთხვევები უძრავ ქონებაზე. უძრავი ქონების მიმართ სარეგისტრაციო წესრიგს შემოაქვს მესაკუთრეების პირდაპირი აღწერა, რის შედეგად ყველა პრეზუმფციები, რომლებსაც ახლა ეწინააღმდეგება უტყუარი მტკიცებულებები, კარგავენ აზრს. საჯარო რეესტრში რეგისტრაციის ფაქტი ადასტურებს ქონებაზე უფლების წარმოშობასა და სახელმწიფოს მიერ საჯარო აქტით დადასტურების გზით გარანტირებულს ხდის უფლების ნამდვილობას. სამოქალაქო კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, რეგისტრაციის აქტი – ეს არის საჯარო დადასტურება სამოქალაქო გარიგების საფუძველზე წარმოშობილი უფლების ნამდვილობისა.



სტატიიში ასევე საუბარია „უმცირესი ბოროტების“ თეორიის არსზე, რომელიც მდგომარეობს იმ-აში, რომ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ერთი მხარის სასარგებლოდ, მეორე მხარეს მოუტანოს, რაც შეიძლება მცირე ზიანი, ე. ი. დავა წყდება იმ მხარის სასარგებლოდ, რომელსაც უფრო ნაკლები შანსი აქვს დაიცვას თავისი ქონებრივი ინტერესები არაკეთილსინდისიერი გამსხვისებლის ხარჯზე და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** არაუფლებამოსილი პირი; უფლებამოსილი პირი; წარმომადგენელი; სესხის ხელშეკრულება; იპოთეკა; ვინდიკაცია; მესაკუთრის ბრალულობის თეორია; უმცირესი ბოროტების თეორია.

## კეთილსინდისიერი შეძენის მიერ არაუფლებამოსილი პირის მიერ მასზე გასხვისებული ნივთის შეძენისას წარმომობილი პრობლემების შესახებ (სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე)

სამოქალაქო სამართალში საკმაოდ ხშირად გვხვდება ქონების შეძენა არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან. არაუფლებამოსილი გამსხვისებელი შეიძლება იყოს, მაგალითად, სისხლის სამართალში ქურდი, მძარცველი და ა.შ., რომელმაც მოიპარა სხვისი ნივთი, ან ვთქვათ პირი, რომელმაც დაკარგული ნივთი იპოვა და კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას, ეს ნივთი მის კანონიერ მფლობელს არ დაუბრუნა. ასევე, არაუფლებამოსილი შეიძლება იყოს პირი, რომელიც იმყოფება მესაკუთრესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომლებიც არ ითვალისწინებდნენ ქონების გასხვისებას, მაგალითად დამქირავებელი ან მეიჯარე გაასხვისებს მას სხვა პირებზე მესაკუთრის ნებართვის გარეშე, წარმომადგენელი ან საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც ასხვისებს ქონებას უფლებამოსილების დარღვევით, მისთვის მინდობილობით ან დამფუძნებელი საბუთებით გადაცემული უფლებებიდან გამომდინარე.

არაუფლებამოსილ პირში იგულისხმება, როგორც არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელსაც თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება ან დაკარგა ეს უფლება და ვალდებულია დაუბრუნოს ნივთი უფლებამოსილ პირს...{1}. რაც შეეხება არაუფლებამოსილ, არაკეთილსინდისიერ მფლობელს, კანონი მის მიმართ მეტ სიმკაცრეს იჩენს, რამეთუ, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს, როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალუვლად არ მიიღო.... {2}.

არაუფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს არასრულწლოვანის მშობლები, რომლებიც ასხვისებენ მათ ქონებას კანონით დადგენილი პროცედურების გარეშე, – მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გარეშე. ეს შემთხვევები აერთიანებს იმას, რომ ქონება იყო გასხვისებული წარმოდგენილი მესაკუთრის ან კანონით დადგენილი წესებით დადგენილი უფლებამოსილების დარღვევით.

ამგვარი საქმეების გადაწყვეტის პრაქტიკამ გამოიწვია არაერთი დავა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა არაუფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით. ა-ს სარჩელზე, რომლითაც იგი მიმართავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხეების ლ.მ-სა და მ. ნ-ის მიმართ და მოითხოვდა ნოტარიუს ლ. ბ-ის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის გაუქმებას (სარჩელის ფაქტობრივ გარემოებად მითითებული იყო, რომ ნ. ა-ესა და ლ. მ-ეს შორის მ. ნ.-ს შუამავლობით გაფორმდა სანოტარო აქტი სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაზე (2012 წლის 30. 04), რომლის საფუძველზე ლ. მ-ემ, როგორც იპოთეკარმა, ნ. ა-ეს, როგორც მესაკუთრეს სესხად გადასცა 55 000 აშშ დოლარი, 2 თვის ვადით, 4% სარგებლის გადახდის პირობით. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ნ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონება. მხარეები შეთანხმდნენ, რომ საპროცენტო სარგებელს მოსარჩელე გადაიხდიდა შუამავალ მ. ნ.-თან. მ-ის მოთხოვნით ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, რომელშიც აღსასრულებელი ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა შემდეგნაირად: სესხის ძირითადი თანხა 55 000 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო 12013 წლის 01 აგვისტოდან 1800 დოლარი.

მოსარჩელის განმარტებით, მას შუამავალ მ. ნ-ის მეშვეობით, გადახდილი აქვს, როგორც სარგებელი, ისე, ძირითადი თანხა.....

საბოლოოდ, საქმე საკასაციო წესით უზენაესმა სასამართლომ განიხილა, მან სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლით განმარტა, რომ განსახილველი ნორმა ითვალისწინებს, უფლებამოსილი პირის მიმართ ვალდებულების შესრულებას, თუმცა ნორმის სწორი განმარტების მიზნისათვის, პირველ რიგში, იგი განხილულ უნდა იქნეს მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებთან ერთობლიობაში..... იმის გათვალისწინებით, რომ სკ-ის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულების შესრულების წესი სადავო ურთიერთობის მიხედვით ეხება სასებო ვალდებულების შესრულებას, მისი ნამდვილობა უნდა დადგინდეს სასესხო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი წესების დაცვით. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება გაფორმდა შუამავლის მეშვეობით, მოვალეს/მსესხებელს ნაკისრი ვალდებულება მაინც კრედიტორის/გამსესხებლის წინაშე უნდა შეესრულებინა, რადგან რაიმე მითითებას შუამავლისათვის ძირითადი თანხის გადაცემის თაობაზე ხელშეკრულება არ შეიცავდა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შესრულების მიღების ადრესატის განსასაზღვრად..... მოცემულ გადაწყვეტილებაში, საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა ვალდებულების სუბიექტებსა და ვალდებულების შესრულების სუბიექტებზე და განმარტა, რომ ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ, სხვამ. როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმა, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე. ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას ვალდებულებას – მოვალე თუ მესამე პირი. მისთვის მთავარია მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, არა მხოლოდ ის, თუ ვინ ასრულებს ვალდებულებას, არამედ ისიც, თუ ვის მიმართ ხდება შესრულება. საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ სკ-ის 373-ე მუხლით... განსაზღვრულ წრეში, ვის მიმართაც ვალდებულების შესრულების მიმღებ პირში არა მარტო კრედიტორი მოიაზრება, ასევე, ასეთი პირები შეიძლება იყოს კანონისმიერ ან სახელშეკრულებო წარმომადგენელი, შესრულებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლო გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს. საკასაციო პალატის განმარტებით, მეტად მნიშვნელოვან...სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს ვალდებულების შესრულება არაუფლებამოსილი პირის მიმართ. თუ ეს არ ხდება კრედიტორის თანხმობით, მოვალის მიერ ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება. მოვალეს კი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება. თავის მხრივ, მოვალეს უფლება აქვს არაუფლებამოსილი პირის მიმართ განხორციელებული შესრულებისას მოითხოვოს მისგან შესრულებულის უკან დაბრუნება არა რეგრესული მოთხოვნის, არამედ უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლომ ლ. მ.-ის საჩივარი დააკამყოფილა, ხოლო, შესაბამისად, ნ. ა.-ის სარჩელი დაუკამყოფილებლად ცნო (სკ. 976){3}.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ავტომანქანის, როგორც მოძრავი ნივთის, შეძენისას საკუთრების უფლების წარმოშობისა და უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით{4}.

საქმის ფაქტობრივი გარემოებები კი შემდეგი იყო: დ. გ.-მ დ. ბ.-საგან შეიძინა ავტომანქანა, რომელიც შემდგომ გ. დ-ს მიჰყიდა. სსიპ შემოსავლების სამსახურმა აღნიშნული ავტომანქანა გ. დ-ს ჩამოართვა იმ მიზეზით, რომ ავტომანქანა ირიცხებოდა დ. ბ-ის სახელზე, რომელსაც შემოსავლების სამსახურის მიმართ დავალიანება გააჩნდა. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლით დადგენილია მოძრავი ნივთის შეძენის წესი, რომ საკუთრების გადასაცემად აუცილებელია მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილით, კანონმდებლობით ამომწურავადაა დადგენილი შემთხვევები, საკუთრების უფლების გადაცემის იურიდიული შედეგის დადგომისათვის რა განიხილება ნივთის გადაცემად,

კერძოდ, ნივთის გადაცემა ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ნასყიდობის საგანზე უფლებრივი ნაკლის არსებობის გარკვევის მიზნით, დადგენილ უნდა იქნეს, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ ავტომატურად დაყენების დროისათვის დ. ბ-ი იყო თუ არა მოძრავი ნივთის მესაკუთრე. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გვეცეს, რამეთუ მხარეთა შორის სადავო არ არის გარემოება, რომ ავტომატურად დ. ბ-მ მფლობელობაში გადასცა დ. გ-ს, ხოლო დ. გ-მ გ. დ-ს. ასევე, დადგენილია ნივთის ღირებულების გადახდის ფაქტი, რაც უდავოდ მოწმობს, რომ დ. ბ-ს, მას შემდეგ, რაც ნივთი დ. გ-ს გადასცა, ამ ნივთზე საკუთრების უფლება აღარ გააჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ შსს მომსახურების სააგენტოში ნივთი კვლავ დ. ბ-ს სახელზე ირიცხებოდა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძვლები ამომწურავადაა დადგენილი სკ-ით, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივ რეჟიმს. სკ-ის 186-197-ე მუხლებით განსაზღვრულია რა, მოძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები, ეს წესი თანაბრად ვრცელდება ყველა მოძრავ ნივთზე და არ ადგენს მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების სავალდებულო რეგისტრაციას. რეგისტრაციის განხორციელება არ წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ აქტს, იგი მხოლოდ საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამართლებრივ საფუძველს ქმნის და თავისი არსით ადმინისტრაციული სამართლის სფეროს განეკუთვნება[5]. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა, რომ დ. ბ-სა და დ. გ-ს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადგენისას, ან 2009 წლის 21 ივლისს, გ. დ-ის მიერ ავტომობილის შეძენის დროისათვის, ნივთზე სსიპ შემოსავლების სამსახურს პრეტენზია გააჩნდა, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადგენის დროისათვის ნივთზე უფლებრივი ნაკლის არსებობა დადგენილი არ იყო. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სკ-ის 491-ე მუხლით განმტკიცებულია მყიდველის უფლება, ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა, თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ამ უფლების რეალიზაციისათვის კანონით ვაა დადგენილი მისი გამოყენების წინაპირობები. აღნიშნული ნორმის თანახმად, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლიდან გამომდინარე. ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების თანმდევი შედეგის – მხარეთა ორმხრივი რესტიტუციისათვის, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს და დაამტკიცოს: მოპასუხის მიერ ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევისა და ვალდებულების შესრულების თაობაზე კრედიტორის (მოსარჩელის) მიერ მოვალის გაფრთხილების ან მისთვის დამატებითი ვადის დაწესების ფაქტი (სკ-ის მ. 405.ნ.1.). სკ-ის 352-ე მუხლის (რომელიც განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივ შედეგს), გამოყენება დაიშვება მხოლოდ სკ-ის 405-ე მუხლთან ერთობლიობაში, რომელიც ხელშეკრულებიდან გასვლის წესისა და სავალდებულო პირობების მარეგულირებელ დანაწესს წარმოადგენს[6].

## ვინდიკაციის შეზღუდვის აუცილებლობა

სტატიაში განსახილველ პრობლემას აქვს სამი უკიდურესი გადაწყვეტა: 1. დააკისროს ყველა რისკები შესაძლო შეცდომასთან დაკავშირებით მესაკუთრეს; 2. დააკისროს ყველა რისკები მყიდველს და ბოლოს 3. აღმოფხვრას ყველა რისკები რეგისტრაციის სისტემის და აღრიცხვის დახმარებით, ყველა უფლება გახდეს აშკარა და შემოწმებადი.

ვინდიკაციის შეზღუდვის წესის მოქმედება დაკავშირებულია მთელი რიგი გარემოებების არსებობასთან: 1) შემძენი კეთილსინდისიერია: გულისხმობს კეთილსინდისიერებას გამსხვისებლის, როგორც მესაკუთრის მდგომარეობასთან მიმართებით[7]. აღნიშნული მოძრავ ნივთთან დაკავშირებით გულისხმობს, გამსხვისებლის მიერ ნივთის ფლობას, ხოლო უძრავთან – მისი, როგორც მესაკუთრის დაფიქსირებას მარეგისტრირებელ ორგანოში; 2) ნივთის გამსხვისებელსა და შემძენს შორის დადებულია გარიგება, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების გადაცემისკენ; 3) გარიგე-

ბა სასყიდლიანია; 4) შემძენს ფაქტობრივად გადაცემული აქვს ნივთი, რომელიც არ არის ბრუნვიდან ამოღებული ან ბრუნვაში შეზღუდული; 5) ნივთი გამოსულია მართლზომიერი მფლობელის ხელიდან მისი ნებით{8}.

საქართველოს სკ-ის 187-ე მუხლის I ნაწილის I წინადადებით{9}: შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, პირდაპირ კავშირშია კოდექსისეულ ნორმასთან, რომელიც მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფციას განამტკიცებს – ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე (158-ე მუხლის I ნაწილი). ორივე ზემოხსენებული ნორმა უზრუნველყოფს მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესების დაცვასა და სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებასა და სიმტკიცეს. ამასთან, თუ 187-ე მუხლის I ნაწილის I წინადადება ამ მუხლის მეორე ნაწილისგან დამოუკიდებლად იქნებოდა გააზრებული, მაშინ ნებისმიერი ბათილი განკარგვა გამსხვისებლის არაუფლებამოსილების გამო, ნამდვილი იქნებოდა და კეთილსინდისიერი შემძენი ყოველთვის შეიძენდა საკუთრებას. სწორედ, ამ მუხლის მეორე ნაწილის ფუნქციაა დააკონკრეტოს, თუ რა გარემოებების არსებობისას ხდება ნივთის კეთილსინდისიერი შემძენი მესაკუთრე და როდის არ დადგება ეს შედეგი. სამოქალაქო კოდექსში განხორციელებული ცვლილების (28.12.2011.) შედეგად, 187-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება ასე ჩამოყალიბდა: კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო{10}.

უზენაესმა სასამართლომ სკ-ის 187-ე მუხლი სწორად განმარტა და მიუთითა შემდეგ გარემოებაზე, რომ თუ ნივთი მესაკუთრის ხელიდან მისი ნების გარეშე გამოვა, ახალი მფლობელი ვალდებული იქნება, რომ ნივთი კვლავ მესაკუთრეს დაუბრუნოს.

მართებულად მიუთითებს ქ. ქოჩაშვილი რომ: ეს დანაწესი პირდაპირ არ მიუთითებს მოძრავი ნივთის კეთილსინდისიერი შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვების პირობებებზე, თუმცა აღნიშნული განსაზღვრულია ცივილისტურ დოქტრინაში, კერძოდ, მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნებით ნივთის გამოსვლა, ნივთის შექენა კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ, სასყიდლით შექენა. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირების მიღმა ლოგიკურად, სწორედ ეს გარემოებები მოიაზრება. მართებულია, ნორმის შემფარდებულმა აღნიშნული ნორმის გამოყენებისას გაითვალისწინოს, როგორც არსებული მოცემულობა, ისე მის მიღმა არსებული რეალური სინამდვილე {11}. ბ. ზოიძის მართებული მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლი არ არის მთლად სრულყოფილი და სამართლიანად იწვევს ცალკეულ შემთხვევაში კრიტიკას{12}. საქმე იმაშია, თუ მარტოოდენ აღნიშნული მუხლის შინაარსიდან ამოვალთ, ცალსახად იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითქოს კეთილსინდისიერი შემძენს ყველა შემთხვევაში რჩება საკუთრება ხელში, იმის მიუხედავად, თუ ვისგან შეიძინა. მთავარია შემდეგი გარემოებანი, კერძოდ, გამსხვისებელი იყოს არამესაკუთრე, შემძენი კი კეთილსინდისიერი. აქ არაფერია ნათქვამი არამესაკუთრე გამსხვისებლის ვინაობაზე იმაზე, თუ რა გზით მოხვდა მის ხელში ქონება. მის გაგება მხოლოდ 187-ე მუხლი მე-2 ნაწილიდან შეიძლება. თუმცა, აქაც მთლად რიგიანად ვერაა საქმე. კეთილსინდისიერების ცნება შერყეულია. კერძოდ, მოძრავი ნივთის შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთი დაკარგა, მოჰპარეს, ან მისი ნების საწინააღმდეგოდ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან, ანდა თუ შემძენმა ისინი უსასყიდლოდ მიიღო. აღნიშნული გზით ნივთების შექენა შეიძლება იყოს არამართო არაკეთილსინდისიერი (ვერ იქნება კეთილსინდისიერი), არამედ კეთილსინდისიერიც. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან ისე გამოდის, რომ ნივთის შექენის გზა განსაზღვრავს შექენის კეთილსინდისიერება-არაკეთილსინდისიერებას და არა შემძენის დამოკიდებულებას მის მიმართ. აქედან გამომდინარე, უმჯობესი იყო ნორმაში საკუთრების შექენაზე ყოფილიყო ყურადღება გამახვილებული{13}. დაახლოებით მსგავს დანაწესს შეიცავს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 935-ე პარაგრაფის დანაწესი, კერძოდ, §§ 932-934-ის საფუძველზე, საკუთრების შექენა არ ხდება, თუ ნივთი მესაკუთრეს მოჰპარეს, მან ნივთი დაკარგა ან ეს უკანასკნელი სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე მხოლოდ არაპირდაპირი მფლობელი იყო, ანალოგიური წესი მოქმედებს, როდესაც ნივთი გავიდა მფლობელის მფლობელობიდან. (2) ეს ნორმები არ გამოიყენება ფულის ან საწარ-

მდგენლო ფასიანი ქაღალდების მიმართ, ისევე, როგორც იმ ნივთების მიმართ, რომელთა გასხვი-  
ლება ხდება საჯარო აუქციონის ან §979-ის 1ა ნაწილის თანახმად ჩატრებული აუქციონის გზით{14}.

გერმანიის სკ-ის 934-ე მუხლის განმარტებით, ნორმა ორ შემთხვევას განსხვავებს, კერძოდ: 1. თუ  
გამსხვისებელი არის არაპირდაპირი მფლობელი, როდესაც არაპირდაპირი მფლობელობა სხვის-  
თვის საკმარისია, მაშინ კეთილსინდისიერი შემძენი ხდება მესაკუთრე მფლობელობის შუალედური  
ურთიერთობიდან გამომდინარე, მოთხოვნის უფლების დათმობით. აღნიშნულის წინაპირობაა ის,  
რომ პირდაპირ მფლობელს შეძენის ფაქტობრივი შემადგენლობის დასრულების მომენტში (ჯერ კი-  
დევ) აქვს ნება, ფლობდეს ნივთს არაპირდაპირი მფლობელისათვის ნივთის გამოთხოვის მოთხოვ-  
ნის უფლების დათმობის აღიარებით. მოთხოვნის დათმობით არაპირდაპირი მფლობელი კარგავს  
მფლობელობას, შემძენი კი მას იღებს (იხ. § 870). სადავო ხდება თუ არა კეთილსინდისიერი შეძენა  
ასევე შემდეგი გარემოებების თანხვედრისას: პირობადებული საკუთრების უფლებით მყიდველი გა-  
ასხვისებს ნივთს, მიუხედავად ჯერ კიდევ არსებული მაგ., ვ-ის პირობადებული საკუთრებისა, §929,  
930-ის შესაბამისად, კეთილსინდისიერი მესამე პირის გ-ს უზრუნველსაყოფად, რომელიც თავის  
მხრივ, უსაფრთხოებისთვის ასხვისებს მეოთხე პირზე დ-ზე. გერმანიის უმაღლესი ფედერალური სა-  
სამართლო სადარავი ჩარხის საქმეში (BGHD, 50,45) დაეთანხმა დ-ს მიერ ნივთის კეთილსინდისი-  
ერ შეძენას, § 934-ის შესაბამისად (და ამით ვ-ს მიერ საკუთრების უფლების დაკარგვას): მართალია,  
გ-ს კ-საგან მფლობელობის გადაცემის არარსებობისას არ შეეძლო საკუთრების უფლების შეძენა ( §  
933), თუმცა, მას მაინც შეეძლო კ-სათვის სინამდვილეში კუთვნილი სამომავლო უფლების მიღების  
მოთხოვნის უფლების შეძენა; ვინაიდან სამომავლო უფლების მიღების მოთხოვნის უფლება გადა-  
ცემულ იქნა, აღარ არსებობს კ-სა და გ-ს შორის მფლობელობის შუალობით ურთიერთობაში ეჭვის  
შეტანის საფუძველი (მაგ, § 139 ის გამო), ხოლო გ-ს შეეძლო, მფლობელობის შუალობითი ურთიერ-  
ობიდან გამომდინარე, კუთვნილი ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დ-სათვის დათმობა,  
რომელიც ამის შედეგად საკუთრების უფლებას კეთილსინდისიერად შეიძენდა. შედეგი უცნაურია  
იმდენად, რამდენადაც მეორე უზრუნველყოფის მიმღები დ, რომლის სასარგებლოდაც მოქმედებს  
§ 934, პირობითი საკუთრების ობიექტისაგან უფრო დამორებული იყო, ვიდრე პირველი უზრუნ-  
ველყოფის მიმღები გ, რომელსაც არ შეეძლო, § 933 ის შესაბამისად, საკუთრების უფლების შეძენა.  
თუმცა, უმაღლესი ფედერალური სასამართლო ეთანხმება ამ კანონით გათვალისწინებულ შედეგს,  
ვინაიდან § 933 სა და § 934 ს შორის სხვაობისათვის შესაძლებელია შეთანხმებულ საკანონმდებ-  
ლო საფუძველზე მითითება. კერძოდ, კანონი გამოდის არაპირდაპირი მფლობელობის პირდაპირ  
მფლობელობასთან გათანაბრების პოზიციიდან და კეთილსინდისიერი შეძენისათვის საკმარისად  
მიიჩნევს იმას, რომ გამსხვისებელი თავის მფლობელობას სრულად ფლობს; ეს წინაპირობა მიღ-  
წეულია მხოლოდ § 934 ის შემთხვევაში, თუმცა, – მფლობელობის არარსებობის გამო – არა § 933  
ის შემთხვევაში. 2. თუ გამსხვისებელი არ არის არაპირდაპირი მფლობელი, მაშინ კეთილსინდისიე-  
რი შემძენი ხდება მესაკუთრე, როდესაც მესამე პირი მას გასხვისების აღიარების მიზნით გადასცემს  
მფლობელობას და, მაგ., ახალი მფლობელობის შუალედურ ურთიერთობას ამყარებს მასთან. ეს  
მოქმედებს ასევე სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც, როდესაც მესამე პირი თამაშობს ორმაგ თა-  
მამს და მას სურს, ხელი შეუწყოს არა მხოლოდ შემძენის მფლობელობას, არამედ თავად ცდილობს  
თავდაპირველ მესაკუთრესთან მფლობელობით-სამართლებრივი ურთიერთობის შენარჩუნებას.  
მაგ., ვ-მ კ-ზე პირობადებული საკუთრების უფლებით გაასხვისა საქონელი და ეს უკანასკნელი თა-  
ვისთვის შესანახად გადასცა საწყობის მფლობელ ლ-ს. ვ-მ ჯერ კიდევ ნასყიდობის ფასის სრულ გა-  
დახდამდე გაითამაშა, თითქოს იგი მესაკუთრეა და გაასხვისა საქონელი ლ-ს მიმართ თავისი ვითომ  
ნივთის გამოთხოვის მოთხოვნის უფლების დ-სათვის კეთილსინდისიერი დათმობით. დებს დ-სთან  
დამოუკიდებელ საწყობში მიბარების ხელშეკრულებას, თუმცა, ამის შემდეგ ვ-სათვის ახორციელებს  
მიწოდებებს. გაბატონებული შეხედულების თანახმად, დ. იძენს საკუთრების უფლებას, § 934 ის პა-  
რაგრაფის საფუძველზე, ვინაიდან დ, ლ-სთან საწყობში მიბარების ხელშეკრულების დადებით უნდა  
გახდეს ერთპიროვნული არაპირდაპირი მფლობელი. საწინააღმდეგო მოსაზრება კი, პირიქით, აღი-  
არებს მხოლოდ არაპირდაპირი დამატებითი მფლობელობის არსებობას ვ-სა და დ-საგან, ვინაიდან  
ლ. ყოველთვის ასრულებს ვ-ს მითითებებებს; თუმცა, ეს § 934 ის მე-2 კაზუსისათვის საკმარისი არ

არის, ვინაიდან ვ. მფლობელობით-სამართლებრივი თვალსაზრისით ნივთთან ახლოს დგას, ვიდრე დ. და, შესაბამისად, ღირსია დაცვისა. თუმცა, დამატებითი მფლობელობის შესახებ მოძღვრებაზე უნდა ითქვას უარი. ლ-ს მიერ ვ-ს მითითებების შემდგომი შესრულება არ იცვლება იმით, რომ დ-მ, უპირველეს ყოვლისა, მიიღო ერთპიროვნული არაპირდაპირი მფლობელობა და ამით განდა საქონლის მესაკუთრე{15}.

გარიგებების სავალდებულო სახელმწიფო რეგისტრაციის შემოღებამ გააუმჯობესა სიტუაცია, მაგრამ მთლიანობაში ვერ მოხსნა პრობლემა. რეგისტრაცია არ იძლევა გარანტიებს მთელი რიგი გარიგებების რგოლში რომელიმე გარიგების აღიარების უმოქმედობაზე მომავალში. მაგალითად, მინდობილობის აღიარება ქონების გასხვისებაზე შემდგომი უმოქმედობით ნიშნავს იმას, რომ ქონება შეძენილია პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა გარიგებამ გაიარა სახელმწიფო რეგისტრაცია. ამის დასამტკიცებლად შეიძლება მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ხ. მ-მა 11.05. 2018წ. სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის მიმართ და მოითხოვა ვ. ბ-ის საკუთრებაში, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ.....-ში მდებარე 1709 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სისტემური რეგისტრაციის შესახებ 16.06.2003წ. ჩანაწერის გაუქმება, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის ოფისის 27.03. 2018 წ. #.. გადაწყვეტილების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის 27.04.2018წ. #.. გადაწყვეტილების და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 08.05.2018წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა..... საჯარო რესტრმა სააპელაციო საჩივრით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც აპელანტის საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელი დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება... საკასაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინების გაცნობის, საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების შედეგად მიიჩნია, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ აკმაყოფილებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნებს და საკასაციო საჩივარი არ ექვემდებარება დასაშვებად ცნობას სააპელაციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკისაგან განსხვავების არსებობის საფუძვლით და ამასთანავე, არ არსებობს საკასაციო საჩივრი განხილვის შედეგად მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღების ვარაუდი. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრევენდენტულ სამართალს. საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კასატორი ვერ ასაბუთებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვას მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა მოცემულ საქმეზე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ამ გარემოებებთან დაკავშირებით გაკეთებული სამართლებრივი დასკვნები და მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა. აღნიშნა, რომ საქმის მასალების მიხედვით, გორის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 09.02.2018წ. #7 განკარგულებით ხ.მ-ს უარი ეთქვა თვითნებურად დაკავებულ მიწის ფართზე საკუთრების უფლების აღიარებაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნულ ქონებაზე ფიქსირდებოდა სისტემური რეგისტრაცია სხვა მესაკუთრეზე, კერძოდ, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ..-ში მდებარე 1709 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 2003 წლის 16 ივნისიდან სისტემური რეგისტრაციის საფუძვალზე ირიცხებოდა ვ.ბ-ს სახელზე. X.მ-მა განცხადებით მიმართა მარეგისტრირებულ ორგანოს ვ.ბ-ის სახელზე განხორციელებული სისტემური რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, რამეთუ

წლების მანძილზე თავად ფლობს და სარგებლობს აღნიშნული მიწით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული ოფისის გადაწყვეტილებით, სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა, ხოლო შემდეგ შეწყდა განმცხადებლის მიერ რეგისტრაციის გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობის საფუძვლით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ხ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი. საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ ვ. ბ-ის საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია მიწის საგადასახადო სია #232, რომელიც საჯარო რეესტრში დაცული არ არის. ამასთანავე, საქმის მასალების მიხედვით.. ის თემის საკრებულოს. ის 1986-2007 წლების საკომლო წიგნებში და სოფელს....-ის 1992-2001 წლების მიწის განაწილების სიებში ვ.ბ-ის კომლის და მის სახელზე რიცხული ქონების შესახებ ჩანაწერები არ მოიპოვება. საქმეში დაცულია გორის მინუციპალიტეტის მერიის და შსს შესაბამისი მომართვები, რომელთა მიხედვით არ დასტურდება ვ.ბ-ის და მისი ოჯახის წევრების გორის მუნიციპალიტეტის სოფელ..ში ცხოვრების ფაქტი. საკასაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ხ. მ-ის მიერ ვ. ბ-ის სახელზე განხორციელებული სისტემური რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით მარეგისტრირებული ორგანოსათვის მიმართვა თავისი შინაარსით წარმოადგენდა ადმინისტრაციული წარმოების წესით ვ.ბ-ის სახელზე განხორციელებული სისტემური რეგისტრაციის კანონიერების შესწავლას... აღსანიშნავია, რომ მარეგისტრირებულ ორგანოს აქვს რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების კონტროლის/გადამოწმების შესაძლებლობა, თუმცა განსახილველ შემთხვევაში იგი ფორმალურად მიუდგა საკითხს და რეგისტრაციის გაუქმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა ცალმხრივად დააკისრა განცხადების ავტორს, რაც არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებისა და კანონით დადგენილი ვალდებულების არსიდან. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოში არ ინახება ვ. ბ-ის სახელზე სისტემური რეგისტრაციით აღრიცხული უძრავი ქონების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი და არ დგინდება ნაკვეთის ზუსტი ადგილმდებარეობა, ქმნის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის გარემოებების გამოკვლევა-შესწავლის საჭიროებას. საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივარი, საფუძვლიანია ხ. მ-ის მიერ საადვოკატო მომსახურებისათვის გადახდილი თანხის სააგენტოსათვის დაკისრება, ხოლო ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გონივრული და სამართლიანია. საკასაციო სასამართლომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია[16].

სასამართლოების პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც მეურვეები მიმართავენ სასამართლოს სარჩელით მინდობილობის გაუქმების თაობაზე, რომელიც გაცემულია პირის სახელზე მისი კუთვნილი ბინის გაყიდვის უფლებით და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები ბათილად აღიარებულ იქნა შედგენილი მეურვის მიერ მესამე პირთან ერთად იმ პირთა გამოსახლების თაობაზე, რომლებიც კონკრეტულ ბინაში ცხოვრობენ. სარჩელები მოტივირებულია იმით, რომ მინდობილობის გაცემის მომენტში, ასევე მანამდე და მას შემდეგაც, როცა მეურვე იყო ფსიქიკურად დაავადებული პირი, რომელსაც არ შეეძლო გაეგო თავისი ქმედების მნიშვნელობა და ემართა იგი. რაიონული სასამართლოების მიერ სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა მთლიანად. ზემოთ მოცემულ კონკრეტულ და ყველა მსგავს შემთხვევაში, დავიკავთ მართლმესაკუთრეს, მაშინ შემძენს არ ექნება არავითარი დამაჯერებელი ფაქტორები თავისი შენაძენის სიმტკიცეში. ისინი თავის უფლებების გარანტიისათვის მოითხოვენ გამსხვისებლისაგან (ამ შემთხვევაში გამყიდველისაგან) საკუთრების უფლებების მტკიცებულებებს გადასაყიდ ნივთზე, რაც არ მისცემს შემძენს არავითარ გარანტიებს, რადგანაც გამყიდველი თავის მხრივ შესაძლოა აღმოჩნდეს, როგორც ნივთშემძენი არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან. მაშასადამე, შემძენი ვერ იქნება დარწმუნებული, რომ იგი გახდა ქონების მესაკუთრე სავსებით ლეგალური შენაძენით, რადგანაც ყოველთვის შესაძლოა გამოჩნდეს სუბიექტი, რომელმაც დაკარგა საკუთრება. მერე კი რიგი გარიგებებით ქონება ხელში ჩაუვარდა შემძენს. თუ მესაკუთრე იქნება აბსოლუტური დაცვის ქვეშ, მაშინ ჩვენი შემძენი ამ შემთხვევაში დაკარგავს ქონებას, იმის მიუხედავად, რომ ის არის კეთილსინდისიერი და ქონება იქნა შეძენილი ლეგალურად. ასეთი მიდგომით იკარგება სტიმული ნებისმიერი ქონების შეძენაში, ეს კი ბუნებრივია ნიშნავს – ბრუნვის დამბლას.

ასეთი მდგომარეობა კი, ცხადია, არახელსაყრელია არა მარტო ყოფილი, არამედ პოტენციური მესაკუთრისათვის, რადგან ქონების ფასეულობა მუდავნდება სწორედ რომ ბრუნვაში. ამასთანავე, საკუთრების გადასაწილების ლეგალური ხერხის არქონა, როგორცაა ბრუნვა, მიგვიყვანს არალეგალურ, პირდაპირ რომ ვთქვათ, ძალადობრივ ქმედებებთან. სხვა შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს ბრუნვის ადგილზე დავაყენოთ ერთმანეთის დაყაჩაღებით ჩამორთმეული ნივთების გაცვლა – რომელიც არა მარტო აბსურდულია, არამედ კატასტროფულიც, ამასთანავე, სახელმწიფო განვითარებული ბრუნვის დროს ღებულობს შემოსავალს: რაც უფრო განვითარებულია ბრუნვა, მით უფრო მეტი შემოსავალია, მდიდარ სახელმწიფოს კი შეუძლია წარმართოს სახსრები წინააღმდეგობების შესარბილებლად, ნებისმიერ საზოგადოებაში სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. მაშასადამე, ბრუნვის განვითარება პირდაპირ ან ირიბად ხელსაყრელია ყველასათვის: მესაკუთრისათვის, საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის და სახელმწიფოსთვისაც. აქედან გამომდინარე, ბრუნვაც აუცილებელია დავიცვათ სამართლებრივი საშუალებებით.

ამასთან დაკავშირებით ერენბურგი აღნიშნავდა: სამართალწესრიგი თითქმის არასდროს არ უზრუნველყოფს თანამიმდევრად სამართლის ინტერესებს, პირიქით, – სამართალწესრიგი ძალზე ხშირად წარადგენს წინა პლანზე ბრუნვის უზრუნველყოფის ინტერესებს. ეს პოულობს განმარტებას და გამართლებას მკაცრი სამართლის სასამართლოს წინაშეც კი იმაში, რომ ირიბად სამართალფლობელიც კი დაინტერესებულია ბრუნვის უზრუნველყოფის აღმავლობაში.

მაშასადამე, ბრუნვას ესაჭიროება დაცვა სამართლებრივი საშუალებებით. იგივე ერენბურგის სიტყვებით, ბრუნვის უზრუნველყოფა იმაშია, რომ პირის ნაღდი ქონების დასახული ხელსაყრელი ცვლილება რომ არ იყოს ჩაშლილი, მისთვის უცნობი გარემოებებით, აუცილებელია შემძენის ინტერესების დაცვა, მესაკუთრის ინტერესების მიუხედავად. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი პრობლემები არ იხსნება. ნებისმიერი შემძენი, როდესაც ხდება ქონების მფლობელი, დაინტერესებულია თავისი უფლებების სიმტკიცეში ამ ქონებაზე. როგორი იქნებოდა დაინტერესება შემძენის მიერ ნივთის შეძენაში თუ კი ის, როდესაც მესაკუთრე ხდება, თავისი სურვილის გარეშე შესაძლოა დაკარგოს აღნიშნული ნივთი და კანონი ამ შემთხვევაში დაიცავს მას კი არა, არამედ ახალ შემძენს? ამიტომ შემძენის უპირობო დაცვაც კი ასევე დაინტერესებული თავისი შენაძენის სიმტკიცეში, ამ შენაძენის მომენტის დამთავრებიდან, ითვლება იმ შემძენად, რომელიც დაინტერესებულია იმაში, რომ მისი საკუთრების უფლებები არ იქნას დაკარგული მისი სურვილის გარეშე. ამასთანავე, იგივე მესაკუთრე შემდგომში შეიძლება იყოს დაინტერესებული რომ მას მიეცეს იგივე ნივთის გასხვისების საშუალება, აქედანვე ახალი მფლობელის უფლებების სიმტკიცის უზრუნველსაყოფად.

კეთილსინდისიერება, როგორც ვინდიკაციის შეზღუდვის კრიტერიუმი

აღნიშნული სიტუაცია უნდა გადაწყდეს კომპრომისის მეშვეობით მესაკუთრის ინტერესებსა და კეთილსინდისიერ შემძენს შორის. უკიდურესი აზროვნების წერტილები – წერს ბ. ბ. ჩერეპახინი, - მიუხედავად თავისი თანამიმდევრობისა, რჩებიან ჩვეულებრივ სუფთა თეორიის სფეროში და არ ირეკებიან მოქმედ სამართალში. უკანასკნელი დიდწილად ირჩევს შუალედურ, კომპრომისულ გზას, რომელიც ასახავს დაპირისპირებულთა ინტერესების წინააღმდეგობრიობას, - აღნიშნულ შემთხვევაში თავდაპირველი მესაკუთრის ინტერესების და კეთილსინდისიერი შემძენის არაუფლებამოსილი გამსხვისებლისაგან. თუ ამასთანავე იფუნქციონირებს სამოქალაქო ბრუნვა და განვითარდება, საკუთრების უფლებები კი იქნება მისაღებ დონეზე (თუმცა რამდენადმე შეზღუდულად), მაშინ კომპრომისის შეიძლება ჩაითვალოს როგორც წარმატებული.

თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში დადგენილი კომპრომისით, მესაკუთრემ შეიძლება მოითხოვოს თავისი ქონება თუ იგი შეძენილია პირისაგან უსასყიდლოდ, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება; თუკი ქონება შეძენილია სასყიდლოდ, მაშინ მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს იგი არაკეთილსინდისიერი შემძენისაგან, კეთილსინდისიერი შემძენისაგან კი იმ შემთხვევაში, როდესაც ქონება დაკარგულია მესაკუთრის მიერ ან პირისაგან, რომელსაც ქონება გადაცემული ჰქონდა მფლობელობაში მესაკუთრის მიერ ან მიტაცებული იმისგან ან სხვისგან, ან გამოდის მფლობელობიდან სხვა გზით მათი სურვილის გარეშე.

სამოქალაქო სამართალში კომპრომისის დადგენილია 187-ე მუხლით (კეთილსინდისიერი შემძენი



ნი), როცა შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია.... კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს მის გადაცემამდე.

მაშასადამე, მესაკუთრის ქონების დაცვის მოთხოვნით სარგებლობს მხოლოდ კეთილსინდისიერი შემძენი. შემძენის კეთილსინდისიერება მდგომარეობს იმაში, რომ მან არ იცოდა და არც შეეძლო სცოდნოდა, რომ ქონების მფლობელს არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება. შემძენის კეთილსინდისიერება ვარაუდობს მის უცოდინარობას, რომ გამსხვისებელს არ გააჩნია სამართალუფლებები. გამსხვისებლისაგან ნივთის უკანონო გასხვისებაზე გახდიდა მომხმარებელს არაკეთილსინდისიერს.

შემძენი მაშინაც კეთილსინდისიერი, როდესაც მან არ იცის და არც უნდა იცოდეს თავისი მფლობელობის არაკანონიერება (უფრო ხშირად კი იმაზე, გამსხვისებელი, რომელმაც გადასცა მას ნივთი, არ იყო გასხვისებაზე უფლებამოსილი). და მაინც, ფორმულირება და არც შეეძლო სცოდნოდა(ცოდნა და შესაძლო ცოდნა), – გაგრძელებული წარმოდგენაა. შემძენს ან არ შეეძლო სცოდნოდა პასიური მოქმედების დროს და არ მიმართავდა არავითარ ქმედებებს, რომ გაეგო, ან ფორმულირება არ შეეძლო სცოდნოდა, ვარაუდობს რაღაც აქტიურ ქმედებებს შემძენის მხრიდან, იმისათვის, რომ გაეგო, აქვს თუ არა უფლებამოსილება გამსხვისებელს აღნიშნული ქონების გასხვისებაზე? ამ საკითხის ირგვლივ მოსაზრებები არაერთგვაროვანია.

მოვანდინოთ აღნიშნული ნორმის ანალიზი. თუ იარსებებდა მხოლოდ ფრაზა «არ ვიცოდი», ეს აღნიშნავდა არცოდნას შემძენის პასიური მოქმედებისას, რადგანაც აღნიშნული ფორმულირება არ აიძულებდა შემძენს ემოქმედა რომ გაეგო გამსხვისებლის უფლებები. თვით ფრაზა «არ შემიძლო მცოდნოდა» ვარაუდობს უფრო მეტს, ვიდრე უბრალოდ პასიურობა. მაგრამ აღნიშნული ფრაზა არ ვარაუდობს არც აქტიურ ქმედებებს. თუკი იქნებოდა ფრაზა «ვერ შევძელი გამეგო», მაშინ ეს აიძულებდა შემძენს აქტიური ქმედებისაკენ, გამსხვისებლის სამართალუფლებების განსაზღვრაში, მაგრამ ეს არ იქნებოდა სწორი. თვლიდა, რომ კეთილსინდისიერების გაგება მოითხოვს რწმუნებულებას გამსხვისებლის ნივთის გასხვისებაზე<sup>[17]</sup>. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. ბ. ბ. ჩერეპანინი აკრიტიკებს ასეთ პოზიციას: ძნელია წარმოვიდგინოთ სამოქალაქო ბრუნვა, აგებული მყიდველების ისეთ ძლიერ ეჭვებზე, როგორც ამას მოითხოვს ბინდინგი. როგორ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ გამყიდველები, თუკი ისინი ყოველთვის იქნებოდნენ ვალდებულნი წარედგინათ ამომწურავი მტკიცებულებები საკუთრების უფლებით გასასხვისებელ ნივთზე.

ასე, რომ ამჟამად მოქმედი კანონი არ ავალდებულებს შემძენს გარკვეული ქმედებისაკენ გამსხვისებლის უფლებების გამოსარკვევად. მაგრამ კანონის ფორმულირება არ შემიძლო მცოდნოდა მაინც მოითხოვს შემძენისაგან გარკვეულ სიფრთხილეს გარიგების დროს, რადგანაც განსაზღვრულ შემთხვევებში შემძენს შეუძლია ივარაუდოს, დიდი ალბათობით, რომ გამსხვისებელს არ აქვს უფლებები ნივთის გასხვისებაზე. მაგალითად, ნივთის შეძენა ხელიდან ხელში ამკარად დაბალ ფასში. არსებობს სხვა აზრიც, რომლის თანახმად, ტერმინი «არ შემიძლო მცოდნოდა» განიმარტება უფრო ფართოდ. მაგ., ბგბ-ს § 932, აბზ. 2, აქ ჩვენი სამოქალაქო კოდექსის მოითხოვნით არცოდნა არა მარტო უხეში დაუდევრობით არამედ უბრალო წინდაუხედაობითაც). თუ ამ აზრზე დავდგებით, ჩვენ მოვითხოვთ შემძენისაგან მუდმივ სიფრთხილესა და ეჭვიანობას გამყიდველის მიმართ, ამით კი ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი სამოქალაქო კოდექსის პრინციპით და საერთო კეთილსინდისიერ ბრუნვას წარმოადგენს. მხოლოდ უხეში დაუდევარი არცოდნა შეიძლება გავუტოლოთ გასხვისების არაუფლებამოსილების ცოდნას. ამჟამად სამოქალაქო ბრუნვა უკვე დიდი ხანია არასოციალისტურია, მაგრამ ბრუნვის მონაწილეების კეთილსინდისიერების საერთო წესი დღესაც აქტუალურია.

სამოქალაქო ბრუნვაში შემძენის წინდაუხედაობით არ შეიძლება შემძენის აღიარება არაკეთილსინდისიერად. სამართალს არ შეუძლია მოსთხოვოს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს ზედმიწევნით მოსთხოვონ თავიანთ კონტრაგენტებს რა სამართლებივ საფუძველზე ფლობენ გასასხვისებელ ნივთს.

შემძენი ვალდებულია შეამოწმოს მესაკუთრე?

<sup>1</sup> Ahmed Ibrahim al-Sheikh, *The Liability for the International Air Transport Damages Compensation, According to the Warsaw Convention 1929 and Montreal in 1999*, (The Arab Renaissance House for Publishing, Cairo, 2008), p. 22.

<sup>2</sup> Erin Applebaum, *How a 2022 case modernized the protection of airline passenger rights*, Reuters, 8 February 2023, available at: <https://www.reuters.com/legal/legalindustry/how-2022-case-modernized-protection-airlinepassenger-rights-2023-02-08/>.

<sup>3</sup> International Civil Aviation Organization (ICAO), *Convention For the Unification of Certain Rules for International Carriage by Air (the Montreal Convention 1999)*, Art. 35(1).

<sup>4</sup> *Ibid*, Art. 17(1).

<sup>5</sup> International Civil Aviation Organization (ICAO), *Convention For the Unification of Certain Rules for International Carriage by Air (the Montreal Convention 1999)*, Art. 17(1)

<sup>6</sup> *Ramos v. Am. Airlines, Inc.*, 2011 WL 5075674 (W.D.N.C. Oct. 25, 2011)

<sup>7</sup> *Ibid*

<sup>8</sup> *Walsh v. Luchtvaart*, 09-civ-01803 (RKE) (S.D.N.Y. Sep. 14, 2011)

<sup>9</sup> Olena Bokareva, *The Meaning of “Accident” under the Montreal Convention in Light of CJEU Jurisprudence*. In A. Basu Bal, T. Rajput, G. Argüello, & D. Langlet (Eds.), *Regulation of Risk: Transport, Trade and Environment in Perspective*, 2022, pg. 157-184.

aircraft and occurs during the time when the passenger is boarding the aircraft until they disembark<sup>1</sup>. In the Court of Justice of the European Union (CJEU) decision of December 19, 2019, in the case of GN v. ZU, it was noted that since the term “accident” is not defined in the Montreal Convention, reference must be made to its ordinary meaning, taking into account the context and the objectives of the Convention<sup>2</sup>. According to the facts of the case, it concerned the liability of the carrier for bodily injury sustained by a passenger during a flight from Mallorca to Vienna, specifically burns caused by the spillage of hot coffee for “unknown reasons.” Austrian Airlines (the defendant) argued that the term “accident” under Article 17 of the Convention required the presence of a danger directly related to the flight itself. However, the Court of Justice of the European Union clarified that the “ordinary meaning” of the term “accident” implies something “unforeseen, harmful, and involuntary.”<sup>3</sup> And it points out the goals of the Montreal Convention, which represents the ‘establishment of a strict system of liability for air carriers.’ Furthermore, the convention is not limited solely to threats directly related to aviation: the concept of ‘incident’... encompasses all situations occurring on board an aircraft and caused by objects used for passenger service, without the need to investigate whether these situations are directly caused by threats related to civil aviation.”<sup>4</sup> This decision was made on the basis that the declared goal of the convention is to ensure the safety of passengers. Although it was not inconsistent with previous court decisions, the specificity of the interpretation somewhat complicates the situation, as if an object is used for passenger service, it may not easily meet the criteria of unpredictability and unusualness. It is also noteworthy that the issue of interpretation concerns not only ‘international’ (as relevant to the European Court of Justice’s reference), but also the opinions of domestic courts. The case *Fenton v. J. Thorley* was one of the first in which the issue of the interpretation of ‘incident’ was addressed— the term ‘incident’ is not a technical term defined by specific meaning. From a general perspective, and considering legal responsibilities, it refers to an unforeseen and unexpected event resulting in damage. However, it is sometimes used to denote both the cause and the result. This underscores that it can acquire different meanings in different contexts. This was later referenced in many decisions<sup>5</sup>.

In the case of *Air France v. Saks*, 470 U.S. 392, 405<sup>6</sup>, the Supreme Court of the United States explained back in 1985 that the term ‘incident’ should be conceptually flexible and used in a broad context, and only after all circumstances relating to the passenger’s injury have been evaluated. In this case, during the flight, the passenger (the plaintiff) experienced pressure and pain in the ear area, and after consulting a doctor, it was discovered that he had permanently lost hearing in one ear. He claimed that this was caused by a malfunction in the aircraft’s pressure regulation system. The court determined that liability under Article 17 arises only when the passenger’s injury is caused by an unexpected or unusual event that occurs independently of the passenger, and not when it is caused by the passenger’s internal reaction to the aircraft’s normal, ordinary, and expected functioning, in which case it would no longer fall under the scope of Article 17. The court added that this interpretation should be applied flexibly after evaluating all circumstances related to the passenger’s injury. In reaching this conclusion, the court thoroughly examined Article 17, including the *travaux préparatoires* and other decisions made by different courts. It concluded that the text of Article 17 pertains to an incident that causes injury to a passenger, rather than to the injury of the passenger itself (this distinction is emphasized). It was recognized that the meaning of ‘incident’ is not defined in either the convention or the *travaux préparatoires*<sup>7</sup>. Thus, in determining

<sup>1</sup> Annex 13, The Chicago Convention on International Civil Aviation, (Chicago, 1944), pg.10.

<sup>2</sup> CJEU, GN v. ZU, Case C-532/18, Judgment of the Court (Fourth Chamber), 19 December 2019, § 34

<sup>3</sup> *Ibid*, § 35

<sup>4</sup> *Ibid*, § 43

<sup>5</sup> *Fenton v. J. Thorley & Co Ltd*, AC 443 (1993)

<sup>6</sup> U.S. Supreme Court, *Air France v. Saks*, 470 U.S. 392 (1985)

<sup>7</sup> Olena Bokareva, The Meaning of “Accident” under the Montreal Convention in Light of CJEU Jurisprudence. In A. Basu Bal, T. Rajput, G. Argüello, & D. Langlet (Eds.), *Regulation of Risk: Transport, Trade and Environment in Perspective*, 2022, pg. 157-184.

the meaning of the term ‘incident’ in Article 17, the court referred to its French legal significance, as the Warsaw Convention was drafted in French. This clarified that the term, in its French legal context, differs from its meaning in the United Kingdom, Germany, or the United States. Therefore, although the word ‘incident’ is often used to specifically denote an event causing injury to a person, it is also sometimes used to describe the cause of the injury, and when used in this latter sense, it is generally defined as an accidental, unexpected, unusual, or unforeseen event. The court concluded that the text of the convention implies that the passenger’s injury must be caused by an unexpected or unusual event<sup>1</sup>. The court also emphasized that the causes of a passenger’s injury differ from the causes of damage to baggage<sup>2</sup>. There is a separate problem in that the Georgian version of the convention uses the term ‘incident’ in both sections (concerning passenger and baggage damage), while the English version mentions ‘accident’ and ‘event.’ As a result, it is difficult to distinguish between them in Georgian. However, referring again to the English version, as indicated in the travaux préparatoires, a passenger’s injury must be caused by an accident, because if ‘event’ had been used, similar to baggage damage, it could have been interpreted too broadly, significantly increasing the number of claims<sup>3</sup>. In this case, the court considered the legal regulations of other states participating in the convention regarding this issue and noted that European courts had interpreted the word ‘incident’ within the scope of Article 17 in such a way that it required the passenger’s injury to be caused by an unexpected event<sup>4</sup>. This interpretation, given that it allows for quite broad interpretation, consequently represents a problematic issue. In this regard, the 2022 decision of the Massachusetts Superior Court in the case of *Moore v. British Airways PLC* was significant, as it leaned in favor of passengers on this matter<sup>5</sup>. In this case, the plaintiff sustained physical injuries while descending the aircraft’s steps. Specifically, the last step was higher than the others, and according to the plaintiff, this difference was unexpected and unusual for him, causing him to lose his balance and fall. The court’s initial interpretation was that the difference in step height did not constitute an ‘unexpected or unusual’ event; the plaintiff argued that it should be assessed from a subjective perspective, while the airline sought an objective evaluation of the issue. The case ultimately was decided in favor of the plaintiff, and the court emphasized that the Montreal Convention is a contract that prioritizes passengers. Therefore, the plaintiff’s assertion that falling from the last step of the stairs was unexpected for him was sufficient to meet the criteria for an ‘incident.’ The determination of liability for the air carrier in this case differed from that in *Barclay v. British Airways*, where the injuries sustained by the passenger did not fall under the scope of Article 17<sup>6</sup>. The outcome of this case was significant as it paved the way for injured passengers to seek compensation for incidents arising from unexpected conditions, even if those conditions conformed to local legislation and industry regulations. But, most importantly, it supported the goals of the drafters of the Montreal Convention: to prioritize the safety of passengers of commercial airlines.

### Conclusion

For years, there has been a debate regarding the interpretation of the terms in the relevant articles of the Montreal Convention of 1999 concerning incidents arising from threats associated with international civil aviation; for example, whether the definition of ‘incident’ should stem from ‘risks related to civil aviation’ or from events arising from malfunctions or unusual circumstances during the operation of an aircraft. A consensus on this issue is necessary because it is unfair to hold airlines responsible in situations where an accident occurs due to the passenger’s actions.

<sup>1</sup> Ibid

<sup>2</sup> Karin Paulsson, *Passenger Liability*, according to the Montreal Convention, University of Lund, 2009, pg.30; See also: Shawcross, *Beaumont, Air Law*, volume 1, 2008, pg. 655 (VII)

<sup>3</sup> ICAO Doc. Doc.9775-EN International Conference on Air Law Volume II – Documents, p. 154.

<sup>4</sup> *Air France v. Saks*, 470 U.S. 392, (1985), p. 405.

<sup>5</sup> *Moore v. British Airways PLC*, 32 F.4th 110 (1st Cir. 2022)

<sup>6</sup> *Barclay v British Airways* QB 187 (2010)

As indicated above, the concept of ‘incident’ under the Montreal Convention has been examined at both international and domestic levels by the highest courts of various contracting states. It is noteworthy that the outcome of each case depended on the specific facts and circumstances involved. In each instance, it was thoroughly investigated whether the event constituted an ‘incident’ under Article 17 of the Montreal Convention.

The decisions of the majority of courts highlighted the significance of the so-called externality requirement—an event would fall under Article 17 if it occurred independently of the passenger. Furthermore, it was clear that there was disagreement among courts and, in some cases, among judges within the same case, who held differing opinions. This is understandable given that the interpretative possibilities of the term were quite broad. The element of fault for the term ‘incident’ in the 1999 Montreal Convention is not relevant. The carrier is liable in any case, and the only way to avoid responsibility, according to Article 20, is if it can prove that the damage was caused by or contributed to by the negligence or other wrongful acts or omissions of the claimant. The ambiguity surrounding the term ‘incident’ in Article 17 of the Montreal Convention underscores the critical necessity for a universally accepted interpretation. A clear and standardized understanding is essential for the proper administration of legal processes across different jurisdictions, which will subsequently ensure fairer outcomes, assist airlines in assessing their obligations, and enable passengers to fully comprehend their rights.

In the evolving prism of international civil aviation, achieving consensus on such issues not only strengthens the legislative framework but also promotes international cooperation, enhancing safety and fairness for all stakeholders involved.

## References

### Electronic Resources:

- Erin Applebaum, *How a 2022 case modernized the protection of airline passenger rights*, Reuters, 8 February 2023, available at: <https://www.reuters.com/legal/legalindustry/how2022-case-modernized-protection-airline-passenger-rights-2023-02-08/>

### Articles/Works:

- Shawcross, Beaumont, *Air Law*, volume 1, 2008
- Karin Paulsson, *Passenger Liability according to the Montreal Convention*, University of Lund, 2009
- Shaubo Aziz, *The International Air Carrier Liability (An Analytical Study of Warsaw Convention 1929 and Montreal Convention 1999)*, 2017
- Ahmed Ibrahim al-Sheikh, *The Liability for the International Air Transport Damages Compensation, According to the Warsaw Convention 1929 and Montreal in 1999*, (The Arab Renaissance House for Publishing, Cairo, 2008)
- Olena Bokareva, *The Meaning of “Accident” under the Montreal Convention in Light of CJEU Jurisprudence*. In A. Basu Bal, T. Rajput, G. Argüello, & D. Langlet (Eds.), *Regulation of Risk: Transport, Trade and Environment in Perspective*, 2022

### Court Cases:

- *Air France v. Saks*, 470 U.S. 392, (1985)
- *Moore v. British Airways PLC*, 32 F.4th 110 (1st Cir. 2022)
- *Barclay v. British Airways*, QB 187 (2010)
- *Fenton v. J. Thorley & Co Ltd*, AC 443 (1993)
- *GN v. ZU*, Case C-532/18, Judgment of the Court (Fourth Chamber), 19 December 2019
- *Ramos v. Am. Airlines, Inc.*, 2011 WL 5075674 (W.D.N.C. Oct. 25, 2011)

### Legal Instruments:

- ICAO Doc. Doc.9775-EN *International Conference on Air Law Volume II – Documents*
- International Civil Aviation Organization (ICAO), *Convention for the Unification of Certain Rules for International Carriage by Air (The Montreal Convention 1999)*
- Annex 13, *The Chicago Convention on International Civil Aviation* (Chicago, 1944)

ია ხარაზი

სამართლის დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავილირებული პროფესორი

თამარ გარდაფხაძე

სამართლის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ავილირებული პროფესორი

## ფულადი ვალდებულების პროცენტი, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)

### ანოტაცია

სტატიაში გამოკვეთილია ფულადი ვალდებულება სამართლებრივ ბუნებაზე, რომელიც მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მხოლოდ ფულადი სახით უზრუნველყოფს. ფულადი ვალდებულების შესრულებისას გამოყოფილია საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება (როცა ვალდებულები მეწარმე სუბიექტია – რეზიდენტი და არარეზიდენტი პირია და ფულად ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე ასრულებს) და კერძოსამართლებრივი ვალდებულება (როცა ვალდებულები პირი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეა და ვალდებულება მხოლოდ სხვა, კერძო, პირის წინაშე აკისრია). ნაკვლევი განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებით ძირითადად ფუნდამენტური საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 625-ე მუხლები, რომლებიც სამოქალაქო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი საკვანძო ნორმათაგანია, სხვა მუხლებთან კავშირში. სტატიაში გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ამავედროულად, სამოქალაქო კანონმდებლობაში ცვლილებამდე არ არსებობდა ნორმები, რომლებიც დაადგენდა ფულადი ვალდებულებების დაგვიანების შემთხვევაში სხვისი სახსრების გამოყენების ინტერესს. ამიტომ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს (კრედიტორს) ხშირად უწევდა დაკმაყოფილებულიყო მოვალისგან მხოლოდ ჯარიმის ოდენობით წლიური პროცენტის დადგენით.

პროცენტული ზღვრების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები, რომ ჯარიმა-საურავებს გააჩნიათ სანქციის ფუნქცია, რაც მსესხებლის დისციპლინირებულ ქცევას უზრუნველყოფს. ამიტომ, ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია. გატარებულია აზრი იმის შესახებ, რომ ბოლო წლებში, საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაში, ფულად ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი ხშირად განიხილებოდა ჯარიმად, ეს მიდგომა ყველაზე გასაოცარი სახით აისახება ხოლმე საარბიტრაჟო სასამართლოს ზოგიერთ განმარტებაში, რომლის მიხედვითაც „გადახდის დაგვიანებისთვის ჯარიმის ანაზღაურება წელიწადში ხუთ პროცენტამდე ოდენობით“. ზოგიერთ შემთხვევაში, საარბიტრაჟო სასამართლოების მიერ სხვისი ფულის გამოყენების ინტერესი განიხილებოდა, როგორც ზარალი დაკარგული მოგების სახით. თუმცა, ამ შემთხვევაში შეუძლებელია კანონმდებლის პოზიციის ახსნა, პროცენტებისა და ზარალის თანაფარდობის შესახებ. პროცენტი არის სახსრების გამოყენების საფასური, მათი ღირებულების გარკვეული ეკვივალენტი ქონებრივ მიმოქცევაში, რაც, თავისი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებულ ზომას. სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომელიც არ შეიძლება მიეწეროს არც ჯარიმებს და არც ზიანს. სხვა ადამიანების სახსრების გამოყენებისათვის პროცენტის შეგროვება ხელს არ უშლის კრედიტორების მოთხოვნების დაკმაყოფილებას იურიდიული ან ამოღების შესახებ. სახელმწიფოებო ჯარიმა მოვალის მხრიდან, მათ შორის, მუდმივად მოქმედი **პირგამტეხლოს** სახით; გადასახდელი პროცენტის ოდენობა სასამართლოს არ შეუძლია შეამციროს შედეგების არაპროპორციული მოტივით.

სასამართლო გადაწყვეტილებებსა და აღმასრულებელ დოკუმენტებში, უნდა მიეთითოს თანხა, რომელზედაც დარიცხულია პროცენტი, ამ პროცენტის ოდენობა და თარიღი, საიდანაც აუცილებელია მათი გამოთვლა. კონკრეტული თანხა, რომელიც იქნება დარიცხული პროცენტი, შესაბამისი ბანკის მიერ უნდა განისაზღვროს სასამართლო გადაწყვეტილების ფაქტობრივად აღსრულების დღეს, ანუ სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამოღებული თანხა ჩამოიწეროს მოვალის ანგარიშიდან და გადაეცემა კრედიტორს.

და კიდევ ერთი შენიშვნა საარბიტრაჟო და სასამართლო პრაქტიკაში ფულადი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის წესების გამოყენებასთან დაკავშირებით. ამ ნორმების ზედმეტად ვიწრო, ფორმალური ინტერპრეტაცია მიუღებლად იქნა აღიარებული, რაც პრაქტიკაში გამოიხატა. «უცხოური ფონდების» კონცეფცია მოიცავს არა მხოლოდ სხვა პირის კუთვნილ ფულს, არამედ კონტრაგენტისთვის განკუთვნილ ფულს, რომელიც არის ვალდებულება მიწოდებული (გაყიდული) საქონლის, შესრულებული სამუშაოს, გაწეული მომსახურებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ თანხები ფორმალურად არ არის «უცხო» მოვალესთვის და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** ზიანის ანაზღაურება და ჯარიმის ამოღება; პროცენტი ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის; თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (თიზ-ი); საპროცენტო განაკვეთი; კაპიტალით სარგებლობა; წლიური პროცენტი; ეფექტური საპროცენტო განაკვეთი; პირ-გასამტეხლო.

### **ფულადი ვალდებულების პროცენტი, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა (თეორიული და პრაქტიკული ასპექტები)**

ზიანის ანაზღაურება და ჯარიმის ამოღება არ ამოწურავს იმ ზომებს, რაც შეიძლება კრედიტორმა მიიღოს მოვალის მიმართ, რომელმაც ვალდებულება კრედიტორს არ შეუსრულა ან არაჯეროვნად შეუსრულა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განსაკუთრებული ადგილი უკავია 403-ე მუხლს („პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას“) და 625-ე მუხლს<sup>1</sup> („გამსესხებლის ვალდებულება და პროცენტი სესხისათვის“). საპროცენტო განაკვეთი – საკრედიტო ან სადეპოზიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფიქსირებული ან ინდექსირებული წლიური საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. არსებობს, როგორც ფიქსირებული, ისე ცვლადი საპროცენტო განაკვეთი. ცვლადია საპროცენტო სარგებელი, რომელიც შესაძლებელია გადინდოს კრედიტის გამცემის მიერ შესაბამისად, მისი წინასწარ პროგნოზირება მსესხებლისთვის რთულია. ცვლადი საპროცენტო სარგებლის შეცვლის მიზეზები შესაძლებელია სხვადასხვაგვარის იყოს. მაგალითად, პრაქტიკაში იგი დამოკიდებულია საბანკო კრედიტის გრძელვადიანობასთან, საკრედიტო აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის პერიოდულ ცვლილებებთან და ა.შ.<sup>2</sup> ფულადი ვალდებულება პროცენტის არსებობის წინაპირობაა. პროცენტი ეს არის პერიოდული საზღაური კაპიტალით სარგებლობისთვის<sup>3</sup>. ცხადია, პროცენტი არ იარსებებს, თუ არ იქნება ფულადი ვალდებულება, რაც ნიშნავს იმას, რომ საპროცენტო ვალდებულება აქცესორულია, დამატებით ვალდებულებას წარმოადგენს, და არ არსებობს ძირითადი ვალდებულების გარეშე. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროცენტის გადახდის ვალდებულება წარმოიშვება მაშინ, თუ ამის შესახებ მხარეები არიან შეთანხმებულნი. მიუხედავად ამისა, მხარეებს ენიჭებათ ვალდებულება პროცენტი განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე და რომელიმე მხარეს უპირატესობა არ მიენიჭოს. რაც შეეხება

<sup>1</sup> საბოლოო ცვლილება აღნიშნულ ნორმაში შესულია 2023 წლის 10.06.

<sup>2</sup> გაბისონია ზ; საბანკო სამართალი, თბილისი, 2017, 174.

<sup>3</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელმძღვანელო სამართალი, თბილისი, 2014, 254.

საბანკო ურთიერთობებში არსებულ პროცენტს, მაშინ, როცა სახეზეა კრედიტის ხელშეკრულება, პროცენტის ცვალეზადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს<sup>1</sup>.

ფულადი ვალდებულება ისეთი ვალდებულებაა, რომელიც მოვალის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას მხოლოდ ფულადი სახით უზრუნველყოფს. საქართველოს ტერიტორიაზე ფულადი ვალდებულების ვალუტა მხოლოდ ლარია, გარდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ საქართველოს კანონისა, სადაც ფულადი ვალდებულებების შესრულება წესრიგდება საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს საბაჟო კოდექსით<sup>2</sup>, ანუ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში<sup>3</sup> ფულადი ვალდებულების შესრულება ნებისმიერი ვალუტითაა შესაძლებელი. ფულადი ვალდებულების შესრულებისას უნდა გამოიყოს საჯარო-სამართლებრივი ვალდებულება (როცა ვალდებულები მეწარმე სუბიექტია – რეზიდენტი და არარეზიდენტი პირია და ფულად ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე ასრულებს) და კერძოსამართლებრივი ვალდებულება (როცა ვალდებულები პირი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეა და ვალდებულება მხოლოდ სხვა, კერძო პირის წინაშე აკისრია). საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილი ბრძანების(№2 4/04) „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მე-11 მუხლი ჩამოთვლის საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ვალუტით დასაშვები საბანკო ოპერაციების განხორციელების სახეებს, კერძოდ: ფიზიკურ პირებს შორის პირადი მიზნებით განხორციელებული გადარიცხვა, რაც არ არის დაკავშირებული ფულადი ვალდებულების შესრულებასთან; იმპორტთან დაკავშირებული ოპერაცია, იმ შემთხვევაში, როდესაც მიმღები არარეზიდენტი პირია; საზღვარგარეთიდან უცხოური ვალუტის ჩარიცხვის ოპერაცია; თანხის გადამხდელი წარმოადგენს თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში რეგისტრირებულ საწარმოს და ა.შ.<sup>4</sup>. თუკი უცხოურ ვალუტაში გადარიცხვის ოპერაციის 3000 ლარზე მეტი თანხის ან მისი ეკვივალენტით სხვა ვალუტაში, ბანკი ვალდებულები გადამხდელი მეწარმე სუბიექტისაგან დამატებით მოითხოვოს გადარიცხვის საფუძვლის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებს. „აღნიშნული შეზღუდვა განპირობებულია „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე<sup>5</sup>.

ფულადი ვალდებულების შესრულებას აწესრიგებს სკ-ის 383-389-ე, 403-ე მუხლს, ასევე, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 625-ე და სხვა ნორმები. რომლებიც მიეძღვნა ფულადი ვალდებულების პროცენტს, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხებს და.შ. მაგ., სკ 403-ე მუხლის თანახმად, „მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში“. აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს საურავი.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი სამართალურთიერთობის

<sup>1</sup> გაბისონია ზ., საბანკო სამართალი, თბილისი, 2015, 175.

<sup>2</sup> საქართველოს კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/21994?publication=9>.

<sup>3</sup> მაგ; ფოთის, ქუთაისის, თბილისის და ა.შ. თიზ-ებში ვალდებულებების შესრულება ამ საბაჟო დამუშავების ოპერაციის გამოყენებულ პირებს ნებისმიერი ვალუტით შეუძლიათ, რამეთუ თიზ-ი არის „ქვეყნის შიგნით არსებული „სხვა ქვეყნის“ ეკონომიკური ტერიტორია“. დაწვრ. თიზ-ების შესახებ სრული ინფორმაცია იხ. ხარაზი ია, ხარაზი ქეთინო, საბაჟო სამართალი, მეორე ნაწილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა „გეორგია“.

<sup>4</sup> სრულად იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილი ბრძანების(№2 4/04) „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის და უცხოურ ვალუტაში ოპერაციების წარმოების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, მე-11 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1279467?publication=0>.

<sup>5</sup> საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ“, მ. 5. 6.1. „ა“ ქვეპუნქტი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1279467?publication=0>.

ერთ-ერთი საკვანძო ნორმათაგანია. ნორმის აქტუალობას მისი შინაარსი განაპირობებს. ნორმის დანიშნულება ფულადი ვალდებულების რღვევის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება. სასამართლო საქმეთა უდიდესი ნაწილი სწორედ ფულადი ვალდებულებიდან გამომდინარე დავებს ეხება<sup>1</sup>. ამასთან აღსანიშნავია, რომ მითითებული მუხლი აწესრიგებს არა მხოლოდ სასესხო და საკრედიტო, არამედ ნებისმიერი სამართალურთიერთობებიდან წარმოშობილ ნასყიდობა, ნარდობა და მომსახურება და ა.შ.) ფულად ვალდებულებას<sup>2</sup>. 403 II მუხლი იძლევა პროცენტზე პროცენტის დარიცხვის (ანატოციზმი) შესაძლებლობას. ამით კანონმდებელი აფართოებს ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებს, რომელიც 2007 წლამდე მოქმედი რედაქციით უფრო ვიწრო იყო<sup>2</sup>.

უზენაესმა სასამართლომ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა 403-ე მუხლთან დაკავშირებით, კერძოდ, ფაქტობრივი გარემოებებით გამოიკვეთა, რომ პ.ს. დ-სა და გ. კ-ს შორის 2009 წლის 30 ივლისს დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სესხი განისაზღვრა 50 000 აშშ დოლარით, სამი თვის ვადით, ყოველთვიური 5%-იანი სარგებლით. მსესხებელმა ვალდებულება დადგინდეს ვადაში არ შეასრულა, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა სესხის ძირითადი თანხის, სარჩელის აღძვრამდე საპროცენტო სარგებლისა და გადაწყვეტილების აღსრულებამდე პირგასამტეხლოს სახით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის გადასახდელი 0, 3%-ის გ. კ-თვის დაკისრება. მოპასუხემ სარჩელი ნაწილობრივ ცნო და აღნიშნა, რომ გადახდილი ჰქონდა 27 875 დოლარი, რომელიც უნდა გამოკლებოდა სესხის ძირითად თანხას. სააპელაციო სასამართლომ მოპასუხის პოზიცია არ გაიზიარა და აღნიშნა, რომ მის მიერ ყოველთვიურად გადახდილი თანხა შეესაბამებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ 5%-ს; ამდენად, სასამართლოს აზრით, გ.კ. 2010 წლის 30 სექტემბრამდე საპროცენტო სარგებელს იხდიდა. საკასაციო სასამართლომ აღნიშნული მტკიცებულება არ გაიზიარა და განმარტა, რომ სარგებლის (პროცენტის) გადახდის ვალდებულება, რომელიც მხარეებმა გაითვალისწინეს სესხის ხელშეკრულებისათვის, შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 625-ე, 403-ე მუხლებზე და განმარტა, რომ სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტი, რომელიც თავისი შინაარსით სარგებელია, განსხვავდება 403-ე მუხლით გათვალისწინებული პროცენტისაგან, რომელიც ის ზიანია, რაც განიცადა კრედიტორმა ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების დარღვევის გამო; ამასთან, 403-ე მუხლით სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: 1) მოვალეს შესასრულებელი უნდა ჰქონდეს ფულადი ვალდებულება; 2) ფულადი ვალდებულების შესრულების ვადა უნდა იყოს დარღვეული; 3) ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება პროცენტის თაობაზე. საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში მოპასუხემ დაარღვია ვალდებულება, მაგრამ ვინაიდან მხარეებს შორის არ არსებობდა შეთანხმება ვალდებულების დარღვევისას საპროცენტო სარგებლის გადახდის შესახებ, რაც, სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლიდან გამომდინარე, დამატებითი შეთანხმების საგანია, მოსარჩელის მოთხოვნა, რომ, 2010 წლის ოქტომბრიდან სესხის ძირითადი თანხის დაფარვამდე მოპასუხეს დაეკისროს სარგებელი – 50000 აშშ დოლარის 5%, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია<sup>3</sup>.

როდესაც საქმე ეხება ვალდებულების შეუსრულებლობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს მოვალის მხრიდან, რასაც თან მოსდევს ფულადი ვალდებულების პროცენტი, როგორც პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა, აქ საქმე არ არის მხოლოდ შესაბამისი ნორმების

<sup>1</sup> Palandt, Bürgerliches Gesetzbuch, C.H.Beck, 73. Auflage, 2014, §289, Rn.; წყარო: მესხიშვილი ქ; კერძო სამართლის აქტუალური საკითხები, თეორია და სასამართლო პრაქტიკა, ტომი I, 2020, 101-102.

<sup>2</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 2019, 647.

<sup>3</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ოქტომბრის განმარტება საქმეზე #as-1701-1685-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba29.pdf>). იხ. უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებანი, თბილისი, 2016, 50. <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mnishvnelovani-ganmartebebi-2016.pdf>.



აქტუალობა გადაუხდელობების კრიზისის პირობებში, როდესაც, ერთი მხრივ, მიწოდებული საქონელი, შესრულებული სამუშაო ან გაწეული მომსახურება ყველგან არ არის გადახდილი, ხოლო მეორე მხრივ, არაკეთილსინდისიერი გამყიდველები, კონტრაქტორები და სხვა კონტრაქტორები, რომლებმაც მიიღეს მყიდველების ფული წინასწარ გადახდის სახით და მომხმარებლები, იყენებენ მათ საკუთარი ინტერესებისთვის, არ ასრულებენ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ყოველივე ამის შემდეგ, მსგავსი ფენომენების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალებების შემუშავება და განხორციელება არის მოქმედი კანონმდებლობის ამოცანა, მაგრამ არა სამოქალაქო კოდექსი, რომელიც შექმნილია სტაბილური გრძელვადიანი გამოყენებისთვის.

403-ე მუხლის სამოქალაქო კოდექსში ჩართვა მიზნად ისახავდა ქონებრივი ბრუნვის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, რომლებიც კეთილსინდისიერად ასრულებენ ვალდებულებებს, კონტრაგენტების უკანონო და ხშირად თაღლითური ქმედებებისაგან და მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. მათ.

სიახლის და, რაც მთავარია, ახალი დებულებების მნიშვნელობის გასაგებად, რომელსაც სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი, ქონების ბრუნვის ნორმალიზებისა და გამარტივების მიზნით, შეგიძლიათ შეადაროთ ისინი ამ ნორმის პირვანდელ ვერსიას, რომლებიც მოქმედებდა კოდექსის აღნიშნული მუხლის ახალი ვერსიის ამოქმედებამდე. 403-ე მუხლმა გრაკვეული სახეცვლილება განიცადა, კერძოდ, „2007 წლის 29 ივნისამდე რედაქციით, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებდა, ვალდებული იყო გადაცილებული დროისათვის კანონით განსაზღვრული პროცენტი გადაეხადა. კრედიტორს კანონით განსაზღვრულ პროცენტზე მეტის მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ჰქონდა, თუ საამისო სხვა საფუძველი არსებობდა. მუხლის ამავე რედაქციით მოვალისათვის პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დაუშვებელი იყო“<sup>1</sup>. აღნიშნულ ნორმასთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა ასე თუ ისე ერთგვაროვანი იყო. სასამართლოს განმარტებით, კანონით გათვალისწინებულ პროცენტში ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი იგულისხმებოდა. ამასთან, ვინაიდან ბანკთაშორის აუქციონზე პროცენტის ოდენობა ფიქსირებული არ იყო და დროთა განმავლობაში იცვლებოდა, ამიტომ პროცენტის დადგენაც ვადაგადაცილების პერიოდისათვის არსებული საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად ხდებოდა. საპროცენტო განაკვეთი, როგორც წესი, 2%-დან 3%-მდე მერყეობდა. ამასთან, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის პროცენტის დადგენა არამხოლოდ მაშინ ხდებოდა, როდესაც ფულადი ვალდებულება სარგებლიანი იყო, არამედ მაშინაც, როდესაც, ფულადი ვალდებულებისათვის სარგებელი განსაზღვრული არ იყო. შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული პროცენტის დაკისრების წინაპირობას მხოლოდ და მხოლოდ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილება წარმოადგენდა<sup>2</sup>.

სადღეისოდ არსებული მდგომარეობით „მინიმალური ზიანის“ გარანტირებულად ანაზღაურებას სამოქალაქო კოდექსი აღარ ითვალისწინებს და მას მხარეთა შეთანხმებაზე დამოკიდებულს ხდის<sup>3</sup>. შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში კრედიტორს ისლა დარჩენია, რომ მიუღებელი შემოსავლის სახით საანაბრე პროცენტი მოითხოვოს (411). სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრებული „საანაბრე ფიქციის თანახმად, ფული იმდენად ბრუნვაუნარიანი ობიექტია, რომ მისი არამართლზომიერი დაყოვნება, თავისთავად წარმოშობს ხელიდან გაშვებული ჰიპოთეზური საანაბრე სარგებლის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, მოთხოვნის უფლებას (411)<sup>4</sup>. ამასთანავე, მითითებულ ზიანს მტკიცება არ სჭირდება, თუმცა მტკიცება სჭირდება საანაბრე პროცენტის ოდენობას<sup>5</sup>. თუ გავაკეთებთ მოკლე შედარებით ანალიზს საგადასახადო კანონმდებლობას-

<sup>1</sup> მესხიშვილი ქ; დასახ. ნაშრ; 102.

<sup>2</sup> იქვე. ამასთან დაკავშირ. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 15.03.2002 გადაწყვეტილება, საქმეზე №33/1224-01. <https://old.supremecourt.ge/ganmartebebi/>.

<sup>3</sup> მესხიშვილი ქ; პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას (თეორია და სასამართლო პრაქტიკა), 32. [http://www.library.cuortge/upload/prorents\\_gadaxda.pdf](http://www.library.cuortge/upload/prorents_gadaxda.pdf).

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 647-648, თბილისი, 2019.



თან<sup>1</sup>, დავინახავთ, რომ სახელმწიფოს წინაშე მოვალე ვალდებულია მის ანგარიშზე არსებული ნებისმიერი თანხიდან გადაიხადოს სახელმწიფო ვალდებულება, მისი ქონების დაყადაღებით და ამონაგები თანხის ბიუჯეტში გადარიცხვით (თუმცა, როგორც აღნიშნულია ქვემოთ, ეს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 45-ე მუხლით მოწყვლად პირებს არ უნდა შეეხოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის 2007 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქცია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლის შინაარსს იმეორებდა, იმ განსხვავებით, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი კანონით გათვალისწინებული პროცენტის გამოთვლის წესს თავად ადგენდა, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას ფულად ვალდებულებას პროცენტი ერიცხებოდა, ხოლო ვადის გადაცილების პროცენტს საბაზისო განაკვეთს დამატებული წლიური ხუთი პროცენტი შეადგენდა. საბაზისო განაკვეთს კი ამავე კოდექსის 247-ე მუხლი განმარტავდა, რომლის შესაბამისადაც, საბაზისო საპროცენტო განაკვეთი 3,62 პროცენტი იყო. შესაბამისად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 288-ე მუხლით დადგენილი პროცენტი, წლიურად, 8,62 პროცენტს შეადგენდა. მითითებული პროცენტი საბაზისო განაკვეთის ცვლილების შესაბამისად მერყეობდა<sup>2</sup>.

ბგბ-ს 288-ე ე პარაგრაფის („ვადის გადაცილების პროცენტები“) თანახმად, (1) 1 ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას ფულად ვალდებულებას ერიცხება პროცენტი. 2 ვადის გადაცილების პროცენტი შეადგენს საბაზისო განაკვეთს დამატებულ წლიურ ხუთ პროცენტს. (2) იმ გარიგებების შემთხვევაში, რომლებშიც არ მონაწილეობს მომხმარებელი, საპროცენტო განაკვეთი ფულადი მოთხოვნებისათვის შეადგენს ბაზისურ საპროცენტო განაკვეთზე დამატებულ რვა პროცენტს. (3) კრედიტორს შეუძლია, სხვა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარე, მოითხოვოს უფრო მაღალი პროცენტი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავდროულად, სამოქალაქო კანონმდებლობაში ცვლილებამდე არ არსებობდა ნორმები, რომლებიც ადგენს ფულადი ვალდებულებების დაგვიანების შემთხვევაში სხვისი სახსრების გამოყენების ინტერესს. ამიტომ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ფულადი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, დაზარალებულ მხარეს (კრედიტორს) ხშირად უწევდა დაკმაყოფილებულიყო მოვალისგან მხოლოდ ჯარიმის ოდენობით წლიური პროცენტის დადგენით.

ამავდროულად, თუ სხვა ადამიანების სახსრების დაკავებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წარმოიქმნება შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, ისინი კვალიფიცირდება, როგორც ვალდებულებები უსაფუძვლო გამდიდრებისგან და დარიცხულ თანხაზე დარიცხული იყო პროცენტი სხვა ადამიანების სახსრების გამოყენებისთვის. კრედიტორის ადგილზე არსებული საშუალო საბანკო საპროცენტო განაკვეთის.

ამრიგად, მსგავს სიტუაციებში (მაგალითად, როდესაც საქონელი გადაეცემა მყიდველს და გადახდა დაგვიანებულია), კრედიტორის პოზიცია, რომელიც მოქმედებდა მოვალესთან ხელშეკრულების დადების გარეშე, უფრო უპირატესი აღმოჩნდა, ვიდრე კრედიტორის პოზიცია, რომელ-

<sup>1</sup> სადაც მკაცრად იმპერატიულია სამოქალაქო სამართლის კინტენსენცია „paqta sunt servanda?“, გასაგებია, რამეთუ სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაინც კერძო პირთა შეთანხმებაზეა აგებული და შეიძლება კრედიტორმა ვალის გაპატიოს, რომელიც არანაირ ფინანსურ უსაფრთხოებას არ უქმნის სახელმწიფო ბიუჯეტს, მაგრამ როდესაც საგადასახადო ვალდებულებებზეა საუბარი, აქ კანონი გაცილებით მკაცრია, შეუვალაია, რომლის ძირითადი პრინციპი გადასახადის გადახდის სავალდებულობის პრინციპია. ასე, რომ სახელმწიფოს შეუძლია საანაბრე თანხებიც დააყადაღოს, საგადასახადო ვალდებულების შესრულების მიზნით. მიმაჩნია, რომ მიუხედავად იმისა, მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა სახელმწიფო ბიუჯეტს არანაირ ზიანს არ აყენებს და კონკრეტული პირის (კრედიტორისათვისაა ზიანი მომტანი), მაინც მიგვაჩნია, რომ კრედიტორის მოთხოვნები ძირითად ვალდებულებასთან, გადაცილებული ვადისათვის პროცენტის დარიცხვასთან დაკავშირებით მოვალის სადეპოზიტო თანხებსაც უნდა შეეხოს მასთან მიბმული სარგებლით, გარდა კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 45-ე საგამონაკლიოს ნორმით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

<sup>2</sup> მესხიშვილი ქ. დასახ. ნაშრ; 103; ასევე იხ. კროპპოლერი იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, 2014, 288-ე პარაგ. 179. <http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>.

მაც გააფორმა მისი ურთიერთობა მოვალესთან შეთანხმებით.

სამოქალაქო კოდექსი 625-ე მუხლმა არაერთი ცვლილება განიცადა, კერძოდ, მისი თავდაპირველი რედაქციით კანონი დაზუსტებულად არ მოითხოვდა ზუსტ შესაბამისობას კანონისმიერ პროცენტთან. „შეთანხმებული პროცენტი შეიძლება ოდნავ მეტიც ყოფილიყო ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, თუმცა ეს დასაშვებია იყო გონივრულობის ფარგლებში“<sup>1</sup>. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება მიიჩნეოდა ბათილად<sup>2</sup>. გლობალურად შეიცვალა ფულად ვალდებულებებში პროცენტის განსაზღვრის საკითხი. კერძოდ, გაუქმდა 384-ე მუხლი, რომელიც პროცენტის ვალდებულების დროს ადგენდა წლიური პროცენტის ზღვრული ოდენობის სპეციალური ნორმატიული აქტით განსაზღვრის წესს. ამ ნორმის ამოღებით გაუქმდა კანონისმიერი პროცენტის ინსტიტუტი<sup>3</sup>.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს #194/04 ბრძანების „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების, სესხის, მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გათვალისწინების წესის თაობაზე“<sup>4</sup>, მუხლი 1-ის თანახმად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში – სამოქალაქო კოდექსი) 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიზნებისათვის, საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისა და სესხის გამცემი სუბიექტების მიერ სესხის გაცემის შემთხვევაში: ა) სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებით დადგენილი მსესხებლისათვის გათვალისწინებული/დაკისრებული 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშება მოხდება მსესხებლის მიერ სესხის ვადაგადაცილების დაწყების დღიდან და არ გაითვალისწინება ამ დღემდე გათვალისწინებული/დაკისრებული ნებისმიერი საკომისიო, ნებისმიერი ფინანსური ხარჯი (მათ შორის, ისეთი ხარჯები, რაც შესულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოთვლაში), სესხის ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო მსესხებლისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული/დაკისრებული პირგასამტეხლო ან/და ნებისმიერი ფორმის

<sup>1</sup> ქუქელაშვილი ზ; სახელმეკრულებო სამართალი, თბილისი, 2010, 283.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ძლიერიშვილი ზ; ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2010, 363.

<sup>4</sup> <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4312325?publication=0>

<sup>5</sup> **სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი** – სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაში გაითვალისწინება ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი, მსესხებლის მიერ ამ ხარჯების გაწევის პერიოდის გათვალისწინებით. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებისათვის საჭიროა მსესხებლის მიერ თანხის გადახდების დღევანდელი ღირებულება გაუთანაბრდეს მსესხებლის მიერ გამსესხებლისგან მიღებული და მისაღები თანხების დღევანდელ ღირებულებას. იგი გამოისახება წლიური პროცენტით და გაიანგარიშება მსესხებლის მიერ სესხზე გაწეული ფინანსური ხარჯების გათვალისწინებით. სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\sum_{k=1}^{k=m} \frac{A_k}{(1+i)^{t_k}} = \sum_{k'=1}^{k'=m'} \frac{A'_{k'}}{(1+i)^{t_{k'}}$$

ამ მუხლის პირველ პუნქტში გამოყენებულ აღნიშვნათა განმარტება: ა)  $k$  – თანხის გამოტანის (გამსესხებლისგან მიღების) რიგითი ნომერი; ბ)  $k'$  – თანხის შეტანის (გამსესხებლისთვის გადახდის) რიგითი ნომერი; გ)  $A_k$  –  $k$  რიგითობით გამოტანილი სესხის თანხა; დ)  $A'_{k'}$  –  $k'$  რიგითობით გადახდილი თანხა – ფინანსური ხარჯი; ე)  $\Sigma$  – ჯამის ნიშანი; ვ)  $m$  – თანხის გამოტანის საერთო რაოდენობა; ზ)  $m'$  – თანხის გადახდების საერთო რაოდენობა; თ)  $t_k$  – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგობით გამოტანასა და შემდგომ გამოტანებს შორის – მეორედან –  $m$ -მდე; ი)  $t_{k'}$  – დროის ინტერვალი, გამოსახული წლებში ან წლის წილადის სახით, სესხის პირველ რიგობით გამოტანასა და გადახდებს შორის – პირველიდან –  $m'$ -მდე; კ)  $i$  – სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი. იხ. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2022 წლის 17 თებერვლის #15-04 ბრძანება „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მიზნებისათვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განმარტების სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის გამოთვლის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოს ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის წესის გათვალისწინების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 აგვისტოს #194/04 ბრძანებაში ცვლილების შესახებ“. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5384792?publication=0>.

ფინანსური სანქცია; ბ) სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-3 წინადადებით დადგენილი 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშებისას, სესხის მიმდინარე ნარჩენ ძირითად თანხას წარმოადგენს სესხის ვადაგადაცილების დაწყების დღეს არსებული სესხის მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხა და ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ცვლილება არ გაითვალისწინება; გ) თუ სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრა ხდება სესხის რესტრუქტურირების, სესხის რეფინანსირების (თუ რეფინანსირება ხდება თავდაპირველ მსესხებელთან) და გადავადებისას, სამოქალაქო კოდექსის 625-ე მუხლის მე-5 ნაწილის მე-5 წინადადების შესაბამისად, სესხის ნარჩენ ძირითად თანხაში არ გაითვალისწინება სესხის ნარჩენი ძირითადი თანხის ნაზარდი (სხვაობა სესხის ვადის გადაცილების სრული აღმოფხვრის შემდეგ არსებულ სესხის ნარჩენ ძირითად თანხასა და სესხის ვადის გადაცილების დღეს არსებული სესხის მიმდინარე ნარჩენ ძირითად თანხას შორის). ბუნებრივია, ისმის კითხვა: **რამ გამოიწვია სკ-ის 625-ე მუხლის ძირფესვიანი ცვლილებები?** პირველ რიგში, აღსანიშნავია ფაქტი იმის შესახებ, რომ გლობალური საბაზრო ეკონომიკის დროს, როცა მოსახლეობის დიდ ნაწილს თავიანთი ეკონომიკური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად არ გააჩნია ფულადი სახსრები, მას ხელი მიუწვდება საბანკო პროდუქტებზე (სესხებზე), თუმცა, ბუნებრივია, ფინანსური ტექნოლოგიების პირობებში გარკვეულ რისკებთანაა დაკავშირებული საბანკო სესხებით სარგებლობა, რამეთუ მისი თანმდევი კრედიტორის საპროცენტო სარგებელი, რომელიც არც თუ ისე დაბალია და გარკვეული ფინანსური რისკების მატარებელია საბანკო სესხების მიმღები მომხმარებლისათვის, რომელიც ხვალ, სავარაუდოდ, შეიძლება გადახდისუუნარო გახდეს (ამას თან ემატება მოსახლეობის დაბალი ფინანსური განათლება, რომელსაც ხშირ შემთხვევაში ჩიხში შეჰყავს სესხის ამღები) და ხდება ვალაუვალი. სუპერ-კრედიტორი (გამსესხებელი კი თავისას კანონიერად ითხოვს – ვალი და საპროცენტო სარგებელი უნდა დაბრუნდეს? იზრდება ვადაგადაცილების მქონე მსესხებლების რაოდენობა. ასეთი ტენდენცია პრობლემას ქვეყნის ეკონომიკისთვის და არასასურველია თავად ფინანსური სექტორის გრძელვადიანი განვითარებისთვის; ამას ემატება ონლაინ სესხების გაცემაც კერძო პირებზე, რომელიც საქართველოში, სამწუხაროდ, მყარად კონტროლირებადი არ არის. „2016 წელს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განხორციელდა ცვლილება და დაწესდა სესხზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი, რამაც მნიშვნელოვნად შეზღუდა ე.წ. ონლაინ სესხების აგრესიული მარკეტინგი და ზოგადად ამ სეგმენტის ზრდა. თუმცა, მალევე, ის ჩაანაცვლა ანალოგიურმა საბანკო პროდუქტმა. კომერციულ ბანკებს, მასშტაბის გამო, ბევრად მაღალი ეფექტიანობა აქვთ, უფრო დეტალურ ინფორმაციას ფლობენ საკუთარ მრავალრიცხოვან კლიენტებზე და უფრო მძლავრი გაყიდვების არხები აქვთ, რაც საშუალებას იძლევა მაღალრისკიან მსესხებლებზე, თუნდაც 95%-ად გაცემული კრედიტის შემთხვევაში, სასურველი მოგება მიიღონ“<sup>1</sup>. ხშირ შემთხვევაში, მსესხებელი პირები კარგავენ სესხის უზრუნველსაყოფად დატვირთულ ქონებას, რაც მათი ერთადერთი საარსებო წყარო შეიძლება იყოს. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, საფრთხე ექმნება იმ მიზნის მიღწევას, რისთვისაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის 100%-იანი ლიმიტი დაწესდა – მომხმარებლების დაცვა ჭარბვალაიანობისგან. ამიტომ, მიზანშეწონილია, განხორციელდეს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ლიმიტის შემცირება, რათა მან უკეთესად უპასუხოს მიმდინარე გამოწვევებს და ხელი შეუწყოს პასუხისმგებლიანი დაკრედიტების პრაქტიკის დამკვიდრებას. გარდა ამისა, ბაზარზე შეიმჩნევა ტენდენცია, რომ შეზღუდული საპროცენტო განაკვეთების პირობებში, კრედიტორები ცდილობენ მისაღები შემოსავლები მაღალი ჯარიმებით დააბალანსონ. არსებული ლიმიტები ამ მხრივაც გადახედვას საჭიროებს, რათა ისედაც ფინანსური სიძნელეების მქონე მსესხებელს ჭარბი ოდენობით ჯარიმები არ დაეკისროს. მიუხედავად იმისა, რომ 2017 წლის იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებით დაწესდა სესხზე დაკისრებული ფინანსური ხარჯების მაქსიმალური დღიური ლიმიტი – წლიური 150% (ანუ დღეში დაახლოებით 0,41%), ის არ ზღუდავს აღნიშნული ხარჯების დაკისრების ხანგრძლივობას. ლოგიკურია, რომ თუ მომხმარებელი ხანგრძლივი პერი-

<sup>1</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186591>.

ოდით ვერ ახერხებს სესხის მომსახურებას, მასზე დამატებით ფინანსური ხარჯების დაკისრება უსასრულოდ არ უნდა ხდებოდეს. აქვე, პროცენტული ზღვრების განსაზღვრისას, მხედველობაშია მისაღები, რომ ჯარიმა-საურავებს გააჩნიათ სანქციის ფუნქციაც, რაც მსესხებლის დისციპლინირებულ ქცევას უზრუნველყოფს. ამიტომ, ბალანსის დაცვა მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2017 წლის იანვრიდან ამოქმედებული ცვლილებებით, სესხის საპროცენტო განაკვეთისა და ჯარიმების შეზღუდვასთან ერთად, აიკრძალა უცხოურ ვალუტაში 100 000 ლარამდე სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, მათ შორის ინდივიდუალურ მეწარმეებზე. ერთიანი მდგომარეობისა და მოსახლეობის განსაკუთრებით მოწყვლადი ფენის სავალუტო რისკებისგან დაცვის უზრუნველსაყოფად, მიზანშეწონილია იგივე შეზღუდვა გავრცელდეს ლიზინგსა და განვადებით ნასყიდობის შემთხვევაზეც და კანონით განისაზღვროს, რომ განვადებით ნასყიდობის შემთხვევაში გამყიდველის მიერ ნასყიდობის ფასის მიღება, ხოლო ლიზინგის შემთხვევაში ლიზინგის გამცემის მიერ საზღაურის მიღება ფიზიკური პირებისაგან (მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეებისაგან) არ უნდა იყოს უცხოურ ვალუტაზე მიბმული ან ინდექსირებული. გარდა ზემოხსენებულისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნის უზრუნველყოფის სანივთო სამართლებრივი საშუალებები – გირავნობა და იპოთეკა არ განსაზღვრავს მოვალის სამართლებრივი დაცვის მექანიზმს კრედიტორის მხრიდან მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევაში. გირავნობა და იპოთეკა დღევანდელ რეალობაში არა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებაა, არამედ კრედიტორის (ე.წ. „მევახშეების“ და ლომბარდების) ძირითადი ინტერესი გახდა. ხშირ შემთხვევაში, კრედიტორი თვითონ არის დაინტერესებული მოვალის მხრიდან ხელშეკრულების დარღვევით, რათა მას მიეცეს იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონებისა და გირავნობით დატვირთული მოძრავი ქონების/არამატერიალური ქონებრივი სიკეთის დასაკუთრების შესაძლებლობა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსახლეობის ჭარბვალიანობის პრობლემის გადასაჭრელად, დღის წესრიგში დადგა საკითხი, დარეგულირებულიყო საკრედიტო ურთიერთობები მომხმარებელთა უფლებების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, ასევე, დახვეწილიყო რეგულაციები ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების/კრედიტების უზრუნველყოფის სანივთო-სამართლებრივ საშუალებებთან დაკავშირებით<sup>1</sup>.

სასამართლო პრაქტიკა ცდილობს როგორმე გამოასწოროს ეს დისბალანსი, რაც აისახება, საარბიტრაჟო სასამართლოს ზოგიერთ განმარტებასა და რეკომენდაციაში. მაგ., **დაირღვა პროპორციულობის პრინციპი**. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც არბიტრაჟის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოს ან საპროცენტო განაკვეთის ოდენობა იმდენად დიდია, რომ შეუიარაღებელი თვალთაც ჩანს პროპორციულობის პრინციპის დარღვევა მისი დაკისრებით. მაგალითად, ავსტრიის უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილებით, განხილულია საკითხი, რამდენად ეწინააღმდეგებოდა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა ავსტრიის საჯარო წესრიგს. 445 ამ საქმეში ტრიბუნალმა მხარეს დააკისრა შეთანხმებული პირგასამტეხლო მთლიანი თანხის (DM 41,125.47) 0.2%-ის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. სასამართლომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხის შეფასებისას დაადგინა, რომ შეთანხმებული პროცენტის საფუძველზე, წლიური პირგასამტეხლოს ოდენობა 73%-ს უტოლდებოდა, ხოლო ეფექტური – 107.35%-ს. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთი ოდენობის პირგასამტეხლოს ხელშეკრულებით განსაზღვრა გახლდათ კერძო ავტონომიის პრინციპის ბოროტად გამოყენება. ამასთან, სასამართლოს აზრით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არამართო ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 879(1) მუხლს, რომელიც ამორალურ გარიგებას ბათილად ცნობს, არამედ, თავისი მასშტაბიდან გამომდინარე (როდესაც დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობა აჭარბებს ძირ თანხას), ეწინააღმდეგებოდა ავსტრიის საჯარო წესრიგს.

<sup>1</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186591>.

In the absence of norms that specifically define annual interest, the legislator did not intend to recognize the independent liability of a monetary obligation (in the form of annual interest) in such cases. Annual interest, in this context, should be treated similarly to a fine. Furthermore, this approach is consistent with the principle of prohibiting the application of two independent measures of responsibility for the same breach of obligation.

In a situation where the creditor demands not only the payment of annual interest for the non-fulfillment or improper performance of a monetary obligation, but also compensation for damages, the operation of this principle is evident in the compensatory nature of the interest charged by the debtor in relation to the recoverable losses.

In all cases involving a commercial loan (Article 623 of the Civil Code), the debtor is required to pay interest at the rate of the Central Bank's refinancing rate for the entire period of using another party's money. The actual payment of the corresponding amounts is made as part of the commercial loan repayment, starting from the moment of delay in the performance of the monetary obligation.

### **Conclusion**

Interest can be defined as a monetary gain that the debtor receives from the unjustified saving or use of the creditor's funds. As for annual interest, the collection of interest must occur regardless of the debtor's fault, due to the unjustified acquisition or saving of another person's property. The basis for such a claim for interest is the debtor's unlawful actions, which are manifested in the unjustified receipt of income from saved funds.

When it comes to the non-fulfillment of obligations and the related duties of the debtor, which are followed by monetary obligations as a form of liability, it is not just the relevance of the corresponding norms during payment crises that matters. On one hand, provided goods, completed work, or rendered services may remain unpaid, and on the other hand, dishonest sellers, contractors, and other parties who receive advance payments from buyers and then use those funds for their own interests without fulfilling contractual obligations, must be held accountable. After all, developing and implementing legal remedies to combat such phenomena is a task for existing legislation, not the Civil Code, which is designed for stable long-term application.

At present, the Civil Code no longer provides for a guaranteed compensation of "minimal damage," instead making it contingent on the agreement of the parties. In the absence of an agreement, the creditor can only demand an unacceptable income in the form of interest (411). According to the established judicial practice of the "deposit fiction," money is so fluid and versatile in circulation that any unjustified delay naturally creates the right to demand income loss as unacceptable income (411). Furthermore, the aforementioned point does not require proof, but the amount of deposit interest does need to be proven.

If we make a brief comparative analysis with tax legislation, we can see that the debtor is required to pay the state's obligations from any amount in their account, by seizing their property and transferring the proceeds to the state budget. However, as noted below, this does not apply to vulnerable individuals under Article 45 of the "Enforcement Proceedings" law.

In some cases, arbitration courts have considered the interest in the use of another's funds as a loss in the form of lost profits. However, it is difficult to explain the legislator's position on the correlation between interest and loss in this case. Interest is the cost of using funds, a certain equivalent of their value in economic turnover, which, by its legal nature, represents a special measure in civil law. This legal responsibility cannot be attributed to either fines or damages. The collection of interest for the use of another's funds does not hinder creditors' ability to satisfy claims regarding legal or enforcement proceedings. Contractual fines from the debtor, including those in the form of continuously applied penalties, may not be reduced by the court on grounds of disproportionate results.

In court decisions and enforcement documents, the amount on which interest is calculated, the amount of interest, and the date from which it must be calculated must be specified. The specific amount on which interest will be calculated must be determined by the relevant bank on the day the court decision is actually

enforced, meaning that the amount collected according to the court decision must be deducted from the debtor's account and transferred to the creditor.

Another note regarding the application of rules for liability for the non-fulfillment of monetary obligations in arbitration and court practice: An excessively narrow, formal interpretation of these norms has been recognized as unacceptable, which was reflected in practice. The concept of "foreign funds" includes not only money owned by another person but also money designated for the contractor, which is the obligation for provided (sold) goods, performed work, or rendered services, even if the funds are not formally "foreign" to the debtor.

Some authors, who do not recognize the annual interest as a fine or damage, still believe that the interest on the use of other people's funds should belong to civil liability and represents a separate category of atypical (special) measures of property responsibility. Thus, Puginsky argues that, alongside fines and damages, "there is a whole range of measures for property impact, which, due to their inherent characteristics, can be distinguished as an independent group of atypical liability measures. Specifically, the obligation of a party who unjustifiably used someone else's money (sometimes property) to pay interest for the entire period of use... **The annual interest** cannot be attributed to a fine. They aim to compensate the creditor's loss, although they have a **clear secondary goal – to punish** the wrongdoer. The general limitation periods are used for the accrual of annual interest, not the shortened ones as with fines and penalties."

The payment of interest for the use of borrowed or other monetary obligations is considered an **additional obligation** based on law or agreement, the necessity of which is dictated by the characteristics of money, which acts as the subject of obligations, increasing the turnover of property. It is interesting to note that the legislated interest rate should have been justified by the conditions of the Georgian money market; in this form, the legalized interest, of course, is presented as the payment for the use of funds.

Before fixing a position regarding the nature of annual interest on the use of other people's funds, it should be noted that when examining the nature of interest, it is necessary, first and foremost, to act not from a hypothetical interest rate but from the annual percentages that have the form derived from the current civil law norms. It is also impossible to abstract from the generally accepted approaches of legislative techniques based on the rationality of the legislator's actions. For this reason, for example, the position of authors who attribute interest to the type of damage cannot be accepted aprioristically<sup>1</sup>. Determining the nature of the interest charged on damages (including fines) and establishing the rules for compensating damages not accounted for by the interest is crucial. The legislator, acting reasonably, cannot deduce from the fact that interest is a form of damage. This also applies to numerous other provisions in the Civil Code, where the concepts of loss, interest, and fines are used as separate, independent categories (see Articles 403, 404, 625, etc.).

The annual interest for non-performance (or delay) of monetary obligations is an independent form of civil liability, alongside compensation for damages and payment of fines. Moreover, the characteristics of annual interest, which differentiate it as an independent form of civil liability, should not be sought so much in their calculation, evidence, and application specifics (as is the case with damages and fines), but in the specific subject matter of the monetary obligation itself.

**Money is a special object of civil rights;** it is interchangeable because it is always in circulation and, when used in property turnover, it does not lose its properties, but rather tends to grow. Therefore, monetary obligations exclude the impossibility of performance, and the debtor's lack of the necessary funds cannot, under any circumstances, even in the presence of events that could be qualified as force majeure, serve as a basis for the debtor's exemption from liability for the non-performance of monetary obligations.

---

<sup>1</sup> Should we not distinguish the type of damage as defined by the law, whether significant or minor, but the damage suffered by the creditor (e.g., the profit they should have received, such as the amount they should have received from the debtor being "invested" in the business)?

## Referred Normative Acts, Literature, Judicial Practice, and Web Resources

## Normative Acts

## Legislative Acts:

- Civil Code of Georgia
- Law of Georgia on “Free Industrial Zones”
- Law of Georgia on “Prevention of Money Laundering and Terrorist Financing”

## Sub-Legislative Acts:

- Decree of the President of the National Bank of Georgia, dated April 7, 2011 (No. 24/04), “On Approval of the Instruction for Opening Accounts in Banking Institutions and Conducting Transactions in Foreign Currency,” Article 11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1279467?publication=0>.
- Decree of the President of the National Bank of Georgia, August 27, 2018, No. 194/04 - Amendments <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5384792?publication=0>.

## Literature:

- Gabisonia Z.; *Banking Law*, Tbilisi, 2017.
- Dzierishvili Z., Tseretadze G., Robakidze I., Svanadze G., Tseretadze L., Janashia L.; *Contract Law*, Tbilisi, 2014.
- *Commentary on the Civil Code*, Book III, General Part of Obligatory Law, 2019.
- Meskhishvili K.; *Interest Payment upon Delay of Payment of Monetary Amount (Theory and Court Practice)*, 32. [http://www.library.court.ge/upload/proreus\\_gadaxda.pdf](http://www.library.court.ge/upload/proreus_gadaxda.pdf).
- Tchetchelashvili Z.; *Contract Law*, Tbilisi, 2010, 283.
- Dzierishvili Z.; *Legal Nature of Property Transfer Contracts*, Tbilisi, 2010.
- *Commentary on the Civil Code*, Book III, 647-648, Tbilisi, 2019.
- Kropholer Jan; *The German Civil Code, A Study Commentary*, Tbilisi, 2014, <http://www.library.court.ge/upload/giz2014-ge-BGB-Komm-Translation.pdf>.
- Palandt, *Bürgerliches Gesetzbuch*, C.H.Beck, 73rd Edition, 2014, §289, Rn.; Source: Meskhishvili K.; *Current Issues of Private Law, Theory and Court Practice*, Volume I, 2020.
- Vitryansky Vasily Vladimirovich, *Interest on Monetary Obligations as a Form of Responsibility, Economy and Law*, 1997, No. 8, pp. 54-74. <http://www.civilista.ru/articles.php?id=91>.
- Lunts L.A.; *Money and Monetary Obligations* – Moscow: Financial Publishing House NKF USSR, 1927. [https://www.consultant.ru/edu/student/download\\_books/book/lunc\\_la\\_dengi\\_i\\_denezhnye\\_obyazatelstva\\_v\\_grazhdanskom\\_prave/](https://www.consultant.ru/edu/student/download_books/book/lunc_la_dengi_i_denezhnye_obyazatelstva_v_grazhdanskom_prave/).
- *Civil Code. Practical Commentary on the Civil Code*, edited by A.I. Vinaver and I.B. Novitsky. Prof. I.B. Novitsky. Obligatory Law. Commentary on Articles 106 - 129. – Moscow: Law and Life, 1925.
- See: Vilkovala N.G. *Annual Interest on Monetary Obligations from Foreign Trade Contracts* // Materials from the Section of Law of the USSR Chamber of Commerce and Industry, Issue 34. – Moscow, 1983.
- Rosenberg M.G. *International Sales Contract. Modern Practice of Conclusion. Dispute Resolution*. – Moscow, 1996.
- Sadikov O.N. *Ensuring the Execution of Foreign Trade Contracts. Textbook*. – Moscow, 1979. <https://cyberleninka.ru/article/n/k-voprosu-o-sootnoshenii-bankovskih-protseptov-s-ubytkami-i-neustoykoy>.
- Puginsky B.I.; *Civil Law Tools in Economic Activity*, p. 140. See also: Vitryansky V.V. *Problems of Arbitration and Judicial Protection of Civil Rights of Participants in Property Circulation*. Dissertation. – Moscow, 1996, pp. 29 - 30. <https://urait.ru/book/izbrannye-trudy-537312>.
- *Civil Code Project*. The Second Volume of the Project of the Most High Commission for Drafting the Civil Code. Edited by I.M. Tyutyumov. – St. Petersburg.
- *Principles of International Commercial Contracts* // Translated from English by A.S. Komarov. – Moscow, 1996. <https://www.unidroit.org/wp-content/uploads/2021/06/Unidroit-Principles-2010-Russian-bl.pdf>.

## Court Practice:

- Supreme Court of Georgia, Civil Chamber, Clarification on October 22, 2012, in Case #as-1701-1685-2011 (<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ganmarteba29.pdf>). See: *Important Clarifications of the Supreme Court*, Tbilisi, 2016, p. 50. <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mnishvnelovani-ganmartebebi-2016.pdf>.
- Supreme Court of Georgia Decision of 15.03.2002, Case #3k/1224-01. <https://old.supremecourt.ge/ganmartebebi/>.
- Tbilisi Court of Appeal Decision of 12 September 2012, Case #2b/2747-11; Tbilisi Court of Appeal Decision of 30 June 2011, Case #2b/2220-11. <https://old.supremecourt.ge/ganmartebebi/>.
- SUSG (Case #as-570-541-2015). <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/n84-mnishvnelovani-ganmarteba.pdf>.
- Supreme Court of Austria, Decision of 26 January 2005, Case #3 Ob 221/04b.

## Web Resources:

- Explanatory Note on the Draft Law of Georgia on Amendments to the Civil Code of Georgia, <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/186591>.
- Tkemaladze, Sofio, “Public Order” as a Ground for the Annulment or Refusal to Recognize and Enforce an Arbitral Award (A Brief Review of Georgian Practice), *Georgian Business Law Review* (2013), 2nd Edition, pp. 27-28. Source: Guide for Judges of the Appeal Courts of Georgia on Arbitration, author: Kol. 179, [https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP\\_GE\\_DG\\_Arbitration\\_Guide\\_for\\_Appeal\\_Court\\_geo.pdf](https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/UNDP_GE_DG_Arbitration_Guide_for_Appeal_Court_geo.pdf).



**ქეთი ჯიჯიშვილი**  
პოლიტიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნის  
აფილირებული პროფესორი

**სოფიო გორგილაძე**  
სტუ-ს დოქტორანტი

## დონალდ ტრამპი და საარჩევნო მანიპულაციები

### ანოტაცია

ამერიკული პრეზიდენციალიზმის ისტორიაში რთულია მოიძებნოს მსგავსი წინააღმდეგობებით აღსავსე, მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებები და პოზიციები, როგორც დონალდ ტრამპის მიმართ არის. დონალდ ტრამპი არის პირველი პრეზიდენტი, რომელსაც არჩევნებში გამარჯვებამდე, არც ერთ პოლიტიკურ თუ ადმინისტრაციულ თანამდებობასთან არ ჰქონია შეხება. მისი უშუალო პოლიტიკური საქმიანობა, პირდაპირ თეთრი სახლიდან დაიწყო. აშშ-ის პრეზიდენტთა ჩამონათვალში ტრამპი პირველია, ვის წინააღმდეგაც სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.

**სკვანძო სიტყვები:** სოციალური ქსელები, ფეისბუქი, ტვიტერი, ინსტაგრამი, აპლიკაცია, საარჩევნო პროცესი, სოციალური მედია, პოლიტიკური მანიპულაცია.

### დონალდ ტრამპი და საარჩევნო მანიპულაციები

შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა, სამოქალაქო ომის შემდეგ, ორ ბანკად, ისე გახლეჩილი არასდროს ყოფილა, როგორც ტრამპის საპრეზიდენტო არჩევნებისას. ეს ხმაური, განსაკუთრებით, თვალშისაცემია 2024 წლის არჩევნების წინა პერიოდში. თითქოსდა ლოგიკას არის მოკლებული, ის ფაქტი, რომ რესპუბლიკურმა პარტიამ კანდიტადად ოფიციალურად წარადგინა პიროვნება, რომლისთვისაც მძიმე დანაშაულზე წაყენებულ ბრალულობათა რაოდენობა 91-ს აღწევს, მათ შორის, **მწერალ ელიზაბედ ჯინ კეროლის სექსუალური შევიწროვებისათვის დონალდ ტრამპს დაეკისრა 3 მილიონი დოლარი, ჯარიმის სახით – 65 მილიონი, ხოლო თადლი-ტობისთვის 454.2 მილიონი დოლარის გადახდა (<https://www.alia.ge/thu-trampma-gaimarjva-totalitarizms-daamqharebs-amerikashi-da-evropas-moutsevs-sam-totalitarul-sakhelmtsiphosthan-pirispir-darchena-soso-tsintsadzis-politikuri-prognozebi/>).**

დონალდ ტრამპს სასამართლო პროცესების წაგებამ ვერ შეუშალა ხელი, რომ აშშ-ის შტატების პრაიმერიზი და კოკუსები პირწმინდად მოეგო. მან მხოლოდ ვერმონტის შტატსა და ვაშინგტონის ოლქში წააგო, სადაც ტრადიციულად „დემოკრატების“ მომხრეები ცხოვრობენ: ამერიკის პოლიტიკური ელიტა – სახელმწიფო მოხელეები და ინტელიგენცია.

ამგვარი წინასაარჩევნო პოლიტიკური პროცესები გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტრამპს ძალიან ერთგული მხარდამჭერები ჰყავს, რომელთაც აშშ-ში უწოდებენ „მეგა ამომრჩევლებს“ – დაბალი და საშუალო განათლების ადამიანები, უმეტესად პროვინციიდან. ისინი არ თმობენ იმ კონსერვატიულ ტრადიციებსაც კი, რომელიც უკვე ანაქრონიზმად არის ქვეული ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში: მისტირიან დონალდ რეიგანის დროინდელ ამერიკას, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა, რომელმაც შეძლო სსრკ-ის დაშლა და ევროპა გავლენის სფეროდ გახდა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, რომ ემიგრანტი მექსიკელებიც კი მხარს უჭერენ ტრამპს, ვინც მექსიკასთან კედელი ააშენა და საიმიგრაციო კანონი გაამკაცრა. მექსიკელები ახდენენ ნატურალიზაციას და აშშ-ში ცხოვრებისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლებას სასა-

მართლოს გზით აღწევნ. მათი რიცხვი ამერიკელი ექსპერტების პროგნოზით, წლის ბოლოს 12 მილიონს მიაღწევს.

ტრამპის ამომრჩევლებთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის, რომ „რესპუბლიკელები“ ისტორიულად, „დემოკრატებთან“ შედარებით, უფრო მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ 1976 წლის აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები, რომელშიც მოქმედი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი და „რესპუბლიკელი“ რონალდ რეიგანი იყრიდნენ კენჭს,

ბოლო რეიტინგით რეიგანს კარტერი უსწრებდა და მას გამარჯვების დიდი შანსი ჰქონდა, მაგრამ კარტერის მომხრე ინტელექტუალი დემოკრატები არჩევნების დღეს უამინდობის გამო არ წავიდნენ არჩევნებზე, ხოლო რეიგანის მხარდამჭერი კონსერვატორები სრულად იყვნენ მობილიზებული იმ ქალაქებშიც, სადაც ავდარი იყო. სწორედ ამ ქალაქებში მიღებული ხმებით მოიგო არჩევნები რეიგანმა და აშშ-ს სახელმწიფოს სათავეში მოვიდა, არა მხოლოდ აშშ-ის, არამედ, უახლოეს მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული და საუკეთესო პრეზიდენტი.

ფანატიზმამდე მისული ამომრჩევლისათვის ტრამპი რესპუბლიკური პარტიის ცენტრია, ყველა დანარჩენი კი მის გარშემო ორბიტაზე მოძრაობს. ისინი რესპუბლიკურ პარტიას ორ ნაწილად ჰყოფენ: 45-ე პრეზიდენტის ერთგულებად და „მხოლოდ სახელით რესპუბლიკელებად« (RINO – Republican In Name Only). RINO-ს იარლიყი ტრამპის მოგონილი არ არის. აღნიშნული ტერმინით ჯერ კიდევ 1990-იან წლებში იმ კონსერვატორებს მოიხსენიებდნენ, რომლებსაც სხვადასხვა პოლიტიკურ საკითხში საკმარისად მყარი კონსერვატიული შეხედულებები არ ჰქონდათ. თუკი რესპუბლიკელი ემორჩილება ტრამპის ნებას და მისი ერთგულია, ის «ნამდვილი რესპუბლიკელია», წინააღმდეგ შემთხვევაში იგი RINO-ს გზას ადგას.

ამომრჩევლებში ტრამპის ასეთი პოპულარობა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი არის ტრამპის მიერ სოციალური ქსელების აქტიურად გამოყენების პრაქტიკა. სოციალური მედიით მანიპულირება მოიცავს ტექნიკურ ქმედებათა მთელ სერიას, სადაც ბოროტად იყენებენ, სოციალური მედიის ალგორითმებს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის.

სოციალური ქსელის გავლენის საილუსტრაციოდ საკმარისია ითქვას, რომ მსოფლიოში სოციალური ქსელების აქტიურ მომხმარებელთა რიცხვი დაახლოებით 3,43 მილიარდი ადამიანია. ეს დედამიწის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 43 %-ს შეადგენს.

თანამედროვე გლობალურ პროცესებში სოციალური მედია გადაიქცა არამარტო თავისუფალი კომუნიკაციის და ინფორმაციის გაცვლის, არამედ პოლიტიკური გავლენებისათვის ბრძოლის არეალად.

საინფორმაციო ტექნოლოგიებით, კერძოდ, სოციალური მედიის პლატფორმების მოხმარებით გამოირჩევა აშშ-ს ექს პრეზიდენტი დონალდ ტრამპი. ის თავისი საარჩევნო პერიოდის ეტაპებზე სხვადასხვა ტიპის აქტიურობით მიმართავდა სოციალური მედიით მანიპულირების ტექნოლოგიებს, რაც პირდაპირ აისახებოდა კამპანიის შედეგებზე.

ტრამპი, ყველაზე აქტიურად, სოციალურ ქსელებს პირველი საარჩევნო კამპანიის დროს, 2015-2016 წლებში იყენებდა. ამომრჩევლებში სასურველი ფსიქოლოგიური განწყობების შექმნის მიზნით, ბრიტანულმა მონაცემთა საკონსულტაციო ფირმამ „კემბრიჯ ანალიტიკამ“, რომელიც ამ პერიოდისათვის ტრამპისათვის მუშაობდა, მთავარი სოციალური ქსელის „ფეისბუქი“-ის 50 მილიონი მომხმარებლის მონაცემები უკანონოდ გამოიყენა ტრამპის სასარგებლოდ.

ეს არ იყო ამ კამპანიის მიერ ფეისბუქის მეშვეობით საარჩევნო კამპანიის მანიპულირების პირველი შემთხვევა. ცოტა ხნით ადრე, 2014 წ. ფეისბუქმა საბჭოთა კავშირში დაბადებულ მკვლევარს, კემბრიჯის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის პროფესორს, 32 წლის ალექსანდრ კოგანს, უფლება მისცა შეეგროვებინა სოციალური ქსელის ასეულობით ათასი მომხმარებლის პერსონალური მონაცემი და გამოეყენებინა მეცნიერის მიერ შექმნილი აპლიკაცია – „ეს არის შენი ციფრული ცხოვრება“. აპლიკაცია მომხმარებელს სთავაზობდა ე.წ. პიროვნების ტესტს, რომლის სანაცვლოდ აპლიკაცია შეაგროვებდა მონაცემებს მომხმარებელთა ადგილსამყოფელის, მეგობრები-

სა და ფეისბუქზე მათი „მოწონებების“ შესახებ. კოგანის განცხადებით, მას აღნიშნული ტესტი ფეისბუქ მომხმარებლების ონლაინ ქცევის შესასწავლად სჭირდებოდა.

პროფესორმა კოგანმა, შეგროვებული მონაცემები გაუზიარა საკონსულაციო ფირმას „კემბრიჯ ანალიტიკას“, რომელიც New York Time-ის და The Observer-ის ცნობით, იმ დროისთვის დონალდ ტრამპის წინასაარჩევნო კამპანიისთვის მუშაობდა. მომხმარებლების მონაცემების შეგროვებით მათ მიეცათ მოქმედების ისეთი სტრატეგიის შექმნის საშუალება, რომელიც, გარკვეულწილად, არჩევნების შედეგებზე ზეგავლენას იქონიებდა. ამ ქმედებით პროფესორმა დაარღვია კომპანიის რეგულაციები, რადგან მას არ ჰქონდა უფლება, აპლიკაციის საშუალებით მოპოვებული მილიონობით პერსონალური ინფორმაცია გადაეცა მესამე პირისთვის და აპლიკაციის მიღმა გამოეყენებინა. ფეისბუქმა დარღვევა აღმოაჩინა და „კემბრიჯ ანალიტიკას“ მოსთხოვა წაეშალა მონაცემები და საერთოდ გაუქმა „კემბრიჯ ანალიტიკას“ და პროფესორ კოგანს ანგარიშები. როგორც The New York Time-ს წერს, Cambridge Analytica-ს ამ მონაცემებზე წვდომა 2016 წლის ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც ჰქონდა, თუმცა, თავად Cambridge Analytica-ში The New York Time-ის ბრალდებებზე აცხადებენ, რომ მომხმარებლების მონაცემები 2016 წლის საპრეზიდენტო კამპანიაში არ გამოუყენებიათ.

მონაცემებით მანიპულირების გარდა, „კემბრიჯ ანალიტიკა“ ტრამპის საარჩევნო პროცესში სხვა მეთოდებსაც მიმართავდა. კომპანიის ხელმძღვანელი, ალექსანდრე ნიქსი ბრიტანეთის „მეოთხე არხის“ ჟურნალისტთან საიდუმლო შეხვედრის ჩანაწერში აღიარებს, რომ „კემბრიჯ ანალიტიკა“ დონალდ ტრამპის საარჩევნო გუნდს დაეხმარა გამარჯვებაში. მას საარჩევნო პროცესის კამპანიის წარმართვა შეუძლია ისე, რომ არ დარჩეს არანაირი კვალი და ასახელებს იმ საშუალებებს, რომლითაც მას პოლიტიკოსის პიარკამპანიაში ჩარევა შეუძლია, კონკრეტულად, ე.წ. ფეიქ ნიუსების შექმნა, შემდეგ კი მომხმარებლის მიერ მოპოვებული მონაცემების მიხედვით იმ სეგმენტზე განაწილება, რომელსაც საკითხის მიმართ ყველაზე მაღალი სენსიტიურობა ექნებოდა. „ჩვენ ჩავატარეთ ყველანაირი მიზნობრივი კვლევა. ვხელმძღვანელობთ ციფრულ და სატელევიზიო კამპანიას, ხოლო მომხმარებლის მონაცემები ამ სტრატეგიისთვის ინფორმაციის წყარო იყო,“ – აღნიშნავს ნიქსი ვიდეოში.

გარდა ამისა, ნიქსი იმ მეთოდებსაც ასახელებს, რომლითაც კომპანიას შეუძლია პოლიტიკოსის გამოჭერა, კონკრეტულად, ქრთამის შეთავაზების ან ესკორტის გოგონების გამოყენების შემთხვევებით. პოლიტიკოსებზე ინფორმაცია „არ არის აუცილებელი იყოს სიმართლე. საჭიროა, რომ უბრალოდ იყოს დამაჯერებელი“ (ჩხიკვაძე, 2018).

ჩანაწერში ნიქსი აღიარებს, რომ სწორედ ასეთი მიდგომის შედეგია ის ფაქტი, რომ დონალდ ტრამპმა არჩევნებში ჰილარი კლინტონს მოუგო.

ტრამპს, მეორე ვადით, კენჭისყრის კამპანიის დროს დასაწყისში დროებით დაუბლოკეს Twitter-ის, Facebook-ისა და Instagram-ის ანგარიშები. ეს გადაწყვეტილება კომპანიამ მას შემდეგ მიიღო, რაც ტრამპის მომხრეები კაპიტოლიუმის შენობაში შეიჭრნენ და სხდომა ჩაშალეს. ამ დღეს მომხდარ დაპირისპირებებს 5 ადამიანი ემსხვერპლა. აღნიშნული მოვლენების პარალელურად, მას შემდეგ, რაც ტრამპის ტვიტერის ანგარიშს მოეხსნა კაპიტოლიუმში მომხდარი არეულობის გამო 12-საათიანი ბლოკი, ტრამპმა ტვიტერზე კაპიტოლიუმში შეჭრილებს მგზნებარედ მიმართა და მათ „დიდი პატრიოტები“ უწოდა და აღნიშნა: „**75 000 000 დიად ამერიკელ პატრიოტს, რომლებმაც ხმა მომცეს, უპატივცემულოდ და უსამართლოდ არანაირად, არანაირი ფორმითა და გზით არ მოექცევიან!!!**“ (ბურდული, 2021). პრეზიდენტის ეს განცხადება ტვიტერის ადმინისტრაციამ მიიღო, როგორც მინიშნება იმაზე, რომ ტრამპი არ გეგმავდა ძალაუფლების წესითა და რიგით გადაცემას, ამიტომ 2021 წლის 9 იანვარს დონალდ ტრამპს სამუდამოდ გააუქმეს ტვიტერის ანგარიში, თავად აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგების უკანონოდ შეცვლის მცდელობის ბრალდებით დაახლოებით 20 წუთი გაატარა ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტის

ფულტონის ოლქის საპატიმროში, ტრამპს ციხეში ანაბეჭდები აუღეს, შეუვსეს პატიმრის ანკეტა და მიანიჭეს პატიმრის ნომერი P01135809, რის შემდეგაც, შეთანხმების საფუძველზე, ტრამპი 200 000 აშშ დოლარის ოდენობის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

პრეზიდენტ ტრამპის ანგარიშების დაბლოკვის შესახებ, სოციალური ქსელების გადაწყვეტილებამ, ახალი ძალა შთაბერა დისკურსებს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების რეგულაციებთან დაკავშირებით. დონალდ ტრამპ ჯუნიორმაც, პრეზიდენტ ტრამპის შვილმა, 9 იანვარს გამოაქვეყნა ტვიტი: „აიათოლას (აიათოლა ხომეინი – ირანის პოლიტიკური და სულიერი ლიდერი) და ბევრ სხვა დიქტატურულ რეჟიმს შეუძლია ჰქონდეს ტვიტერი, მიუხედავად იმისა, რომ ემუქრებიან გენოციდით ქვეყნებს და კლავენ ჰომოსექსუალებს და ა.შ... ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ანგარიში უნდა იყოს შეჩერებული. მაო იამაყებდა თქვენით“ (ბურდული, 2021).

**თანამედროვე ეტაპზე, 2024 წელს, როდესაც** დონალდ ტრამპი კვლავ იყრის კენჭს, აშშ-ის 27-ე პრეზიდენტის პოსტისათვის. **ტრამპს** 2-წლიანი შეჩერების შემდეგ, Twitter-ის ანგარიში კვლავ აღდგენილი აქვს. სოციალური ქსელის ახალი მფლობელის, ილონ მასკის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაში, სადაც 15 მილიონი ადამიანი მონაწილეობდა, 52%-მა ყოფილი პრეზიდენტის ანგარიშის აღდგენას დაუჭირა მხარი (<https://on.ge/story/111972>); თუმცა პრეზიდენტობის კანდიდატი უკვე ნაკლებად გეგმავს გაუქმებულ სოციალური ქსელში დაბრუნებას. ამ ეტაპზე, მას ურჩევნია დარჩეს თავის სოციალურ ქსელ Truth Social-ზე, რომელიც შეიქმნა 2021 წლის 6 იანვრის მოვლენებისას ტრამპის ანგარიშის დაბლოკვის საპასუხოდ. ამასთანავე ექსპრეზიდენტმა განაცხადა, რომ მიესალმება მასკის მიერ კომპანიის 44 მილიარდ დოლარად შეძენას. ფეისბუქსა და ტვიტერთან ასეთი დამოკიდებულების შედეგიც სახეზეა – ანგარიშის დაბლოკვამდე ტრამპის ანგარიშს 88 მილიონზე მეტი გამომწერი ჰყავდა, აღდგენის შემდეგ კი ეს რიცხვი ჯერჯერობით 100000-ს უტოლდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი მომხმარებელი ტექნიკური ხარვეზის გამო ვეღარ იწერს აღდგენილ ანგარიშს.

აღნიშნული ფაქტი მიანიშნებს, რომ სოციალურმა ქსელებმა და განსაკუთრებით Facebook-მა და Twitter-მა. უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა საინფორმაციო სამყაროში, არა მხოლოდ როგორც ინფორმაციის გავრცელების ყველაზე სწრაფმა და იოლმა საშუალებამ (<https://www.youtube.com/watch?v=HOLCFyLM1zQ>), არამედ როგორ ელექტორატზე მანიპულირებისა და ამომრჩეველთა განწყობების შექმნის ტექნოლოგიურმა მექანიზმებმა. ამიტომაც ჰელფორდ მაკინდერის ცნობილი ფორმულის პერიფრაზას თუ მოვახდენთ, ვინც ფლობს სოციალურ ქსელებს, ფლობს და მართავს ადამიანების ყურადღებას, ხოლო ის, ვინც ფლობს და მართავს ადამიანების ყურადღებას, ფლობს და მართავს მსოფლიოს.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- <https://www.alia.ge/thu-trampma-gaimarjva-totalitarizms-daamqharebs-amerikashi-da-evropas-moutsevs-sam-totalitarul-sakhelmtsiphosthan-pirispir-darchena-soso-tsintsadzis-politikuri-prognozebi/>, **უკანასკნელად ნანახია 25.04.24.**
- Social media – Statistics & Facts, [https://www.statista.com/topics/1164/social\\_უკანასკნელად ნანახია 25.04.24.](https://www.statista.com/topics/1164/social_უკანასკნელად ნანახია 25.04.24)
- ბიძინაშვილი, ნ. (21.03.2018). როგორ გამოიყენეს ფეისბუქის მილიონობით მომხმარებლის მონაცემი ტრამპის კამპანიისთვის, <https://netgazeti.ge/news/261700/>, **უკანასკნელად ნანახია 25.04.24.**
- ჩხიკვაძე, ა. (2018). ფეისბუქი, კემბრიჯ ანალიტიკა და მონაცემთა მანიპულაცია, 20.03. 18. <https://www.amerikishma.com/a/cambridge-analytica-and-facebook-data-bridge-/4307524.html>, **უკანასკნელად ნანახია 25.04.24.**
- ბურდული, ა. (01.09.21). დაბლოკილი პრეზიდენტი და მისი პასუხი – სიტყვის თავისუფლება თუ ქაოსი?, <https://www.radiotavisupleba.ge/a/31039906.html>, **უკანასკნელად ნანახია 25.04.24.**
- <https://on.ge/story/111972>-დონალდ-ტრამპის-twitter-ის-ანგარიში-აღდგა-თუმცა-ის-პლატფორმაზე-დაბრუნებას-არ-აპირებს), **უკანასკნელად ნანახია 25.04.24.**
- <https://www.youtube.com/watch?v=HOLCFyLM1zQ>, მარკ ცუკერბერგის საჯარო მოსმენა ამერიკის კონგრესზე, **უკანასკნელად ნანახია 25.04.24.**

**Keti Djijeishvili,**  
*politician Ph.D.,*  
*Professor at New Uni*

**Sofio Gorgiladze,**  
*PhD student of GTU*

## DONALD TRUMP AND ELECTION MANIPULATIONS

**Key words:** Social networks, Facebook, Twitter, Instagram, Application, Election process, Social Media, Political manipulation.

It is scarcely difficult to find out any similar, sharply different opinions and positions full of contradictions, such as toward Donald Trump. Donald Trump is the first president, who had not taken any political or administrative positions before he became the president. His political affairs began directly from the White House. Donald Trump is the first president among the USA presidents to whom the criminal law was started.

**The USA had never been so split into two camps as it was during Donald Trump Presidential Election. The protest and noise is significantly vivid during the pre-election period of 2024. As if there is no logic in the fact that the Republic Party presented the person as a candidate officially whose amount of accusations on criminal crime reaches 91, including sexual harassment of Jin Carol for which he was charged for 3 million dollars, as a fine -65 million, and for the fraud -454.2 million dollars. (<https://www.alia.ge/thu-trampma-gaimarjva-totalitarizms-daamqharebs-amerikashi-da-evropas-moutsevs-sam-totalitarul-sakhelmtsiphosthan-pirispir-darchena-soso-tsintsadzis-politikuri-prognozebi/>).**

Despite being failed at Court Trails, he won the Primerise and kokuks of the USA successfully with 100 percent. He only lost the seats in Vermont state and in the county of Washington DC where traditionally 'Democrats' supporters live.

Such pre-election political processes are perceivable and understandable if we take the fact into consideration that Donald Trump has got extremely loyal supporters, who are called „Mega Voters“-of low and middle educational people, mostly from provinces. They do not give up their conservative traditions which have become Anachronism in every civilised countries:

They are regretting about America of Ronald Reagan, who was ruling the world with great power and was able to devastate the USSR and made Europe under his influence. It is paradox but it is fact that even immigrant Mexicans support Trump, who built the wall and strictened the immigration law. Mexicans are trying to naturalise themselves and have been attempting to gain the rights of participating in elections and living in the USA in a legislative way of court. Consequently, according to American experts their number will have reached to be 12 millions by the end of the year.

It is also meaningful to take the fact into account that Trump's voters, 'the Republicans' has always been more active in comparable with the 'Democrats'. To make it clear and creditable we can remember 1976 year Presidential election when the present president Jim Carter and 'Republican' Ronald Reagan were taking part in.

According to the last rating Carter was advancing Reagan and he had a great chance of victory but Carter's supporters -intellectual democrats did not go to the polling station on the polling day because of bad weather. However, Reagan's voters -Conservatives were totally mobilized even in the cities where there was bad weather. Reagan won the election with the votes from the very cities and he came into power of the United States. He was an outstanding and the best president not only for the USA but in the recent world history too.

For the voters who are fanatics Trump is the centre of Republic party and the rest is moving around his orbit. They divide Republic party into two parts: the loyal to the 45<sup>th</sup> president and "RINO – Republican In Name Only". RINO's label is not invented by Trump. This term in the 1990s was referred to the conservatives who had not got strong enough views on different political issues. If a Republican obeys Trump's will and is his loyal, he is a „pure Republican“, otherwise he follows RINO's routine.

Trump's popularity among voters is due to several factors. One of the most important of them is Trump's practice of activity using social networks. Social media manipulation includes a whole series of technical actions where social media algorithms are misused to manipulate public opinion.

To illustrate the influence of the social network, it is enough to say that the number of active users of social networks in the world is about 3.43 billion people. This is about 43% of the entire population of the earth. In modern global processes, social media has turned into an area not only of free communication and information exchange, but also of struggle for political influence. Former US President Donald Trump stands out for using information technologies, in particular social media platforms. During the stages of his election period, he actively applied social media manipulation technologies, which directly affected the results of the campaign.

Trump, most actively, used social networks during the first election campaign, in 2016-2020 in order to create the desired psychological mood among the voters, the British data consulting firm „Cambridge Analytica“, which worked for Trump during this period, illegally used the data of 50 million users of the main social network „Facebook“ for Trump's benefit.

This was not the first time this company manipulated an election campaign through Facebook. Shortly before, in 2014 Facebook allowed 32-year-old Aleksander Kogan, a researcher born in the Soviet Union and a professor of psychology at the University of Cambridge, to collect the personal data of hundreds of thousands of users of the social network and use the application created by the scientist – 'This is your digital life'.

The application offered the user the so-called a personality test, in return for which the app would collect data on users' location, friends and Facebook „like“. According to Kogan, he needed this test to study the online behaviour of Facebook users.

Professor Kogan shared the collected data with the consulting firm Cambridge Analytica, which, according to the New York Times and The Observer, was working for Donald Trump's election campaign at the time. By collecting user data, they were able to create a strategy of action that would somehow influence the election results. By doing this, the professor violated the company's regulations, as he was not allowed to transfer millions of personal information obtained through the application to a third party and use it outside of the application. Facebook discovered the breach and asked Cambridge Analytica to delete the data and completely cancel the accounts of Cambridge Analytica and Professor Kogan.

As The New York Times writes, Cambridge Analytica had access to this data during the 2016 US presidential election, however, Cambridge Analytica itself claims that it did not use user data in the 2016 presidential campaign.

In addition to data manipulation, „Cambridge Analytica“ used other methods in Trump's support process. The head of the company, Alexander Nix, admits in the recording of a secret meeting with the British Channel Four journalist that Cambridge Analytica helped Donald Trump's election team win. He can conduct the campaign of the election process without leaving any traces and names the means by which he can interfere in the PR campaign of the politician, specifically, the so-called creating fake news, and then distributing it to the segment that would have the highest sensitivity to the issue based on user-generated data.

„We have conducted all kinds of targeted research. We lead the digital and TV campaign, and consumer data informed that strategy,“ Nix notes in the video.

In addition, Nix also mentions the methods by which the company can catch a politician, specifically by offering bribes or using escort girls. Information about politicians „does not have to be true. It just needs to be convincing“ (Chikvadze, 2018).

In the recording, Nix admits that it is the result of such an approach that Donald Trump won the

election over Hillary Clinton. Trump, in his second term, had his Twitter, Facebook and Instagram accounts temporarily suspended early in the campaign. The company made this decision after Trump supporters broke into the Capitol building and disrupted the meeting. 5 people were killed in the clashes that took place that day.

In parallel with these events, after Trump's Twitter accounts were lifted from a 12-hour block due to the riots in the Capitol, Trump took to Twitter to passionately address the invaders in the Capitol, calling them 'great patriots' and noting: 'To the 75,000,000 American patriots who voted for me, without respect and they will not be treated unfairly in any way, in any way!!!' (Burduli, 2021).

This announcement by the president was taken by the Twitter administration as a sign that Trump did not plan to transfer power in an orderly and orderly manner, so on January 9, 2021, Donald Trump's Twitter account was permanently suspended, the former president of the United States himself, on charges of trying to illegally change the results of the presidential election for about 20 minutes held in the Fulton County jail in Atlanta, Georgia,

This announcement by the president was taken by the Twitter administration as a sign that Trump did not plan to transfer power in an orderly and orderly manner, so on January 9, 2021, Donald Trump's Twitter account was permanently suspended, the former president of the United States himself, on charges of trying to illegally change the results of the presidential election for about 20 minutes held in the Fulton County Jail in Atlanta, Georgia,

Trump was fingerprinted at the jail, filled out an inmate form and assigned an inmate number of P01135809, after which Trump was released on \$200,000 bail.

The decision of social networks to block President Trump's accounts has given new impetus to discourses regarding the regulation of freedom of speech and expression.

Donald Trump Jr., President Trump's son, also tweeted on January 9: «The Ayatollah (Ayatollah Khomeini – Iran's political and spiritual leader) and many other dictatorial regimes can have a twitter despite threatening countries with genocide and killing homosexuals, etc... America's The account of the President of the United States must be suspended. Mao would be proud of you» (Burduli, 2021).

Fast forward to 2024, when Donald Trump is again running for the 27th presidency of the United States. After a 2-year suspension, Trump's Twitter account has been reinstated. In a survey conducted by the new owner of the social network, Elon Musk, where 15 million people participated, 52% supported the restoration of the former president's account (<https://on.ge/story/111972>);

However, the presidential candidate has little plans to return to the canceled social network. At this point, he prefers to stick to his social network, Truth Social, which was created in response to the January 6, 2021, suspension of Trump's account. At the same time, the ex-president said that he welcomes Musk's purchase of the company for 44 billion dollars.

The result of such dependence on Facebook and Twitter is also visible – before the account was blocked, Trump's account had more than 88 million followers, and after the restoration, this number is still equal to 100,000. However, it should also be noted that many users are no longer able to write the restored account due to a technical error.

This fact indicates that social networks and especially Facebook and Twitter. It has gained great importance in the information world, not only as the fastest and easiest way to spread information (<https://www.youtube.com/watch?v=HOLCFyLM1zQ>), but also as technological mechanisms for manipulating the electorate and creating voter sentiments.

That's why, to paraphrase Halford Mackinder's famous formula, whoever owns social networks owns and controls people's attention, and whoever owns and controls people's attention owns and controls the world.

**Used sources and literature:**

1. <https://www.alia.ge/thu-trampma-gaimarjva-totalitarizms-daamqharebs-amerikashi-da-evropas-moutsevs-sam-totalitarul-sakhelmtsiphosthan-pirispir-darchena-soso-tsintsadzis-politikuri-prognosebi/>, recently seen 25.04.24.
2. Social media – Statistics & Facts, <https://www.statista.com/topics/1164/social>, recently seen 25.04.24.
3. Bidzinashvili,N (21.03.2018). How the Facebook users accounts were used for Trump’s election campaign <https://netgazeti.ge/news/261700/>, recently seen 25.04.24.
4. Chkhvickvadze ,A.(2018). Facebook,Cambridge Analytica and Data Manipulation 20.03. 18. <https://www.amerikiskhma.com/a/cambridge-analytica-and-facebook-data-bridge-/4307524.html>, recently seen 25.04.24.
5. Burduli ,A. (01.09.21). Blocked President and his response -The speech liberty or Chaos? <https://www.radiotavisupleba.ge/a/31039906.html>,recently seen 25.04.24.
6. [https://on.ge/story/111972-Donald Trump’s Twitter account has revived but he doesnot intend to get back to the platform -recently seen 25.04.24.](https://on.ge/story/111972-Donald-Trump's-Twitter-account-has-revived-but-he-doesnot-intend-to-get-back-to-the-platform-recently-seen-25.04.24)
7. <https://www.youtube.com/watch?v=HOLCFyLM1zQ>, Mark Zuckerberg’s public Listening at the USA Congress. Recently seen 25.04.24.



## ნანა ციხისთავი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის  
აფილირებული ასოცირებული პროფესორი

## თამარ კოპალეიშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის ასისტენტი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

# თორღვა პანკელი-კოხტასთავის შეთქმულების გმირი თუ ქართული სახელმწიფოს მოღალატე!?

### ანოტაცია

საქართველოს ისტორიულ წარსულში არიან ისტორიული პირები, რომელთა შესახებაც გვაქვს დღემდე შემორჩენილი საინტერესო ფაქტები და მონაცემები, მაგრამ არ არის სიღრმისეულად შესწავლილი მათი წვლილი და, ასევე, როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. პირიქით, მივიწყებული და დაკნინებულია მათი სახელები და მოღვაწეობა. ასეთი ისტორიული პირები საკმაო რაოდენობითაა საქართველოს წარსულ ისტორიაში და მათ შორისაა მე-13 საუკუნის საინტერესო პერსონაჟი – თორღვა პანკელი, რომელიც პანკისის ციხის მფლობელადაა მოხსენიებული.

თორღვა პანკელი თავისი ბობოქარი, მაგრამ იღუმალებით მოცული თავგადასავლით იქცევს ჩვენს ყურადღებას. ჯერ იყო და მონღოლთა წინააღმდეგ კოხტაგორის შეთქმულებაში მიიღო მონაწილეობა. მერე ხელისუფლებას განუდგა და პანკისის საერისთავოს დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. ზოგიერთი ცნობით, მონღოლი დედოფლის, ჯიგდახათუნისა და მესტუმრე ჯიქურის ბრძანებით კლდიდან ისროლეს და მოკლეს.

ამგვარად, თორღვა პანკელი, პანკისის ერისთავი, კოხტასთავის შეთქმულების მონაწილე, პანკისის ციხის მფლობელი, დაახლოებული პირი იმდროინდელი არისტოკრატიული საზოგადოებისა, თვითონაც ლეგენდარული პირი, მოხსენიებული ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, როგორც გმირი, ფაქტობრივად, იმ ეპოქის ერთ-ერთი რაინდი იღუპება, როგორც მეფის მოღალატე და მას დედოფალი ჯიგდახათუნი გამოუტანს სასიკვდილო ვერდიქტს – მსახურის-მესტუმრე ჯიქურის ხელით. ამის თაობაზე იმ პერიოდის მემატიანეები დუმან. არადა, ეს პიროვნება გმირადაა შერაცხული ხალხურ თქმულებებსა და ლეგენდებში და მისი ცხოვრების ასეთი ბოლო ძალიან გაუგებარია.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ მე-13 საუკუნის შუა ხანებში ძირეული გარდატეხა ხდება არა მხოლოდ სახელმწიფოს შიდა და საგარეო საქმეებში, არამედ ქართულ საზოგადოებაშიც. თუ რუსუდან დედოფლის გარდაცვალების შემდგომ, ქართულ საზოგადოებაში ძალიან დიდ როლს თამაშობდნენ კოხტასთავის შეთქმულების გმირები და მათ შორის თორღვა პანკელი, რომლის სახელიც სხვა გმირებთან ერთად ლეგენდებშიც მოიხსენიებოდა, ორმეფობის (დავით ულუსა და დავით ნარინის გამეფების დროს) პერიოდში, გამომდინარე მონღოლთა წესის დამკვიდრებიდან, ხელისუფლების მიერ აღზევდნენ დაბალი თანამდებობის პირები და ისინი წყვეტდნენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებს. ამიტომ ამ სიტუაციაში არც მემატიანეების მიერ დატოვებული მრავალფეროვანი მასალები გვაქვს ამ დაფარული ისტორიის შესახებ და ზოგადად ამ ფაქტის გარშემო შემორჩენილ წყაროებში ძირითადად ცენტრალური ხელისუფლება გამართლებული.

**საკვანძო სიტყვები:** პანკისის ციხე, თორღვა პანკელი, დავით ულუ, ჯიგდახათუნი, მესტუმრე ჯიქური, კოხტასთავი.

## თორღვა პანკელი-კონტასთავის შეთქმულების გმირი თუ ქართული სახელმწიფოს მოღალატე!?

საქართველოს ისტორიულ წარსულში არიან ისტორიული პირები, რომელთა შესახებაც გვაქვს დღემდე შემორჩენილი საინტერესო ფაქტები და მონაცემები, მაგრამ არ არის სიღრმისეულად შესწავლილი მათი წვლილი და, ასევე, როლი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში. პირიქით, მივიწყებული და დაკნინებულია მათი სახელები და მოღვაწეობა. ასეთი ისტორიული პირები საკმაო რაოდენობითაა საქართველოს წარსულ ისტორიაში და მათ შორისაა მე-13 საუკუნის საინტერესო პერსონაჟი – თორღვა პანკელი, რომელიც პანკისის ციხის მფლობელადაა მოხსენიებული.

პანკისის ციხე – თორღვა პანკელის ( გვიანდელი შუა საუკუნეებში პანკისის ციხეს მადრაანის ციხე ერქვა) ციხე მდებარეობს ხალაწნისა და მადრაანის (მაჭარეულის) ხევების წყალგამყოფ თხემზე, ტყიან ზოლში. პანკისის ერისთავი წყაროებში პირველად XI საუკუნის შუა წლებში მოიხსენიება, თუმცა თვით ციხესიმაგრე უფრო ადრე უნდა იყოს აგებული. პანკისის ციხე განვითარებულ შუა საუკუნეებში, პანკისის საერისთავოს ცენტრი იყო, რომელიც კახეთის მეფე კვირიკე III დიდმა (1010–1037 წწ.) დააარსა. XII-XIII საუკუნეებში – კახეთის საერისთავოს ცენტრია. XIII საუკუნის 40-იან წლებში პანკისის ციხეში დიდი სამშენებლო სამუშაოები ჩაატარა პანკისის ერისთავმა თორღვა (თორღვა) პანკელმა. ის კონტასთავის ანტი-მონღოლური შეთქმულების მონაწილე იყო. მეფე დავით VII ულუს ურდოში ყოფნის დროს, თორღვამ სეპარატისტული პოზიციები გაიმყარა, თავი კახეთის სრულუფლებიან გამგებლად გამოაცხადა და პანკისის ციხეში გამაგრდა. მეფის დაბრუნების პირობებშიც განაგრძო ურჩობა, არ ეახლა მას და ციხე უფრო გაამაგრა. ამიტომ ის ციხიდან გამოიტყუეს და სიცოცხლეს გამოასალმეს.

როგორც ჩანს, თორღვა დიდი გავლენით სარგებლობდა აღმოსავლეთ საქართველოს მთაში და ის ძაგანისძეთა საგვარეულოს წარმოადგენდა. სახელი თორღვა (თორღვა ძაგანი) ლეგენდებსა თუ ხალხურ გადმოცემებშია შემორჩენილი. მონღოლთა პერიოდში ძაგანისძეები აღზევდნენ და პანკელი ერისთავების რანგში მოეკლინენ ქვეყანას. თუმცა წყაროების სიმცირის გამო, თორღვა პანკელის პიროვნების და მისი მემკვიდრეობის გარშემო მსჯელობა გართულებულია. ფაქტი ერთია, მის პერიოდში პანკისის ციხე გაძლიერდა და დიდი მნიშვნელობა შეინარჩუნა. კონკრეტულად ამ ციხის გარდა, თორღვას სახელი სხვა ბასტიონებსა და ტოპონიმებსაც უკავშირდება რეგიონში.<sup>1</sup>

იმისთვის, რომ გამოვიკვლიოთ თორღვა პანკელის პერსონის შესახებ დაფარული ისტორია, ცოტა შორიდან დავიწყოთ, ანუ ჩავუღრმავდეთ საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფურცელს – „ოქროს ხანას“ მთელი მისი გამოვლინებებით.

“ოქროს ხანა” საქართველოში XI საუკუნის ბოლოდან დაიწყო, როდესაც დავით აღმაშენებელმა წარმატებით მოიგერია თურქ-სელჩუკების შემოსევები და დაასრულა საქართველოს გაერთიანების პროცესი. დავითი აქტიურად იღვწოდა საქართველოს საზღვრების გაფართოებისა და საერთაშორისო არენაზე გავლენის გასაზრდელად. არსებობს ცნობები, რომ მან ამ მიზნით ტრაპიზონის მხარეშიც ილაშქრა, თუმცა, უშედეგოდ. დავით აღმაშენებლის შემდეგ მის მიერ შექმნილმა ძლიერმა სახელმწიფო მანქანამ მთელი ძალით განაგრძო მუშაობა.

შამქორისა (1195) და ბასიანის (1203) ბრძოლებში გამარჯვების შემდეგ, საქართველოს ხელ-ფეხი გაეხსნა სამეზობლოში მიმდინარე პროცესებში აქტიურად ჩასართავად. საქართველოს გაუჩნდა რეგიონში პირველობის საფუძვლიანი ამბიცია და საქართველოს სამეფო კარმა მალევე მიიღო გადაწყვეტილება, რომ შავიზღვისპირეთის მიმართულებით სამხედრო-პოლიტიკური ოპერაცია დაეწყო. დიდია იმის ალბათობა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ქართველთა მიერ შავიზღვისპირეთში წარმოებულ გაბედულ სამხედრო-პოლიტიკურ ქმედებებს თავისი “პროგრამა მინიმუმი” და “პროგრამა მაქსიმუმი” ჰქონდა.

საქართველოში მე-13 საუკუნის 30-იან 40-იანი წლებიდან იცვლება პოლიტიკური ამინდი და დღის წესრიგში დგება მონღოლების დაპყრობები. საქართველოს ისტორიაში არ არის წყარო, სა-

დაც ამ პერიოდის სოციალურ სტრუქტურაში გამოჩნდება გარკვეული გაერთიანება რაიმე რაინდული კავშირის არსებობის შესახებ, თუმცა ქართველები დავით აღმაშენებლის დროიდან ურთიერთობენ ევროპულ ჯვაროსანთა გაერთიანებებთან. სამაგიეროდ ქართულ ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილია გარკვეული მაგალითები რაინდებზე და მათ მოღვაწეობაზე, სახელდობრ თორღვა პანკელზე.

ქართული რაინდობის ჩამოყალიბება და გავრცელება ხდება IX-XII საუკუნეთა საქართველოში, როგორც შედეგი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მაღალი დონისა. ნაჩვენებია, რომ ქართული რაინდობა აღნიშნულ ეპოქაში საუკეთესო სამხედრო თვისებების მქონე პროფესიონალ მეომართა მრავალრიცხოვან ფენას წარმოადგენდა. ამ პერიოდში დიდი ადგილი ეკავა რაინდულ იდეალებს, ზნე-ჩვეულებებს, ფიზიკურ აღზრდას, სამხედრო აღჭურვილობას, სპორტულ შეჯიბრებებს და ქართული რაინდული საზოგადოების საერთოდ მაღალგანვითარებულ სულიერ კულტურას.

მომწოდებლებისთვის, მომხმარებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის საინტერესოა ისეთ პრაქტიკა, როგორცაა ენერგოეფექტური მოწყობილობების გამოყენება, ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტების შექმნა, ნარჩენების შემცირება და ბუნებაზე დაფუძნებული ტურების კეთილგონივრული დაგეგმვა, რასაც შეუძლია არა მხოლოდ მოხმარებული რესურსების შემცირება, არამედ სარგებელის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის წყაროების ჩართვა ტურიზმის ინდუსტრიაში განთავსების ობიექტების არჩევისას. საერთაშორისო სასტუმროების ქსელები დაინტერესებულნი არიან ინვესტიციების განხორციელებაზე მწვანე ტექნოლოგიებში, რომლებიც ამცირებს ბუნებრივი რესურსების მოხმარებას და საოპერაციო ხარჯებს.

**კვლევის მიზანი:** საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების შესწავლა, მისი როლის გამოვლენა „მწვანე ეკონომიკის“ განვითარებაში.

**კვლევის მთოდები:** კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მივიჩნიეთ სოციოლოგიური, სტატისტიკური და რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც შეეხებოდა მწვანე ტურიზმს – მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორს.

ნაშრომში გაანალიზებულია თემის ირგვლივ სხვადასხვა მაღალრეიტინგულ ჟურნალში გამოქვეყნებული აკადემიური და სამეცნიერო კვლევები, სხვადასხვა პუბლიკაციები, როგორცაა წიგნის თავები და კონფერენციის მასალები, რომლის მიზანია გაანალიზებულიყო ყველაზე მნიშვნელოვანი ნაშრომები, სტატიების უმეტესობა გამოქვეყნდა 2010 წლის შემდეგ, რაც გვიჩვენებს თემის სიახლეს.

მიღებული მონაცემები და პრობლემისადმი სისტემურ და სიტუაციური საკითხების ჩატარებული კვლევის გარდა, ნაშრომის თეორიულ მეთოდოლოგიას წარმოადგენს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის წლიური ანგარიში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

### **ლიტერატურის მიმოხილვა:**

ტურიზმის დარგში გატარებულმა ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს ან ნეგატიური ზეგავლენის შემცირება და პირიქით, მოიტანოს მოგება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოხსენების – „მწვანე ეკონომიკისაკენ: მდგრადი განვითარების და სიღარიბის აღმოფხვრის გზების“ – მიხედვით (ქენევა 2011 წელი), *ტურიზმი - ეს არის მსოფლიო ეკონომიკის მდგრადობის ზრდის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი მამოძრავებელი ძალა. შესაბამისი ინვესტიციებით იგი მუდმივად მზარდი დარგი იქნება მომავალი ათწლეულის განმავლობაში* და ხელს შეუწყობს დასაქმებისა და ეკონომიკური ზრდის განვითარებას. ეს საზოგადოებას უზიძგებს გამოიჩინოს ყურადღება ბუნებრივ, ისტორიულ, კულტურულ ფასეულობათა შესანარჩუნებლად. რა თქმა უნდა ეს პრობლემა მთელ მსოფლიოს ეხება.

აღნიშნულ თემას მრავალი ლიტერატურა მიეძღვნა, მათ შორის არის მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული კვლევითი ნაშრომები, აგრეთვე დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბებულია დოკუმენტში – „დღის წესრიგი XXI საუკუნეში“. სწორედ მისი დახმარებით, აქტიურად ხორციელდება ტურისტული მარშრუტი „აბრეშუმის გზა“, რომელშიც ბევრი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, მონაწილეობს. (UNWTO.org., 2023)

2015 წელს გაიმართა გაეროს გენერალური ასამბლეის 70-ე საიუბილეო სესია (ნიუ-იორკში), სადაც მონაწილეობდა 193 სახელმწიფო. აღნიშნულ სესიაზე მიიღეს შეთანხმება, მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი – „გარდაქმნათ მსოფლიო 2030 წლისათვის“, რომელიც

მოიცავს 17 მიზანს. აღნიშნული დოკუმენტი მიმართული იქნა ხალხის კეთილდღეობაზე, რაც გულისხმობს სიღარიბის აღმოფხვრას, ხალხის კეთილდღეობასა და ჯანსაღი გარემოს შექმნას. აღნიშნული ამოცანა უნდა გადაწყდეს 15 წლის განმავლობაში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ 2015 წლის 18 ივნისში ჩინეთში ჩატარდა აბრეშუმის გზის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენცია, სადაც 20-ზე მეტ ქვეყნას შორის საქართველოც მონაწილეობდა. კონფერენცია აბრეშუმის გზის ტურისტული პოტენციალის განხილვას მიეძღვნა. აბრეშუმის გზის მარშრუტი, განხილული იქნა, როგორც სავაჭრო ურთიერთობების განვითარების, ასევე ტურისტული პოტენციალის თვალსაზრისით, ასევე აღნიშნული მარშრუტი შევიდა ევროპული მარშრუტების სიაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი ტურიზმის განვითარებას. (UNWTO.org., 2023)

2017 წლის სექტემბერში საქართველოში ტურიზმის სამეცნიერო და პრაქტიკოსი ექსპერტების ყველაზე გავლენიანი საერთაშორისო ასოციაციის AIEST-ის (1951 წელს დაარსდა) რიგით 67-ე კონფერენცია გაიმართა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მსოფლიოში მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის გაუმჯობესება ტურიზმის უახლესი ტენდენციებისა და განვითარების ანალიზის საფუძველზე, ამ სფეროში მოსალოდნელი პრობლემების წინასწარ განჭვრეტისა და მათი გადაჭრის გზების მოძიებით. კონფერენციის მუშაობისას განხილული იყო საქართველოში ტურიზმის ბიზნესის მდგრადობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები და ტურიზმის მდგრადი განვითარების ბიზნესმოდელები. უცხოელი ექსპერტების მიერ საქართველოსთვის განხილული და შეთავაზებული იქნა მდგრადი განვითარების ორი ბიზნესმოდელი: პირველი – რომელიც ფოკუსირებულია მცირე და საშუალო ზომის ბიზნესზე (მაგალითად, მცირე და საშუალო ზომის სასტუმროების, რესტორნების და სხვ., განვითარება) და მეორე – კოოპერაციაზე დაფუძნებული ბიზნესმოდელი, რომელიც ფოკუსირებულია კურორტების განვითარებაზე, მაგალითად: სათხილამურო კურორტები და დასასვენებელი კომპლექსები. ექსპერტები თვლიან, რომ საქართველოში მდგრადი ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია ამ ორივე ბიზნესმოდელის ბალანსირება. ევროპულმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ კერძო და საჯარო სფეროს შორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ხელს შეუწყობს მდგრადი ტურისტული პროდუქტის ჩამოყალიბებას.

გ. ნადირაშვილისა და დ. ჯანგულაშვილის წიგნში „მდგრადი ტურიზმი“, განხილულია, რომ ყველა ქვეყანაში და, მათ შორის, საქართველოში საჭიროა ჩატარდეს კვლევა ტურიზმის განვითარების ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, მომზადდეს შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული უარყოფითი ზემოქმედება გარემოსა და მოსახლეობაზე. შესწავლილი უნდა იქნეს ტერიტორიების „გამტარუნარიანობა“, შემუშავდეს ახალი, ინოვაციური მიდგომები მდგრადი ტურიზმის განვითარებაში და მოძიებული იქნეს ეფექტური გზები პრობლემების გადასაჭრელად. (ნადირაშვილი გ., 2016)

ნ. კაციტაძე თავის ნაშრომში “The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia... ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მცირე ეკონომიკის მქონე ქვეყნების წარმატებისათვის მნიშვნელოვანი ხდება არა იმდენად ტურისტული რესურსების არსებობა, რამდენადაც მისი ოპტიმალური გამოყენება ინოვაციური მართვის მეთოდებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნების, როგორც ბუნებრივ რესურსებს, ასევე წარმოების თავისებურებებს, დემოგრაფიულ პირობებს და ეკონომიკური მახასიათებლებს. ამ მიმართულებით სვლა კი შესაძლებელია მოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას გააჩნია ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა (Katsitadze, N., & Natsvlishvili, I., (2020)). “The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia”. In *Eurasian Economic Perspectives* (pp. 419-434). Springer, Cham.

ჩარლზ გელდენერისა და ბრენტ რითჩის წიგნში „ტურიზმის საფუძვლები: თეორია და პრაქტიკა“ განიხილავს გარემოს, სადაც ხდება ტურიზმის ფორმირება და ამ ფორმირების ყველა მნიშვნელოვან ელემენტს. განსაკუთრებით აღსანიშნავია, გარემოს ეკოლოგია და ეკოტურიზმის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების კონტექსტში. (გელდენერი ჩ., 2016)

დერეკ ჰოლის რედაქციით გამოსულ წიგნში „ახალი მიმართულებები სოფლად ტურიზმში“ აღწერილია ტურიზმის მდგრადი განვითარების არსი და მისი როლი ეკონომიკის განვითარება-

ში. ნაშრომი აგრეთვე მოიცავს ტურიზმში ახალი მიმართულებების გამოჩენას. ამ მიმართულებების შესწავლა განსაკუთრებით საინტერესოა სოფლად ტურიზმის ბიზნესის ფორმირებისას, რომელსაც შეუძლია სერიოზულად ჩამოაყალიბოს აღნიშნული ტურიზმის მიმართულება მდგრად ტურიზმად. წიგნში აგრეთვე მოცემულია სოფლად ტურიზმის ბიზნესში არსებული ზოგიერთი მნიშვნელოვანი კვლევა. (Hall.Mitchel. 2017)

სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ჩართულობა და მათი როლი სოფლად ტურიზმის ბიზნესის მდგრადი განვითარებისათვის განიხილება ჰოლ კირკპატრიკის და მიტჩელის სტატიაში. ავტორები განიხილავენ ადამიანური რესურსების როლს სოფლად მწვანე ტურიზმის ბიზნესის წარმატებით განვითარებისათვის, როგორც არა მხოლოდ სოფლის, არამედ მთელი რეგიონის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. ადამიანური რესურსების როლი მწვანე ტურიზმის განვითარებაში უპირობოდ ასრულებს მთავარ როლს, როგორც კულტურული ღირებულების თვალსაზრისით, აგრეთვე მომსახურების სწორად გაწევისა და მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის. (Hall D. Kirkpatrick I. Mitchell M. 2005)

გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის გენერალური დირექტორის კუ დონჟუს და მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის გენერალური მდივნის ზურაბ პოლოლიკაშვილის მიერ ერთობლივ წიგნში „სამთო ტურიზმის გაგება და რაოდენობრივი შეფასება“, აღნიშნულია სამთო ტურიზმის როლის შესახებ მწვანე ტურიზმის განვითარებაში, მთელ მსოფლიოში, სამთო ტურიზმი განპირობებულია ადამიანის სურვილით, განიცადოს ბუნება უნიკალურ გარემოში. თავის მხრივ, ტურიზმი მთიან რეგიონებში მრავალი თემისთვის სამაშველო საშუალებაა და მას შეუძლია წამყვანი როლი ითამაშოს სისტემების შენარჩუნებაში, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მყიფე ეკოსისტემების დაცვას გადაჭარბებული ექსპლუატაციისგან და მხარს უჭერენ მათ ადაპტაციას კლიმატის ცვლილებასთან. ჩატარებულია მრავალი კვლევა, რომელიც ერთობლივად არის შემუშავებული გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) და მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) სამთო პარტნიორობის სამდივნოს მიერ, ესება შესაბამისი მონაცემების ამჟამინდელ ნაკლებობას და აუმჯობესებს მთის ტურიზმის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. კვლევა იძლევა რეკომენდაციების ერთობლიობას მთის ტურიზმის ოფიციალური სტატისტიკის გაღრმავებისათვის. გაერომ 2022 წელი მდგრადი მთის განვითარების საერთაშორისო წლად გამოაცხადა, რათა გაზარდოს ცნობიერება მისი მნიშვნელობის შესახებ და ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) მიღწევას. UNWTO და მთის პარტნიორობა დიდი ხანია თანამშრომლობენ ტურიზმის სექტორის მიერ 2030 წლის დღის წესრიგისა და 17 SDG-ის მიღწევაში წვლილის გასაძლიერებლად. (Food and Agriculture Organization of the United Nations and World Tourism Organization. (2023).

### **მდგრადი ტურიზმი – მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი**

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად მთელი მსოფლიო, განვითარებისა და ტექნოლოგიური პროცესების აღმავლობის ფონზე ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი პრობლემისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მსოფლიოს გლობალური ეკოლოგიური კატასტროფები, რაც გამოსატულია კლიმატის ცვლილებით, გამოიწვია ჰაბიტატების დეგრადაცია, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, რაც მნიშვნელოვნად მოქმედებს ადამიანის სამეურნეო და სამრეწველო საქმიანობაზე. საქართველოს გააჩნია სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამოკვეთილი ინტერესი, თუმცა ბოლოდროინდელმა მიმდინარე პროცესებმა, რომელშიც გამოიკვეთა ტურიზმის ბიზნესის როლი, მნიშვნელოვანია მდგრადი ტურიზმის განვითარების მიზნების მიღწევა.

მწვანე ტურიზმი, დასვენების შედარებით ახალგაზრდა სფეროა. მას ხშირად ეკოლოგიურ ტურიზმთანაც აიგივებენ, რადგანაც თანამედროვე ადამიანებს არამხოლოდ რეკრეაციის, არამედ შემეცნებითი ძალების აღდგენის შესაძლებლობას აძლევს და მდგრადი ტურიზმის განვითარების საფუძველია

მწვანე ტურიზმის ტურისტული პროდუქტი ბუნება და მასთან მაქსიმალური სიახლოვეა, პარალელურად შეისწავლის ქვეყნის ან ტერიტორიის მახასიათებლებს, რომლის გასწვრივ არის დაგეგმილი ტურისტული მარშრუტი.

ბუნებაში მოგზაურობის ტრადიცია წარმოიშვა უძველეს დროს, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს შრომა და გახდა მოთხოვნა დასვენებაზე, რომლის ყველაზე კარგი საშუალება ბუნება იყო. ძველ რომში, როდესაც ჯერ კიდევ მომლოცველები და პილიგრიმები გადაადგილდებოდნენ რელიგიური სიწმინდეების და რიტუალების შესრულების მიზნით, უკვე მათი შთაგონების წყარო იყო ჯანსაღი ბუნებრივი გარემო, რაზედაც ისინი განსაკუთრებით ორიენტირებული იყვნენ, ახლა ეს მიმართულება ფართოდაა გავრცელებული ევროპის მთელ ტერიტორიაზე. მწვანე ტურიზმი არა მხოლოდ საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად დაიზოგოს ბიუჯეტი, არამედ მიანიჭოს ბუნების დიდი სილამაზე (Alaverdov, E. 2021).

მწვანე ტურიზმი განვითარებულია მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, რომლებსაც ლამაზი ბუნება, პეიზაჟები და ლანდშაფტები გააჩნია. ამ ქვეყნებში შედის ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი და ინგლისი. თითოეულ ქვეყანას გააჩნია მწვანე ტურიზმის საკუთარი უნიკალური ნიში, რომელიც ამ ქვეყნის ბრენდს წარმოადგენს. მაგალითად, საფრანგეთის ტური საშუალებას მოგცემთ დააფასოთ ღვინო და გასტრონომიული სიამოვნება ბუნების წიაღში. შუა საუკუნეების ქვის ღვინის მარნები და დახვეწილი ვენახები არ დატოვებს მნახველს გულგრილს, ასევე მნიშვნელოვანია სოფლების – ალტა როკა და ნიცის ღირსშესანიშნაობები. მწვანე ტურიზმი იტალიისა და ესპანეთში საშუალებას მოგცემთ დააფასოთ ადგილობრივი ბუნების უნიკალური სილამაზე, გაეცნოთ უძველეს არქიტექტურას და მოინახულოთ ადგილობრივი კურორტები. რაც შეეხება ადგილობრივი მოსახლეობის სტუმართმოყვარეობას საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ ამ ქვეყნების სტუმართმოყვარეობის უნიკალურ შესაძლებლობებს.

## მწვანე ტურიზმის შეფასების ინდიკატორები

ამჟამად, გადაუდებელი ამოცანაა შეიქმნას ინდიკატორების მთელი რიგი, რომელიც შეაფასებს ტურიზმის განვითარებას ფედერალურ, რეგიონულ, ადგილობრივ დონეზე. ვიწრო გაგებით მწვანე ტურიზმის შესაფასებლად ინდიკატორების ფორმირების ფარგლებში, იგი ხშირად გულისხმობს ეკოლოგიურ ტურიზმს, როგორც მდგრადი ტურიზმის ფორმას, რომელიც ფოკუსირებულია, შედარებით ხელუხლებელ ბუნებრივ ტერიტორიებზე ვიზიტებისას ანთროპოგენული ზემოქმედების გარეშე.

ამ მთავარი მაჩვენებელი ტურისტთა რაოდენობაა, რომლებიც სპეციალურად დაცულ ბუნებრივ ადგილებში (SPNA) სტუმრობენ. სტატისტიკის თანახმად, 2017 წელს მსოფლიო ტურისტების 65% – მა მოინახულა დაცული ტერიტორიები.

საერთაშორისო საიტების მასალების მიხედვით შედგენილია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეროვნულ პარკებში ვიზიტების სტრუქტურა. ავსტრალიაში შედის 26%, აშშ – 18%, კანადა, ნორვეგია – 11%, რუსეთის ფედერაცია – 1%. შეერთებულმა შტატებმა ყველაზე მეტი შემოსავალი მიიღო წელიწადში ეკო-ტურიზმიდან – 14,000 მილიონი აშშ დოლარი, ავსტრალია – 3500 მილიონი აშშ დოლარი, რუსეთში კი 12 მილიონი აშშ დოლარი.

მწვანე ტურიზმის, როგორც ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი სექტორის, განხილვისას, რომელიც მოქმედებს მდგრადი ტურიზმის, რაციონალური გარემოსდაცვითი მენეჯმენტის, სოციალური სამართლიანობისა და ეკონომიკური ეფექტურობის მიღწევის პრინციპებზე, ინდიკატორების კომპლექტი უფრო ფართოვდება. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია გთავაზობთ მრავალფეროვან ინდიკატორებს, რომლებიც ასახავს, როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირი გზით მწვანე ტურიზმის განვითარებას.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მდგრადი ტურიზმის განვითარების ინდიკატორების შეფასების ყველაზე განვითარებული მეთოდია, სადაც ინდიკატორები გამოვლენილია სფეროების ხუთი ჯგუფისთვის: ტურიზმი და მენეჯმენტი; ეკონომიკური შესრულება, ინვესტიცია და

კონკურენცია; დასაქმება, ღირსეული სამუშაო და ადამიანური კაპიტალი; სიღარიბის შემცირება და სოციალური ჩართულობა; ბუნებრივი და კულტურული გარემოს მდგრადობა.

ტურიზმის ასეთ გაგებას ამყარებს „ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის“ (at General Assembly of the World Tourism Organization, Santiago, Chile, 1 October 1999) განმარტება, რომლის მიხედვითაც ტურიზმი არის ინდივიდუალური და კოლექტიური სრულყოფის ფაქტორი; მდგრადი განვითარების ფაქტორი; სფერო, რომელიც იყენებს კაცობრიობის კულტურულ მემკვიდრეობას და შეაქვს თავისი წვლილი მის გამდიდრებაში; საქმიანობა, რომელიც ერთნაირად სასარგებლო და მომგებიანია მასში მონაწილე ქვეყნებისა და ხალხებისათვის. აღნიშნული განმარტება ხაზს უსვამს ტურიზმის გლობალური მნიშვნელობას და მდგრად განვითარებას, რომელიც წარმოუდგენელია ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს, ხოლო გლობალურად, ტურიზმით დაინტერესებულ სახელმწიფოთა ერთიანი ძალისხმევის გარეშე.

პასუხისმგებელი ტურიზმის მსოფლიო საბჭომ (GSTC) შეიმუშავა მიმართულებების მდგრადი ტურიზმის გლობალური კრიტერიუმები, რომელიც მოიცავს ოთხ მთავარ მიზანს/ინდიკატორს: მდგრადი მართვის დემონსტრირება; ადგილობრივი თემებისთვის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მაქსიმალური გაზრდა და უარყოფითი გავლენის შემცირება; მინიმალური გავლენის მქონე ადგილობრივი თემებისთვის, ვიზიტორებისთვის და კულტურული ადგილებზე სარგებლის მაქსიმალური გამოყენებით; გარემოსდაცვითი სარგებლის მაქსიმალური გამოყენება და უარყოფითი გავლენის შემცირება [5].

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ მოცემულია მდგრადი ტურიზმის შეფასების ინდიკატორები, რომელიც ძირითადად ოთხი ბლოკისაგან არის შედგენილი: მდგრადი ტურიზმის მენეჯმენტი, სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზეგავლენა. ეს მიდგომა გთავაზობთ ორმოცდასამი ინდიკატორის შეფასებას.

## **სოციოლოგიური კვლევის შედეგები**

21-ე საუკუნეში ტურისტების მხრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია საქართველოს ბუნებრივ-ობიექტებმა, რადგანაც ქვეყანას ამ მხრივ გააჩნია უნიკალური შესაძლებლობა. ამასთან დაკავშირებით, ჩავატარეთ ქვეყნის მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვა, რომლის მთავარი მიზანი იყო მომსახურების ხარისხისა და ფასების გამოვლენა. ასევე გამოკვლეული იქნა, თუ ტურიზმის რომელ მიმართულებას ანიჭებდნენ უპირატესობას.

პირობითად ასაკობრივი ჯგუფები დაიყო ოთხ კატეგორიად: 20-25 წლამდე (42%); 26–34 (15%); 35–50 (26%) და 50 წელზე უფროსი ასაკის (17%). სერვისების სპექტრი ასაკობრივი კატეგორიებით განსხვავდება შემდეგი ფორმით: ახალგაზრდებმა (20-25 წლის) მოისურვეს სათავგადასავალო და სპორტული მიმართულება (ფოტოგრაფია, საღამოს სპორტული საქმიანობის ორგანიზება, სპეციალური ტრენინგი ტურიზმში, ველოსიპედის დაქირავება და ა.შ.), ასაკობრივმა კატეგორიამ (50 წლის და უფროსი ასაკის) მოისურვა შემეცნებითი ტურები ბუნებასა და კულტურულ ობიექტებზე. მათთვის სასურველია ჩაეტიოს 80-120 ლარი / პერსონა / დღე-ში. ამასთან, გამოკითხულთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა გამოავლინა მათი ხარჯები შემდეგნაირად: 50 ლარი-მდე / პერსონაზე. (22%), 50 ლარი / ადამიანი (37%) და 2-5 80-120 / ადამიანი (30%).

გამოკითხულთა 67% -ს სურვილი აქვთ დაისვენონ შაბათ-კვირას და გადაიხადონ 100-200 ლარი / ადამიანი / დღეში, მოითხოვენ მაღალი დონის მომსახურებას და ჯანსაღ ბუნებრივ გარემოს, რათა მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება. მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრივი მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის მზად, რომ გადაიხადონ უფრო ძვირი „მწვანე ტურიზმისათვის“, რაც გულისხმობს განახლებადი ენერჯის დაზოგვის ტექნოლოგიების დანერგვას, ნარჩენების მართვას; კომფორტულ პირობებს მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის მოსახლეობაში ცნობიერება მდგრადი, ეკოლოგიური, ბუნებრივი თუ მწვანე ტურიზმის მიმართულებებს შორის, რაც ყოველგვარ კავშირშია „ბუნებაში“ დასვენებასთან.

საჭიროა მოხდეს მოსახლეობაში მწვანე ტურიზმის სპეციფიკაში გარკვევა, გარემოსდაცვითი განათლების გაზრდა, მომავალი თაობებისთვის შეღავათების, ღირებულების, დაუცველობის, უნიკალურობისა და ბუნების სპეციფიკურობის საკითხებში მოსახლეობის ყველა სემინტისათვის.

## რეკრეაციული სერვისების ეკონომიკური შეფასება

იმისათვის, რომ ქვეყანამ მოახდინოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, საჭიროა ეკოსისტემების სერვისების როლის ამაღლება, ამავდროულად საჭიროა საკონსერვაციო და ბუნებისდაცვითი სტატუსის ამაღლება. ეს გულისხმობს სწორ მენეჯმენტს მენეჯმენტს დაგეგმვასა და მართვაში, მრავალფუნქციური განვითარების გათვალისწინებით.

ამ კონცეფციის მთავარი იდეაა ბუნებრივი კაპიტალის – რესურსის, მარეგულირებელი და კულტურული ფუნქციების გათვალისწინება. სარეკრეაციო პოტენციალის (დასვენება და ტურიზმი) შესაფასებლად გამოიყენება სამოგზაურო ხარჯების მეთოდი, რომელიც მოიცავს რეკრეაციორთა ყველა ხარჯს: განთავსების, კვების და ტრანსპორტირების ხარჯებს, ასევე დამატებით ხარჯებს, რომელიც წარმოიშობა მოგზაურობის პროცესში. ამ კვლევების მთავარი მიზანია, ინფორმაციის მოპოვება, შესასვლელი ბილეთები ხარჯის დასაანგარიშებლად, მაგალითად, რეკრეაციული ტერიტორიის შენარჩუნებისა და მასზე ზრუნვის ხარჯების დასაფარად. ქვეყნებში, რომლებსაც უკვე გააჩნიათ დაცული ტერიტორიები, ტურიზმისათვის (მაგალითად, აფრიკის საჰარას რეგიონში), ან დღევანდელ დღეს უწევენ ორგანიზაციას, სატრანსპორტო-საგზაო ხარჯების მეთოდი შეიძლება სასარგებლო იყოს რესურსების ამოღების ინტენსივობის მისაღები დონის ან უცხოელი ვიზიტორებისთვის შემოსატანი საფასურის დასადგენად (Elizbarashvili, N. 2018).

საქართველოში ბუნებაზე ორიენტირებული ტურიზმის მოსანახულებელი ობიექტები დაცული ტერიტორიებია, რომლებიც აერთიანებს ეროვნულ პარკებს, ბუნების ძეგლებს, დაცულ ლანდშაფტებს და ნაკრძალებს. ბოლო წლების მონაცემებზე დაყრდნობით, ყოველწლიურად ტურისტების რიცხვის ზრდა 1,2%-ია.

რაც შეეხება მწვანე ტურებს, ეროვნულ პარკებში, ნაკრძალებში და დასასვენებელი ტერიტორიების ობიექტებზე იმართება რამდენიმე დღით. ტურისტებისთვის კვების პროდუქტის ღირებულება შეადგენს 20-35 ლარს / პირი / დღეში.

რათქმუნდა აღნიშნულ ტურებზე ტრანსპორტირების ხარჯები (და პირიქით) განსხვავდება საჰაერო, სარკინიგზო და საგზაო ტრანსპორტისა და აეროპორტის მდებარეობის მიხედვით.

სასტუმროში განთავსება უცხოელ მოქალაქეებსა და ქალაქების მცხოვრებთათვის განისაზღვრება საშუალო ფასებით.

აქედან გამომდინარე, მწვანე ტურიზმი მდგრადი ტურიზმის ძირითადი საფუძველია, რომელსაც 5 მახასიათებელი გაჩნია:

1. ეკონომიკური სარგებელი;
2. უზრუნველყოფს ტურიზმის მეშვეობით გარემოს დაცვას;
3. ბუნებრივი გარემოს სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება;
4. ხდება ადგილობრივი კულტურის ნაწილი;
5. ხელს უწყობს რეგიონში ინვესტიციების მოზიდვას.

21-ე საუკუნეში მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია ეკონომიკის ეკოლოგიზაციისაკენ, რომელიც მდგრადი განვითარების საფუძველია. მწვანე ეკონომიკის ღირებულებებში აღნიშნულია, რომ „ეკონომიკურად მომგებიანია ის, რაც ეკოლოგიურად უსაფრთხოა“, ასევე ირწმუნება, რომ გადასვლა მწვანე გლობალურ ეკონომიკაზე მსოფლიოს საზოგადოებამ დაიწყო 2012 წელს და პიკური მაჩვენებელს მიაღწევს 2050 წლებში. საჭიროა ინვესტიციების 2% განხორციელდეს ეკონომიკის 10 ძირითად საკვანძო მიმართულებებზე: ტურიზმი, თევზჭერა, სატყეო მეურნეობა, ტრანსპორტი, წყლის რესურსების მართვა, წყლის გამოყენება, უტილიზაცია და ნარჩენების გადამუშავება, ენერგეტიკა, აგრობიზნესი. თანამედროვე, ახალი ეკონომიკის განვითარების პირო-

ბებში მწვანე კომპონენტებმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი.

გაერომ მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორად აღიარა მწვანე ზრდა, რომელიც ასახა „მდგრადი განვითარების მიზნებში“. 2015 წელს საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტი მიანიჭა მწვანე ეკონომიკას, რომლის მთავარი ქვაკუთხედია მწვანე ტურიზმი. საქართველოს მთავრობის მიერ აღიარებულია სუფთა წარმოების, ეკოსისტემების სერვისების, გარემოსდაცვითი განათლებისა და მწვანე სამუშაო ადგილების [unwto.org]

მწვანე ეკონომიკა ახალ შესაძლებლობებს აძლევს ბიზნესს, განსაკუთრებით გლობალური კრიზისების პერიოდში. მწვანე ეკონომიკა იდენტიფიცირებულია, როგორც პრობლემების გადაჭრაში „დაუმარცხებელი“ გზა ეკონომიკური განვითარების, ასევე გარემოს დეგრადაციის პრობლემების და სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის საკითხების მოგვარების ხელშეწყობი. ბევრი ბიზნესი ცდილობს მწვანე ეკონომიკის შესაძლებლობების გამოყენებას – ახალი საქონლისა და სერვისების განვითარება, არსებული ბიზნეს ეკოლოგიზაციის პრაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ბრენდის გაუმჯობესებულ იმიჯს. ასეთი შესაძლებლობები ჩნდება ტურიზმის სექტორშიც (Mason, 2016)

მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში ტურიზმი მნიშვნელოვან ეკონომიკურ სექტორადაა აღიარებული, რადგანაც ის მაღალი ხარისხის ბუნებრივ რესურსებს და კლიმატურ სტაბილურობას ემყარება. გარემოსდაცვითი კუთხით ადექვატურად დაგეგმვისა და მართვის შემთხვევაში ტურიზმი უზრუნველყოფს ეკონომიკურ მდგრადობას მომავალი თაობებისათვის. განათლება და ცნობიერების ამაღლება უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს გარემოსდაცვითი ეთიკის გამოყენების კუთხით. ადამიანების დარწმუნება შეცვალონ მათი დამოკიდებულება ბუნებრივი გარემოს მიმართ მოითხოვს, რომ მათ აღიქვან საკუთარი თავი, როგორც ბუნების ნაწილი და არა როგორც ეკოსისტემისგან განცალკევებით მდგომი სუბიექტი. პარადიგმის ასეთი ცვლილება აუცილებელია ტურიზმის სექტორის მიერ გარემოზე მიყენებული უარყოფითი გავლენის შესამცირებლად, მაგალითად, „თავისუფალი ფრენების“ გავლენის მინიმუმამდე დასაყვანად (Holden, 2015).

სოფლის ტურიზმი ხშირად გამოიყენება სხვადასხვა რეგიონების განვითარების მწვანე ეკონომიკა ეკონომიკური განვითარების განსაკუთრებული მოდელია – „რესურსებზე ინტენსიური ეკონომიკის მოდელი“, რომელიც იწვევს მაღალ ხარჯებს და პროდუქტიულობის შემცირებას. კრიზისი კვლავ მიმდინარეობს ამ მოდელის ინდიკატორად და, საბოლოოდ, ქმნის „მწვანე ეკონომიკის“ ახალი მოდელის შექმნის იდეას, უზრუნველყოფილია გარემოსდაცვითი რისკებით და მატერიალური დოვლათი არ იქმნება გარემოს დეფიციტის და ეკოლოგიური უთანასწორობის გაზრდის გამო.

გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენცია რიო + 20 კონფერენციის ფარგლებში, სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ შექმნან მწვანე ეკონომიკის კონცეფცია, როგორც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარებისათვის.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია არის მოდელი, რომელიც იწვევს ადამიანების ჯანმრთელობისა და სოციალური სამართლიანობის გაუმჯობესებას, ასევე სამიში ნივთიერებების გარემოზე ზემოქმედების მნიშვნელოვან შემცირებას და გარემოს დეფიციტის გაუმჯობესებას. ამრიგად, მწვანე ეკონომიკა, მისი უმარტივესი ფორმით, შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკაში დაბალი ნახშირბადის გამო, რესურსების დაზოგვის და სოციალურ-ინკლუზიურ მოდელად.

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია არ ცვლის მდგრადი განვითარების კონცეფციას, მაგრამ ფართოდ არის აღიარებული, რომ მდგრადობის მიღწევა თითქმის მთლიანად ემყარება ეკონომიკური კანონის მიღებას.

გაეროს (გარემოსდაცვითი პროგრამა UNEP, აზიის და წყნარი ოკეანის ეკონომიკური და სოციალური კომისია, ESCAP და ა.შ.), საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორიცაა გლობალური ზრდის ინსტიტუტი (GGGI) და მრავალი სხვა, აქტიურ როლს თამაშობს მწვანე ზრდის სტრატეგიის შემუშავებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი საერთაშორისო საზოგადოება ობიექტურად იძულებულია მოძებნოს «მწვანე ეკონომიკაზე» გადასვლის გზები – ეკონომიკა, რომელიც ეყრდნობა რესურსების დაზოგვასა და ეკოლოგიურ ინდუსტრიებს, ზრდის ხალხის კეთილდღე-



ობას და ამცირებს გარემოს რისკებს. «მწვანე ეკონომიკა» ხვალინდელი ეკონომიკაა და ის 21-ე საუკუნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა.

გაეროს მიერ შემუშავებული გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP), განსაზღვრავს მწვანე ეკონომიკას, რომელიც ამცირებს გარემოს დეგრადაციას და აძლიერებს ადამიანის კეთილდღეობას, რათა მომავალმა თაობებმა ისარგებლონ ჯანსაღი, ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოთი.

გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP)-ის მწვანე ეკონომიკის ძირითადი საფუძველია:

- მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობა;
- პროფილაქტიკური მიდგომა სოციალურ და გარემოზე ზემოქმედების მიმართ;
- ბუნებრივი და სოციალური კაპიტალის შეფასება, მაგალითად, საგარეო ხარჯების ინტერნაციონალიზაცია, მენეჯმენტის გაუმჯობესება; რესურსების მდგრადი და ეფექტური გამოყენება, მოხმარება და წარმოება; აუცილებელი მაკროეკონომიკური მიზნების მისაღწევად, მწვანე სამუშაოების შექმნით, სიღარიბის აღმოფხვრა, კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ეკონომიკის ძირითადი სექტორების ზრდა.

მწვანე ეკონომიკაში, პრაქტიკული თვალაზრისით მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გამოყენება, რაც ასახულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული პოლიტიკის განვითარების სტრატეგიებში. [4]

„მწვანე ეკონომიკა“ არის მნიშვნელოვანი პირობა მდგრადი განვითარების მისაღწევად, სიღარიბის აღმოსაფხვრელად და ქვეყნებში მაღალი ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ეფექტების მისაღწევად.

გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტების მიერ გამოვლენილი იქნა პრიორიტეტული სექტორები, რომლებიც ხელს უწყობს მდგრად განვითარებაზე გადასვლას. ესენია:

- ენერჯის ალტერნატიული წყაროები;
- წყლის მოხმარების შემცირება;
- ნარჩენების პრობლემების აღმოფხვრა;
- სოფლის მეურნეობის და მეტყვეობის ხელშეწყობა;
- ტრანსპორტის საწვავის არატრადიციული, ალტერნატიული წყაროებით შეცვლა.

მდგრადი განვითარების გრძელვადიანი განვითარებისათვის საჭიროა ეკონომიკის ყველა სფეროს კოორდინირებული მოქმედებების განხორციელება, რომელიც მოითხოვს ორგანიზაციული და ეკონომიკური მექანიზმის მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას, რაც გაზრდის ადამიანის კეთილდღეობას, რათა მომავალმა თაობებმა ისარგებლონ ჯანსაღი გარემოთი.

იმისათვის, რომ გატარდეს ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკა „მწვანე ზრდის“ ეფექტურობის შესაფასებლად, საჭიროა დამუშავდეს სრულყოფილი ინფორმაცია შესაძლო პროგნოზირებული რისკებისა და უარყოფითი შედეგების პროგნოზირებისათვის.

მწვანე ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ბუნებრივი რესურსების და ეკოსისტემების გამოყენებაზე, განსაკუთრებით იმ რეგიონებისათვის, სადაც არ არის წარმოება განვითარებული და მხოლოდ ტურიზმის სექტორია რეგიონის ეკონომიკაში ჩართული, ამიტომ საქართველოს მთავრობა დიდ როლს ანიჭებს მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

საქართველოს, ევროკავშირის, შვედეთის და ავსტრიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას პროექტის – „მწვანე ეკონომიკა: მდგრადი მთის ტურიზმი და ორგანული სოფლის მეურნეობა“ დასაწყებად. პროექტი ითვალისწინებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას, მათი პროფესიონალიზმის ამაღლების და მასშტაბების გაზრდის მიზნით. პროექტი ასევე მიზნად ისახავს ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობას და დამატებითი შემოსავლის შექმნის შესაძლებლობის გაზრდას საქართველოს ეკონომიკისთვის ორ ისეთ მნიშვნელოვან სექტორში, როგორცაა მწვანე ტურიზმი და სოფლის მეურნეობა. პროექტის შემუშავება მოხდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში. 4 წლიანი პროექტი 2019 წელს დაიწყო და დაფი-



ნანსებულია ევროკომისიის (3 მილიონი ევრო) შვედეთის (2.8 მილიონი ევრო) და ავსტრიის განვითარების თანამშრომლობით (1 მილიონი ევრო). პროექტს ავსტრიის განვითარების სააგენტო განახორციელებს 9 კაციანი გუნდის საშუალებით, რომელიც მუდმივად იქნება განთავსებული მესტიასა და თბილისში.

### დასკვნა

მდგრადი ტურიზმი, როგორც ურთიერთობის ახალი ფორმა, დღესდღეობით მსოფლიოს მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ტურიზმის ღირებულების ჯაჭვში მდგრადობის ინტეგრირება აუცილებელია, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მრავალი სარგებელი ტუროპერატორებისთვის, მომწოდებლებისთვის, მომხმარებლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის. ისეთი პრაქტიკა, როგორიცაა ენერგოეფექტური მოწყობილობების გამოყენება, ეკოლოგიურად ჯანსაღი პროდუქტების შექმნა, ნარჩენების შემცირება და ბუნებაზე დაფუძნებული ტურების კეთილგონივრულმა დაგეგმვამ, შეუძლია არა მხოლოდ მოხმარებული რესურსების შემცირება, არამედ სარგებელის გაზრდა. ასევე მნიშვნელოვანია განახლებადი ენერჯის წყაროების ჩართვა ტურიზმში ობიექტების განთავსებისას ან მომწოდებლების არჩევისას, ხოლო საერთაშორისო სასტუმროების ქსელები ძირითადად დაინტერესებულნი არიან ინვესტიციების განხორციელებაზე მწვანე ტექნოლოგიებში, რომლებიც ამცირებს ბუნებრივი რესურსების მოხმარებას და საოპერაციო ხარჯებს.

მწვანე ტურიზმი წარმოადგენს მდგრადი ტურიზმის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც შესაძლებელია უნივერსალური იყოს ქვეყნის, რეგიონის და ადგილობრივ დონეზე. მწვანე ტურიზმის შემდგომი წარმატებული განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, რესურსების მოხმარებისა და ნარჩენების გადამუშავების მიზნით. ასევე აუცილებელია ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს მწვანე ტურიზმის განვითარებას, რაც მომავალში მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძველია.

იმისათვის, რომ ქვეყანა გადავიდეს მწვანე ეკონომიკაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე, სადაც დიდ მნიშვნელობას იქნის ეკოლოგიური მდგრადობა, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ამისათვის საჭიროა ქვეყნებში დაინერგოს საერთაშორისო პროგრამები და სერტიფიცირების სისტემები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებას, სტიმულს მისცემს ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოებს დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც იქნება ეკოლოგიურად ჯანსაღი და უსაფრთხო, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

სხვადასხვა ქვეყნის მრავალი მაგალითი არსებობს. ქვეყნებსა და რეგიონებს, რომლებსაც გააჩნიათ კარგად ჩამოყალიბებული ეკოლოგიური პოლიტიკა, ეყრდნობიან სამეცნიერო კვლევებს, სამეცნიერო ბაზების მონაცემებს, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვებს სწრაფად გადადიან უსაფრთხო მწვანე მოდელზე და შესაბამისად, ავითარებენ მწვანე ეკონომიკას.

იმისათვის, რომ მოხდეს მდგრადი ტურიზმის ინდუსტრიის გადასვლა ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიებზე, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს მხარდაჭერა დარგის მართვასა და განვითარებაში. ასევე მწვანე საქმიანობის სტიმულირება, როგორც მომხმარებლების, ასევე მწარმოებლების მხრიდან გადასახადების, ფასების, მწვანე კრედიტების და ინვესტიციების სახით.

### რეკომენდაციები

ჩვენ მიერ მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ტურიზმის მდგრადი განვითარების მიზნების განსაზღვრა და მისადაგება საქართველოსთან. ასევე მდგრადი ტურიზმის როლის განსაზღვრა მწვანე ეკონომიკაში. მოვახდინეთ ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივების შესწავლა.

ჩამოგვიყალიბდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

სახელმწიფოს მხრიდან, მდგრადი და ინტენსიური ტურისტული ბიზნესის განვითარების მოდელის შექმნა, რომლისთვისაც აუცილებელია:

- მდგრადი ტურიზმის ძირითადი პრინციპებისა და მოდელების უცხოური გამოცდილების შესწავლა;
- მდგრადი ტურიზმის მოდელის შემუშავება სამეცნიერო სამუშაოებზე დაყრდნობით;
- სამეცნიერო კვლევებში სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტებისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობის უზრუნველყოფა მდგრადი ტურიზმის პოპულარიზების საკითხში;
- ეფექტური გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასატარებლად და «მწვანე» ზრდის ეფექტურობის ყოვლისმომცველი შეფასებისთვის, შემუშავდეს «მწვანე ეკონომიკაში» გადასვლის უზრუნველსაყოფი მექანიზმის მოდელი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ მიღებული ზომების დონე, მათი გავლენის მასშტაბები და საზღვრები, დამუშავდეს ყველაზე სრულყოფილი ინფორმაცია შესაძლო პროგნოზირებული რისკებისა და შესაძლო უარყოფითი შედეგების (დაბინძურება, ეკოსისტემის დეგრადაცია) შესახებ.

იმისათვის, რომ ქვეყანა გადავიდეს მწვანე ეკონომიკაზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს მდგრადი ტურიზმის განვითარებაზე, სადაც დიდ მნიშვნელობას იძენს ეკოლოგიური მდგრადობა, როგორც გლობალურ, ისე ეროვნულ დონეზე. ამისათვის საჭიროა ქვეყნებში დაინერგოს საერთაშორისო პროგრამები და სერტიფიცირების სისტემები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნულ საკითხში საერთაშორისო გამოცდილების გავრცელებას, სტიმულს მისცემს ტურიზმის ინდუსტრიის საწარმოებს დანერგონ ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც იქნება ეკოლოგიურად ჯანსაღი და უსაფრთხო, აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

## REFERENCES

- Alaverdov, E. (2021). The Development of Islamic Knowledge and Tourism in the Modern Life of North Caucasus. In E. A. Bari, *Global Development of Religious Tourism* (pp. 11-24). Hershey: IGI Global.
- ალადაშვილი მ., (2013) სადისერტაციო ნაშრომი „ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიების გამოყენების პერსპექტივები საქართველოში“ (გვ.90-120)
- დერეკ ჰოლი, მიჩელი (2017) „ახალი მიმართულებები სოფლად ტურიზმში“. Vol.10. No.4, pp. 410-428.
- Elizbarashvili, N., Meesen, H., Khoetsiani, A., Meladze, G., Koler, T. (2018). *Sustainable Development of Mountainous Regions and Resource Management*. Tbilisi: Dani.
- Mazilu M.E., Green tourism in the age of green economy // International journal of economics and statistics. 2013. Vol. 1. Iss. 3. Pp. 140-147.
- Hall D. Kirkpatrick I. Mitchell M. 2005. *Rural Tourism and sustainable business*. Bristol: Channel View Publication.
- (Katsitadze, N., & Natsvlisvili, I., (2020)). "The Role of State Regulation and Policy in Tourism Development: The Case of Georgia". In *Eurasian Economic Perspectives* (pp. 419-434). Springer, Cham.
- ნადირაშვილი გ., ჯანგულაშვილი დ., (2016) მდგრადი ტურიზმის საფუძვლები თბ., გამომცემლობა უნივერსალი
- გელდენერი ჩ.რ. რითიჩი ჯ.რ. 2017. *ტურიზმი. საფუძვლები. პრაქტიკა. თეორია*. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მეთორმეტე გამოცემა (გვ.429-443)
- საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. <https://gnta.ge/ge/> (19.04.2024)
- [https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/06/wlis\\_angarishi\\_2016.pdf](https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/06/wlis_angarishi_2016.pdf)
- Food and Agriculture Organization of the United Nations and World Tourism Organization. (2023). *Understanding and Quantifying Mountain Tourism*. Retrieved from <https://www.fao.org/documents/card/en?details=CC5210EN>
- <https://openknowledge.fao.org/server/api/core/bitstreams/61b2d458-76be-404e-a47d-ae5a5372b96/content>
- Georgian National Tourism Administration & German Society for International Cooperation (GIZ). (2018). *Green Tourism in Georgia*. Tbilisi: Georgian National Tourism Administration.
- Holden, A., 2015. Environmental Ethics and Challenges to Tourism's Place in the Green Economy. In: M. V. Reddy , K. Wilkes. eds. 2015. *Tourism in the Green Economy*. London and New York. Routledge: pp. 46-56.
- Mason, P., 2016. *Tourism Impacts, Planning and Management*. 3rd ed. New York: Routledge.

ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსი (1999) განახლებულია მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაციის მიერ 2022 წელს

<https://webunwto.s3.eu-west-1.amazonaws.com/s3fs-public/2019-11/georgia2015.pdf>

საქართველო. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (2015) საქართველოს-ტურიზმის სტრატეგია 2025.

საქართველო. საქართველოს პარლამენტი (1996) საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ. სარეგისტრაციო კოდი: 360.000.000.05.001.000.184.

დევაძე, ა. გ. ნ., 2012. ტურიზმი საქართველოში არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები. თბილისი

საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ (1996) საქართველოს პარლამენტის მაცნე [WWW.UNWTO.org](http://WWW.UNWTO.org)

<http://recp.ge/wp-content/uploads/2018/01/Green-economy-newsletter-GE-1.pdf>

[http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1\\_sakartvelos\\_socialur-ekonomikuri\\_ganvitarebis\\_strategiis\\_-\\_sakartvelo\\_2020.pdf](http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/1_sakartvelos_socialur-ekonomikuri_ganvitarebis_strategiis_-_sakartvelo_2020.pdf)

<http://moe.gov.ge/res/images/file-manager/strategiuli-dokumentebi/strategiebi-gegmebi/2017-2021-.pdf>

<http://european.ge/mwvane-ekonomikuri-doqtrinistvis-tezisebi/>

**Manana Aladashvili**  
*Academic Doctor of Business  
Administration, Professor*

**Natela Tushishvili**  
*Doctoral student at the Georgian University  
named after David Agmashenebeli*

## SUSTAINABLE TOURISM AS A NEW TYPE OF RELATIONSHIP IN THE DEVELOPMENT OF A “GREEN ECONOMY”

### **annotation**

The article presents a sustainable tourism as economic field and a new form of communication that many for the country decisive meaning it has and society development. In fact, problems a lot of aspects includes: tourism sustainability level (between ecological tourism), its economic importance constant height world leaders thoughtful economy stable development the most important as a means. Different countries various strategies and approaches they have tourism stable development to. In the world tourism stable development big experience exists and last for years different level happens stable tourism levels integration business, government, political organizations and associations level. Therefore, sustainable tourism as a new form of communication. Present time peace basic trial is the article also discusses that green tourism is a form of sustainable tourism that can be universal at the country, regional and local levels. For the further successful development of green tourism, the introduction of new technologies for the purpose of consuming resources and recycling waste is of great importance. It is also necessary to use energy-saving technologies that will contribute to the development of green tourism, which is the basis for the development of a green economy in the future.

**key words:** sustainable development, sustainable tourism, green tourism, green economy, energy efficiency, national park, green tours, ecotourism

### **Introduction**

Tourism, with its high rate of development and its share of increasing income in the world economy, which is constantly expanding, has become the main sector of the world economy, and therefore is recognized by experts as a modern economic phenomenon.

The 70th UN General Assembly declared 2017 the Year of Sustainable Tourism, which poses even more challenges for the development of the sector.

Leaders of the developed world recognize that tourism has acquired the status of an economic, social and environmental leader in sustainable development. One of the main challenges of the world in the 21st century is the sustainable development of the economy, which is one of the main tasks of developed countries.

tourist sector in economics influence positive straight and indirect he has sides like small and microenterprises trade growth, entrepreneurship height and A. Sh., tourism development causes new

public infrastructure create , protect And finance naturally And cultural Inheritance . practically world leading projects does Positive changes demonstrate what an achievement Maybe tourism stable with the methods that tourism « Green economics « indicative» to sectors it will turn out to be scientific and technical And socio – economic progress caused tourism fast development . this because of tourists massive visits places Appeared serious Problems ecology , culture And Social development in field . tourism uncontrollable growth that caused benefit fast receiving willingly , often negative to results reasons – environment Damage – local pollution natural Resources Depletion , for example , of water. stocks Fatigue evident Threats to biodiversity Loss of land Degradation , pollution And another . Global warm-up general in the indicator tourism share They estimate 5 % . which ABOUT economic on the side , here tourism wrong Control Maybe call Prices Growth , Economic instability And another .

by 2050 tourism height Certainly will cause energy use growth (154%), greenhouse gases release (131%), water resource consumption (152%), heavy waste use (251%).

**The relevance of the topic is** to highlight the role of sustainable tourism in the development of a “green economy”, which is of critical importance for many countries and covers many aspects of current issues in the development of society. The level of sustainability of tourism (including green tourism) and the constant growth of its economic importance were considered by world leaders as the most important means of sustainable economic development.

**Purpose of the study:** to study the possibilities of developing sustainable tourism in Georgia, to identify its role in the development of a “green economy”.

**Research methods:** As the methodological basis of the study, we considered the methodology of sociological, statistical and quantitative research that was related to green tourism – a factor contributing to the development of the green economy.

This is analyzed in the article Published in various top rated magazines. academic And Scientific Research tourism about the role green in economics . articles except another Publications such as books chapters And conference Materials from which Goal A has been analyzed majority important Articles , articles Most of them Published 2010 After this show Topics News. In addition to the data obtained, as well as systematic and situational issues of the problem, the annual report of the Georgian National Tourism Administration and the data of the National Statistical Service of Georgia represent the theoretical methodology of the work.

#### **Literature review:**

tourism exercise And in politics spent changes Maybe call this negative influence decline And On the contrary , bring Benefit . United nation organization report – “ Green Towards an Economy : Sustainable development And poverty will eliminate According to the magazine “ Roads” ( Geneva , 2011 ) , *tourism is one of the most powerful drivers of sustainable growth of the world economy . With the right investment, this will be a continuously growing area over the next decade.* And hand I'll help employment And economic increases development . this society pushes show off attention natural , historical , cultural values support . Of course it should problem through peace This is about .A lot of literature, including world literature, is devoted to this topic. tourist Scientific articles published by the organization, as well as regulations, which formed In the document – « of the day». Order in the 21st century . « right his with the help , actively carried out a tourist route Silk The path which a lot of Country, they between Georgia is also participating . ( UNWTO.org., 2023).

2015 United Nations General 70th anniversary of the Assembly Anniversary At the session (in New York) 193 states It was decided that by 2030 become sustainable development day order Document – “ Let's transform.” World by 2030 ”, which includes 17 goals and 15 years. during must give the most important tasks solution peace All countries And of people For well-being , which means reducing poverty and creating a healthy environment.

June 18, 2015 in China carried out world tourism organization silk roads Seventh International at the conference on the 20th Met a country between Georgia too participated that silk roads tourist potential discussion dedicated of silk roads route as Purchase relations development as well as tourist potential From an important point of view, this is a direction that, in turn, contributes to the development of sustainable tourism. ( UNWTO.org., 2023).

2017 in September Georgia Also was tourism Scientific And Practicing experts majority influential International Association Aiest (established in 1951) in order 67 conference master country whose goal presented peace stable tourism industry improvement tourism Last trends And development analysis Based on this in the field expected Problems in advance foreseen And Their will decide roads by searching conference while working discussed was in Georgia tourism business sustainability And with him connected challenges And tourism stable development Business models . foreigner experts In my opinion , for Georgia stable development means two Business model balance . one On the other hand , about society based A business model that focuses small And average size in business And second On the other hand , about cooperation based A business model that focuses resorts for development , for example : skiing Resorts And leisure Complexes . experts They believe that in Georgia stable tourism for development necessary this Both Business model Balancing. Right here This is remarkable Also this is for today private And public sphere between cooperation cooperation in Georgia State structures hold in the hands of that former less smokes check tourism in field Associations, non-governmental organizations To presented interesting Innovative concepts. this hand European example exercise showed it private And public sphere between Cooperation It is important that effort general signs already in Georgia too It is noticed that the hand I'll help such society Form which more than it is important stable tourist product authenticity And for reliability.

stable tourism as economic Areas and new forms of communication, many for the country decisive meaning It has And How economic phenomenon society development In fact Problems a lot of aspect includes . to him Job growing capabilities And local for business big monetary income bring Maybe. tourism sustainability level (between ecological tourism), its economic importance constant height world leaders thoughtful All in all economy stable development the most important as a means. different countries different strategies And approaches they have tourism stable development to the world tourism stable development big experience exists And last for years different level happens stable tourism levels integration business, location, politics organizations And associations level.

tourist location And industry between Union institution present time peace basic trial is

The book by G. Nadirashvili and D. Dzhangulashvili "Sustainable Tourism" states that globalization process All a country and to them Among them is Georgia showed it's necessary conduct research tourist potential And local Population expectations o carefully must May be studied tourism development influence naturally And Social on the environment And must Get ready pitcher first steps May be avoided negative influence Wednesday And per population. tourism in field International scale activity hand I'll help in the country stable tourism Innovative approaches development And In fact Problems will decide Effective roads find ( Nadirashvili G., 2016).

N. Katsitadze in his work "The Role of State Regulation and Policy in the Development of Tourism: the Example of Georgia ..." draws attention to the fact that small economy having countries for success important happens No so much tourist Having resources, how much his optimal use Innovative control methods that should be based on the country's natural resources, as well as production characteristics, demographic conditions and economic characteristics. Movement in this direction is only possible if the country has a policy for sustainable tourism development ( Katsitadze N., Natsvlshvili I. , ( 2020) ) . "The role of government regulation and policy in tourism development: the example of Georgia." In *Eurasian Economic Perspectives* (pp. 419-434). Springer, Cham.

Charles Geldner and Brent Rich in the book «Tourism, S. Basics: Theory and Practice» explores the environment in which tourism is formed and all the important elements of this formation. Environmental

ecology and the importance of ecotourism in the context of sustainable development deserve special attention. ( Geldner Ch., 2016).

The book *New Directions for Rural Tourism*, edited by Derek Hall, describes the essence of sustainable tourism development and its role in economic development. The work also covers the emergence of new directions in this tourism. The study of these directions is especially interesting in the formation of tourism business in rural areas, which can seriously shape the specified tourist direction into sustainable tourism. The book also includes some important research in the field of rural tourism business (Hall.Mitchel. 2017).

The initial content of the concept of “venture capital” was closely related to the meaning of the word “venture”, which, on the one hand, means entrepreneurship, and on the other, risk. The American interpretation of the concept of “venture capital” can be called narrow. Thus, venture capital in the United States refers only to that which operates in the early stages of creating a high-tech company. The US National Venture Capital Association (NVCA) defines venture capital as: “Capital provided by venture capital professionals who provide management support to young, rapidly growing companies that have competitive and significant potential.”

The specific characteristics of venture capital include the following: high returns in high-risk environments; Creating an innovative effect when investing; Specific subjects and objects of investment. Thus, venture capital is an investment resource for ensuring innovative activities.

The investment activity of venture capitalists largely depends on the stage of development of a small high-tech company, as well as on the conditions for making venture investments in a particular state.

The development of venture capital is directly proportional to the development in the country of the following areas:

- Attracting foreign investment;
- Increasing international competitiveness;
- Development of high-tech projects and opening of production facilities;
- Increase in local and international revenues of companies/enterprises;
- Creating jobs and ensuring economic growth;
- Increased demand for personnel;
- Promoting progress;
- Increase in productivity;
- Increase in salary indicators.

The biggest benefit of venture capital funding for entrepreneurs is that along with financial support, they also receive organizational, management and other support. According to 80% of venture managers, their business could not exist, or at least could not develop as effectively, without the help of venture investors. [3]

According to the European Venture Capital Association, a typical portrait of an investee company should look like this: a technology company, the life of which is less than 5 years, the number of employees varies from 100 to 500 people and expects to “exit” the investment in 3-4 years. An entrepreneur’s choice of one type of financing or another depends on several factors, such as: the availability of a source of financing, fees (interest) for financing, the professionalism and ambition of the entrepreneur, the composition of financing (only financial resources or related services), etc.

Venture financing has a great advantage over other sources of financing at the initial stages of a company’s development, since, along with monetary, organizational, managerial and other types of support, the entrepreneur can offer the investor personal connections, information about markets and similar goods. As a company grows, the role of human capital offered by a venture capitalist decreases and it becomes strategic funding instead of venture capital funding.[4]

Thus, the main global trend in the formation of modern society is the transition from a raw materials and industrial economy to an innovative one, based on intellectual resources, scientific and information technologies. We can present venture financing as one of the tools that will ensure sustainable rates of economic growth for the country and reduce the difference between the levels of economic development compared to other leading countries in the world.

**References:**

1. Keshelashvili G., «Anti-crisis management», Tb., 2019;
2. Shamugia A., Luarsabishvili M., Gelashvili M – „CRITERIA OF EFFECTIVENESS OF ANTI-CRISIS STRATEGIC MANAGEMENT OF INNOVATIVE COMPANIES OF GEORGIA AND EU COUNTRIES” – Danish scientific journal №84 27-29 pp, 2024;
3. <https://geoeconomics.ge> – «Economics of Georgia» – causes of the financial crisis and their consequences;
4. <https://www.entrepreneur.com/ka/zdis-strategiebi/venchuruli-kapitali/342906> – Venture capital – Georgia’s unique opportunity.

## ასმათ შამუგია

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნიის  
ავილირებული ასოცირებული პროფესორი

## HR შესაბამისობის მნიშვნელობა დამსაქმებლისთვის და დასაქმებულისთვის

### ანოტაცია

მოცემული თემა, ვფიქრობთ, ფრიად აქტუალურია, რადგან ამ მიმართულებით არსებული პრობლემები საკმაოდ ბევრია. ამიტომ, უადრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მათი სიდრმისეული შესწავლა, რეკომენდაციების შემუშავება და მსგავსი ფაქტების მინიმუმამდე დაყვანა.

წინამდებარე სტატიაში განხილულია ქართულ ინოვაციურ კომპანიებში დაფიქსირებული დისკრიმინაციული ფაქტები, მათი წარმომშობი მიზეზები. ასევე ავტორის მიერ შეთავაზებულია მოგვარების რეკომენდაციები.

პერსონალის შერჩევას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანური რესურსების მართვაში. ამა თუ იმ პოზიციისათვის მუშაკთა სწორად შერჩევა ორგანიზაციის წარმატებისა და განვითარების საწინდარია. ადამიანური რესურსების მართვაში დაგროვილმა მრავალწლიანმა გამოკვლევებმა მეცნიერები მიიყვანეს დასკვნამდე, რომლის თანახმადაც, პიროვნების უნარები, ცოდნა და სხვა მახასიათებლები საჭიროა შეესაბამებოდეს სამუშაო პოზიციას. პერსონალის შერჩევის ძირითადი აზრიც სწორედ ამაში მდგომარეობს. სამუშაოს კარგად, ეფექტიანად შესრულება დამოკიდებულია ამ პოზიციისათვის სწორად შერჩეულ კადრზე.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს HR შესაბამისობის შესახებ ავტორის მიერ შესწავლილი ინოვაციური კომპეტენციების გაანალიზება.

**საკვანძო სიტყვები:** HR შესაბამისობა, დამსაქმებელი, დასაქმებული, კანონი.

### HR შესაბამისობის მნიშვნელობა დამსაქმებლისთვის და დასაქმებულისთვის

თანამედროვე ციფრულ სამყაროში ინოვაციური კომპანიებისთვის ადამიანი სტრატეგიული მნიშვნელობის რესურსს წარმოადგენს. სწორედ მისი ძალისხმევით ხდება შესაძლებელი ორგანიზაციული მიზნების მიღწევა. შესაბამისად, კადრების ეფექტიანი მართვა ღირს HR მენეჯერებისთვის უმთავრესი გამოწვევაა.

რასაკვირველია, მიუღებელია, თუმცა თანამედროვე ინოვაციურ კომპანიებში ღირს მაინც გვხვდება დისკრიმინაციული ფაქტები, მათ შორის: ბულინგი, ადამიანთა უფლებების შელახვა, ზეგანაკვეთური სამუშაო საათებით არაკეთილსინდისიერი დატვირთვა, სამუშაო აღწერილობების გადაფარვა, გენდერული, ეთნიკური და რელიგიური დისკრიმინაცია, შრომის ანაზღაურების უსამართლო პრინციპები, თანამშრომლებთან არათანაბარი მოპყრობის ფაქტები, კარიერული წინსვლის ხელმისაწვდომობაზე გარკვეული ჯგუფისთვის შეზღუდვები, შრომითი ურთიერთობის უსამართლოდ შეწყვეტის საკითხი და სხვ. [3].

HR შესაბამისობა ითვალისწინებს თანამედროვე კომპანიებში ადამიანური რესურსების მართვის პროცესების და პროცედურების შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებას. აღნიშნული უზრუნველყოფს ღირსეულ დამსაქმებლის ბრენდს, მისაღებ სამუშაო გარემოს და ეფექტიან თანამშრომელს.

HR შესაბამისობის მისაღწევად მნიშვნელოვანია ინოვაციურ კომპანიებში არსებული სიტუ-

აცის დიაგნოსტიკა, ხარვეზების გამოვლენა და მათ მოსაგვარებლად ქმედითი ნაბიჯების გადადგმა [15].

ორგანიზაციის მართვასა და, შესაბამისად, პერსონალის შერჩევის პროცესშიც ძალიან ბევრი სოციალური, ასევე ინდივიდუალური ფაქტორია ჩართული. პერსონალის შერჩევას ახორციელებენ პიროვნებები. კადრების სელექციის პროცესი მიმდინარეობს გარკვეული მისიის, კულტურის მატარებელ ორგანიზაციაში, რომელიც იმართება იმ ძირითადი მიზნებითა და სტრატეგიებით, რაც პრიორიტეტულად მიაჩნიათ ლიდერებს. უადრესად დიდია სოციალური კონტექსტის როლიც სამუშაოს შესრულებასა და პერსონალის შერჩევის მთელ პროცესში. ერთ-ერთი ძლიერი სოციალური კონსტრუქტი არის კულტურა, რომელიც ზემოქმედებს მისი წევრების ღირებულებებზე, ნორმებსა და ჩვევებზე, ასევე ახდენს მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას კულტურულ რაკურსში.

შემდეგი ფაქტორი იურიდიულია, თუმცა ძირითადი აქცენტი მიმართულია პერსონალის შერჩევის პრაქტიკაზე, ისეთი კონსტრუქტების გავლენის წარმოჩენაზე, როგორებიცაა: სტრატეგია, ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, ლიდერობა და ორგანიზაციული კლიმატი.

რა თქმა უნდა, შევხებით იმ უპირატესობას, რაც ორმხრივი კომუნიკაციის პროცესისთვისაა დამახასიათებელი. თანამშრომლებთან ეფექტური უკუკავშირის მექანიზმი ზრდის პოზიტიურ დამოკიდებულებას და ამცირებს პერსონალის წინააღმდეგობას ცვლილებების მიმართ, ასევე ხელს უწყობს კადრების ლოიალურობის ზრდას.

ჰუმანისტური მიდგომა მართვას, თანამშრომლებზე, როგორც ორგანიზაციის კაპიტალზე ორიენტაცია, სამუშაოს მოქნილი გრაფიკი, სტაბილობის განცდა და მართვის სხვა მნიშვნელოვანი ბერკეტი მენეჯმენტის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა[17].

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ HR შესაბამისობა მნიშვნელოვანია შრომითი ურთიერთობის ორივე მონაწილისთვის:

დამსაქმებლისთვის:

- ❖ ქმნის დადებით დამსაქმებლის ბრენდს, იმიჯსა და რეპუტაციას;
- ❖ მცირდება სასამართლო დავები, მასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები და რეპუტაციული რისკები;
- ❖ მცირდება ტალანტების დენადობა, იზრდება თანამშრომელთა მოტივაცია, კმაყოფილება და ეფექტიანობა. ასევე იზრდება ორგანიზაციაში დასაქმების მსურველთა რაოდენობა;
- ❖ იზრდება ორგანიზაციის წარმატება.

დასაქმებულისათვის HR შესაბამისობა უზრუნველყოფს:

- ✓ კანონით მინიჭებული უფლებების დაცვას (შვებულება, მივლინება, დეკრეტული შვებულება, ბიულეტენი და ა.შ.);
- ✓ შრომითი ხელშეკრულების გამართულობას;
- ✓ მოწესრიგებულ სამუშაო გრაფიკს;
- ✓ უსაფრთხო სამუშაო პირობებს;
- ✓ შრომის ანაზღაურებას;
- ✓ ზეგანაკვეთურ ანაზღაურებას, სწავლებას და განვითარებას, დაწინაურებას და სხვ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ HR პროცესები, რომლებზეც ვრცელდება შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნები. ესენია:

- ადამიანური რესურსის შერჩევის პროცესი (კონკურსის (შიდა, გარე) გამოცხადება, სელექციის პროცესი);
- თანამშრომლის აყვანის პროცესი (ხელშეკრულების გაფორმება);
- სტაჟიორის აყვანის პროცესი (ხელშეკრულების გაფორმება);
- კანდიდატების შემდგომი ინფორმირების პროცესი;
- პერსონალის კარიერის მართვა;



- თანამშრომლის ადაპტაცია / onboarding;
- კადრების განვითარება.

ადამიანური რესურსების ადმინისტრაციული პროცესებია:

- შვებულების;
- დეკრეტული შვებულების;
- შრომისუნარობის მართვის;
- მივლინებისა და სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების მართვის;
- ზეგანაკვეთური შრომის მართვისა და ანაზღაურების გაცემის;
- დისციპლინური წარმოების;
- სამუშაო დროის მართვის (სამუშაო საათები, შესვენება/დასვენება, აღრიცხვა) ;
- მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაო და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების

მართვის;

- სპეციფიკური სამუშაო რეჟიმის და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების მართვის ;
- პერსონალური მონაცემების დამუშავების და სხვ.

ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ, თუ როგორ ხდება HR შესაბამისობის დიაგნოსტიკა და HR შესაბამისობის მიღწევა:

დიაგნოსტიკა თავის მხრივ ითვალისწინებს:

❖ HR შესაბამისობის კუთხით რისკების გამოვლენას და მათ მოსაგვარებლად ეფექტიანი აქტივობების განხორციელებას;

❖ იგი უნდა იყოს ყველა ზომის ინოვაციურ კომპანიას მოერგონ მუდმივად ცვალებად შრომითი კანონმდებლობის მოთხოვნებს: შიდა პოლიტიკის დოკუმენტების, ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოების, HR ადმინისტრირების, მათ შორის შვებულების, ანაზღაურების, ზეგანაკვეთური სამუშაოს, შრომითი ხელშეკრულების შედგენის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებში;

❖ HR შესაბამისობის კუთხით ორგანიზაციის დიაგნოსტიკა კანონმდებლობასთან, არსებულ პრაქტიკებთან, მარეგულირებლის მიერ დამკვიდრებულ მიდგომებთან, მეთოდურ მითითებებთან და სტანდარტებთან მიმართებაში;

❖ შრომის უფლებების და შრომის სამართლებრივი ურთიერთობების კუთხით, ორგანიზაციაში არსებული პრობლემების, რისკების ან შესაბამისობის იდენტიფიცირება;

❖ დიაგნოსტიკის შედეგების საფუძველზე მომზადებული შესაბამისობის ანგარიშის და შესაბამისობის მიმართულებით ორგანიზაციის მენეჯმენტისათვის რეკომენდაციების წარდგენა და განხილვა;

❖ HR შესაბამისობებით გამოწვეული პრობლემების აღმოსაფხვრელად, ბიზნესის შეუფერხებელი მუშაობისთვის აუცილებელი სამოქმედო გეგმის მომზადება;

❖ HR შესაბამისობის პოლიტიკის და სტრატეგიის შექმნა და პერიოდული განახლება კანონმდებლობასთან, დადგენილ პრაქტიკებთან, სტანდარტებთან და გავრცელებულ პრაქტიკებთან მიმართებაში;

❖ HR შესაბამისობის კუთხით, სარისკო პროცესების განსაზღვრა და შესაბამისი კონტროლის სისტემის შემუშავება და/ან დანერგვა;

❖ შესაბამისობის მიმართულებით არსებული კონტროლის სისტემის ეფექტიანობის შეფასება. ასევე კონტროლის სისტემის დახვეწის მიმართულებით რეკომენდაციების შემუშავება;

❖ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, არსებული HR პოლიტიკებისა და პროცედურების დახვეწა, ახალი დოკუმენტების შემუშავება და/ან დანერგვა;

❖ ორგანიზაციაში სავალდებულო ტრენინგების ნუსხის (პაკეტის), სასწავლო პროგრამების შინაარსის, მასალების მომზადება და/ან არსებული პროგრამებისა და მასალების ანალიზი, ამასთანავე, მათი დახვეწის კუთხით რეკომენდაციების მომზადება.

დღეს თითქმის ყველა თანამედროვე ბიზნესლიდერის მოსაზრებით 2024 წლის უმთავრესი

გამოწვევა ახალი ტალანტების მოზიდვაა, თუმცა დამსაქმებლების უმრავლესობა ცდილობს გამკლავდეს არსებული ტალანტების შენარჩუნების პრობლემას.

Guild-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, დამსაქმებელთა 81% დელავს, რომ გაუჭირდება საუკეთესო ტალანტების შენარჩუნება, რომლებიც არ არიან ჩართულნი სამუშაო პროცესებში.

კვლევის თანახმად, ყოველივე ამას ორი მთავარი მიზეზი განაპირობებს: პირველი, როდესაც ინოვაციური კომპანია ხარჯებს ამცირებს, დასაქმებული, რომელიც ბევრს მუშაობს და საკმარისად დაფასებული არ არის, უფრო მეტად შორდება კომპანიის მისიას, თვლის, რომ მისი ადგილი აღარ არის კომპანიაში, სადაც ვერ შეძლებს კარიერულად განვითარებას. სამსახურის მისიასთან კავშირის, შიდა დაწინაურების იმედის გარეშე კი, სრულიად მოსალოდნელია, რომ დასაქმებული კომპანიიდან წავა.

მეორე მიზეზი, რომელსაც კვლევა გამოყოფს, დასაქმებულთა გადატვირთვაა. დამსაქმებლები ცდილობენ შეამცირონ კადრები და ნაკლებ ადამიანთან იმუშაონ. ამის შედეგად, ტოპ ტალანტებს ემატებათ ყოველდღიური პასუხისმგებლობები და საქმე. ეს შეიძლება დადებითად აისახოს მათ კარიერულ განვითარებაზე, თუმცა, ამასთანავე, მოსალოდნელია გადატვირთვაც გამოიწვიოს.

ბიზნესის ლიდერები ამ პრობლემების გადასაჭრელად ხშირად HR-ს მიმართავენ. კვლევის თანახმად, მონაწილეთა 93% მხარს დაუჭერს HR-ის ინოვაციურ მიდგომებს, რაც მიზნად დასაქმებულების შენარჩუნებას ისახავს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ პროცესში მხოლოდ HR-ის ჩართულობა, დამსაქმებლის ბიზნეს სტრუქტურის ცვლილების გარეშე, რეალურ შედეგებს ვერ მოიწვევს.

Guild თანამშრომელთა შენარჩუნებისთვის ორ გზას გვთავაზობს: პირველი, HR-მა უნდა შესთავაზოს დასაქმებულებს სწავლის და განვითარების შესაძლებლობები. მეორე, ბიზნესლიდერები საჭიროა უფრო ხშირად და გახსნილად ესაუბრობდნენ დასაქმებულებს, იმისთვის, რომ შეიტყონ მათი საჭიროებების შესახებ. ერთის მხრივ, შეიძლება დაიგეგმოს დასაქმებულების ინოვაციური კომპანიის შიდა განვითარების პროგრამები, მეორე მხრივ კი, ლიდერებმა პირისპირ შეხვედრების გზით გააუმჯობესონ კომუნიკაცია გუნდის წევრებთან.

ლიდერებს ხანდახან ავიწყდებათ, რომ ინოვაციური კომპანიის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება თავისი კადრებია. სწორედ თანამშრომლები უზრუნველყოფენ ინოვაციური კომპანიის სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

სამართლიანობისათვის საჭიროა ითქვას: 2023 წლის კვლევის თანახმად, სამსახურის მაძიებელთა 70% ძებნისას უთითებდა, რომ დამსაქმებლისგან ელოდება მაღალ ანაზღაურებას და უფრო მოქნილ განრიგს. ამ ცვლილებებში განსაკუთრებული როლი უჭირავთ Gen-Z თაობას. მათ უფროს თაობაზე უკეთესად ესმით პირადი ცხოვრებისა და სამსახურის ბალანსის მნიშვნელობა. მოქნილი განრიგი არ ნიშნავს ნაკლებ მუშაობას, პირიქით, ის გულისხმობს დროის სასურველ გადანაწილებას სამსახურსა და პირად ცხოვრებას შორის, მაგალითად, დროის გამოყოფას თერაპიისთვის, საყვარელ ადამიანებთან დროის გასატარებლად და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გლობალურმა პანდემიამ შეცვალა დამსაქმებელთა და დასაქმებულთა შეხედულებები, თუ როგორი შეიძლება იყოს სამუშაო პროცესი. შესაბამისად, 2020 წლის შემდეგ InHerSight-ის კვლევის თანახმად, შეიცვალა დასაქმებულთა პრიორიტეტები. მაგალითად, 2019 წელს მათი ტოპ 5 პრიორიტეტი ამგვარად გამოიყურებოდა: ანაზღაურებადი შვებულება, ხელფასი, თანამშრომლები, ქალებისთვის და მამაკაცებისთვის თანასწორობის უზრუნველყოფა და მოქნილი სამუშაო განრიგი ამ სიის ბოლოს პუნქტად იყო მოქცეული. თუმცა, 2020 წლის შემდეგ, ეს პრიორიტეტები მსგავსი კვლევის თანახმად ასეთია:

1. მოქნილი სამუშაო საათები – განრიგის ინდივიდუალურად განსაზღვრის შესაძლებლობა;
2. დისტანციურად მუშაობა;
3. ანაზღაურება;
4. ანაზღაურებადი შვებულება;
5. სწავლების შესაძლებლობა [16].

**დასკვნა:** მიგვაჩნია, რომ HR შესაბამისობის სპეციალისტი საქართველოს შრომის ბაზარზე სულ მალე ახალი მოთხოვნადი პროფესია გახდება, რისთვისაც 21-ე საუკუნის შესაბამის ცოდნასთან ერთად საჭირო იქნება შემდეგი უნარების ფლობა:

- HR ადმინისტრირების ან იურიდიული მიმართულებით გამოცდილება;
- შრომითი კანონმდებლობისა და რეგულაციების ცოდნა;
- სასამართლო პრაქტიკების, სახალხო დამცველის გადაწყვეტილებების, შრომის ინსპექციის პრაქტიკების გააანალიზებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
- ორგანიზაციული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების, HR პროცესებისა და ოპერაციების ანალიზის და შეფასების უნარი;
- შიდაორგანიზაციული დოკუმენტების მომზადების უნარი;
- წერილობითი ანგარიშების მომზადების უნარი;
- საკანონმდებლო აქტებთან მუშაობის უნარი;
- კვლევის დოკუმენტების გააანალიზებისა და განზოგადების უნარი;
- გუნდების, ასევე ინდივიდების კონსულტირების და სხვა პიროვნული უნარები.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა აქტიურად გმობს შრომით დისკრიმინაციას, საბოლოოდ მაინც ვერ ხერხდება დისკრიმინაციის ფაქტების აღმოფხვრა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია როგორც ინოვაციური კომპანიების, ისე სახელმწიფოს ერთობლივი მოქმედება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21>;
2. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/publication/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf);
3. [ojs.b-k.ge](https://ojs.b-k.ge)
4. <https://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf>;
5. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/diskriminaciis-akrzalvis-saertashoriso-standartebis-asaxva-erovnul-sasamartlo-praktikashi.pdf>;
6. სუმბაძე კ., „შრომითი დისკრიმინაციის გამოწვევები ქართულ ორგანიზაციებში“, ჟურ., „ბიზნესი და კანონმდებლობა“, N3, თბ., 2022;
7. შამუგია ა., „მატერიალური სტიმულირების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის მიმართულებები საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საკადრო პოლიტიკაში“, მონოგრაფია, დაისტამბა ი. მ. „თემურ ჩოხელი“, გვ. 15-22; თბ., 2014;
8. “Employment problems in Georgia,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Interdisciplinary Science Studies», Dublin, Ireland, 45-78pp., March 14-15, 2024;
9. “Challenges of human resource management and the importance of HR compliance for Georgian organizations,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Foundations and Trends in Modern Learning», Berlin, Germany, March 7-8, 2024;
10. “Employee Wellbeing Challenges in Human Resource Management,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Research Reviews», Prague, Czech Republic, March 1, 2024;
11. “Challenges of talent attraction and selection in Georgian organizations,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Progress in Science», Brussels, Belgium, February 22-23, 2024, ISBN 978-1-6920-5180-8 DOI 10.5281/zenodo.10706991;
12. “THE IMPORTANCE OF COMMUNICATION IN HUMAN RESOURCE MANAGEMENT,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Research Retrieval and Academic Letters», Warsaw, Poland, 128-130pp.; March 21-22, 2024;
13. “HR Compliance-ის მნიშვნელობა ბიზნესებისთვის, გამოწვევები და პერსპექტივები,” სუმბაძე კ., საერთაშორისო კონფერენცია «ციფრული ტრანსფორმაცია და ხელოვნური ინტელექტი», BTU, 2023;
14. <https://trainingindustry.com/top-training-companies/leadership/2024-top-leadership-training-companies/>
15. <https://btu.edu.ge/>
16. <http://www.insource.ge/ge/node/81>
17. “From teacher to Manager – Managing Language Teaching Organizations,” Published online by Cambridge University Press, 14 February 2023, Ron White, Andrew Hockley, Julie van der Horst Jansen and Melissa S. Laughner

**Asmat Shamugia**  
*Academic Doctor of Economics*  
*New Higher Education Institute – Newuni*  
*Affiliated Associate Professor*

## **IMPORTANCE OF HR COMPLIANCE FOR EMPLOYER AND EMPLOYEE**

### **Abstract**

We think this topic is very relevant, because there are quite a lot of problems in this direction. Therefore, we consider it extremely important to study them in depth, develop recommendations and minimize such facts.

This article discusses the discriminatory facts observed in Georgian innovative companies and their causes. The author also offers solution recommendations.

Personnel selection occupies an important place in human resources management. The correct selection of workers for this or that position is the key to the success and development of the organization. Many years of research in human resource management have led scientists to the conclusion that a person's skills, knowledge and other characteristics need to match the job position. This is the main idea of personnel selection. Good, effective performance of the work depends on the rightly selected personnel for this position.

The aim of the paper is to analyze the innovative competencies studied by the author on HR compliance.

**Key words:** HR Compliance, Employer, Employee, Law.

In today's digital world, people are a resource of strategic importance for innovative companies. It is through its efforts that organizational goals can be achieved. Therefore, effective personnel management is the main challenge for HR managers today.

Of course, it is unacceptable, but in modern innovative companies, discriminatory facts can still be found today, including: bullying, violation of human rights, unfair workload with overtime hours, overlap of job descriptions, gender, ethnic and religious discrimination, unfair remuneration principles, facts of unequal treatment of employees, Restrictions on access to career advancement for a certain group, the issue of unfair termination of employment, etc. [3].

HR compliance provides for the implementation of human resource management processes and procedures in modern companies in accordance with the requirements of labor legislation. This ensures a decent employer brand, an acceptable work environment and an effective employee.

In order to achieve HR compliance, it is important to diagnose the current situation in innovative companies, identify gaps and take effective steps to resolve them [15].

There are involved many social and individual factors in the management of the organization and, accordingly, in the process of personnel selection. Personnel selection is carried out by individuals. The personnel selection process takes place in an organization with a certain mission and culture, which is governed by the main goals and strategies that the leaders consider to be a priority. The role of the social context in the entire process of job performance and personnel selection is extremely large. One of the powerful social constructs is culture, which influences the values, norms and habits of its members, as well as shapes their worldview in a cultural perspective.

The next factor is legal, although the main focus is on personnel selection practices, showing

the influence of such constructs as: strategy, human resource management system, leadership and organizational climate.

Of course, we will touch on the advantage that is characteristic of the two-way communication process. An effective feedback mechanism with employees increases positive attitude and reduces staff resistance to changes, as well as promotes staff loyalty.

A humanistic approach to management, orientation to employees as the capital of the organization, flexible work schedule, a sense of stability and other important levers of management are one of the strengths of management [17].

It should also be noted that HR compliance is important for both participants in the labor relationship:

For the employer:

- ❖ Creates a positive employer brand, image and reputation;
- ❖ Court disputes, related financial costs and reputational risks are reduced;
- ❖ The flow of talents decreases, the motivation, satisfaction and efficiency of employees increases.

The number of people seeking employment in the organization is also increasing;

- ❖ The success of the organization increases.

For the employee, HR compliance provides:

- Protection of rights granted by law (vacation, business trip, maternity leave, bulletin, etc.);
- Validity of the labor contract;
- Regular work schedule;
- Safe working conditions;
- Labor remuneration;
- Overtime pay, training and development, promotion, etc.

We consider it appropriate to consider the HR processes to which the requirements of labor legislation apply. These are:

- Human resource selection process (announcement of competition (internal, external), selection process);
  - Employee hiring process (contract signing);
  - The process of hiring an intern (contract signing);
  - Process of further informing the candidates;
  - Personnel career management;
  - Employee adaptation / onboarding;
  - Personnel development.

Human Resources Administrative Processes are:

- Vacation;
- Maternity leave;
- Disability management;
- Management of business trips and reimbursement of business expenses;
- Overtime management and payment;
- Disciplinary proceedings;
- Working time management (working hours, break/rest, accounting);
- Management of heavy, harmful and dangerous work and related measures;
- Management of specific work mode and related events;
- Processing of personal data, etc.

Below we discuss in detail how HR compliance is diagnosed and HR compliance is achieved:

Diagnosis, in turn, includes:

- ❖ Identifying risks in terms of HR compliance and implementing effective activities to resolve them;
- ❖ It helps innovative companies of all sizes to adapt to the ever-changing requirements of labor

legislation: Internal policy documents, human resource management manuals, HR administration, including vacation, pay, overtime, labor contract drafting and other important issues;

- ❖ Diagnosing the organization in terms of HR compliance with legislation, existing practices, approaches established by the regulator, guidelines and standards;

- ❖ In terms of labor rights and labor legal relations, identification of problems, risks or inconsistencies in the organization;

- ❖ Submission and discussion of the compliance report prepared on the basis of the diagnosis results and recommendations for the management of the organization in the direction of compliance;

- ❖ To eliminate the problems caused by HR inconsistencies, to prepare an action plan necessary for the smooth operation of the business;

- ❖ Creating and periodically updating the HR compliance policy and strategy with respect to legislation, established practices, standards and common practices;

- ❖ In terms of HR compliance, determination of risk processes and development and/or implementation of appropriate control system;

- ❖ Evaluation of the effectiveness of the existing control system in the direction of compliance. As well as development of recommendations in the direction of improvement of the control system;

- ❖ To ensure compliance, improve existing HR policies and procedures, develop and/or implement new documents;

- ❖ Preparation of the list (package) of mandatory trainings in the organization, the content of training programs, materials and/or analysis of existing programs and materials, as well as preparing recommendations for their improvement.

Today, in the opinion of almost all modern business leaders, the main challenge of 2024 is to attract new talent, although the majority of employers are trying to cope with the problem of retaining existing talent.

According to a survey conducted by the Guild, 81% of employers worry that it will be difficult to retain top talent who are not engaged in their work processes.

According to the research, there are two main reasons for all this: first, when an innovative company cuts costs, an employee who works hard and is not appreciated enough is more likely to move away from the company's mission, believing that his/her place is no longer in the company where he/she will not be able to develop his/her career. Without a connection to the service mission, without the hope of internal promotion, it is completely expected that the employee will leave the company.

The second reason identified by the study there is employee overload. Employers are trying to downsize and work with fewer people. As a result, top talent has added day-to-day responsibilities and work. This can have a positive impact on their career development, however, it is also expected to cause overload.

Business leaders often turn to HR to solve these problems. According to the study, 93% of participants would support innovative HR approaches aimed at retaining employees. However, it should be noted that only the involvement of HR in this process, without changing the employer's business structure, will not lead to real results.

The Guild suggests two approaches to employee retention: First, HR should offer employees opportunities to learn and develop. Second, business leaders need to talk more often and openly with employees to learn about their needs. On the one hand, innovative company internal development programs for employees can be planned, and on the other hand, leaders can improve communication with team members through face-to-face meetings.

Leaders sometimes forget that the most important asset of an innovative company is its staff. It is the employees who ensure the achievement of the strategic goals of the innovative company.

To be fair, it should be said: according to the 2023 study, 70% of job seekers indicated during their search that they expect a higher salary and a more flexible schedule from the employer. The Gen-Z

generation plays a special role in these changes. They understand the importance of work-life balance better than the older generation. A flexible schedule does not mean less work, on the contrary, it involves the desired distribution of time between work and personal life, for example, allocating time for therapy, spending time with loved ones, etc.

It is worth noting that the global pandemic has changed the views of employers and employees on what the work process can be. Accordingly, after 2020, according to InHerSight research, the priorities of employees have changed. For example, their top 5 priorities in 2019 looked like this: Paid time off, wages, employees, equality for women and men, and flexible work schedules were ranked at the bottom of the list. However, after 2020, these priorities according to a similar study are:

1. Flexible working hours – possibility to determine the schedule individually;
2. Working remotely;
3. Remuneration;
4. Paid leave;
5. The possibility of teaching [16].

**Conclusion:** We believe that the HR compliance specialist will soon become a new in-demand profession in the Georgian labor market, for which, together with the relevant knowledge of the 21st century, it will be necessary to possess the following skills:

- ❖ HR administration or legal experience;
- ❖ Knowledge of labor legislation and regulations;
- ❖ Ability to analyze and apply court practices, public defender’s decisions, labor inspection practices;
- ❖ Ability to analyze and evaluate organizational internal regulatory documents, HR processes and operations;
- ❖ Ability to prepare Internal organizational documents;
- ❖ Ability to prepare written reports;
- ❖ Ability to work with legislative acts;
- ❖ Ability to analyze and generalize research documents;
- ❖ Teams as well as individuals counseling and other personal skills.

Despite the fact that the legislation in force in Georgia actively condemns labor discrimination, in the end it is still not possible to eliminate the facts of discrimination. In order to solve the mentioned problem, we think that joint action of both innovative companies and the state is important.

#### References:

1. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=21>;
2. [https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed\\_dialogue/---lab\\_admin/documents/publication/wcms\\_627047.pdf](https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_dialogue/---lab_admin/documents/publication/wcms_627047.pdf);
3. [ojs.b-k.ge](https://ojs.b-k.ge)
4. <https://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf>;
5. <https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/diskriminaciis-akrzalvis-saertashoriso-standartebis-asaxva-erovnul-sasamartlo-praktikashi.pdf>;
6. Sumbadze K., «Challenges of Labor Discrimination in Georgian Organizations», Jur., «Business and Legislation», N3, Tb., 2022;
7. Shamugia A., «Directions of improving the forms and methods of material stimulation in the personnel policy of the general education system of Georgia», monograph, Daistamba I. M. «Temur Chokheli», p. 15-22; Tb., 2014;
8. “Employment problems in Georgia,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Interdisciplinary Science Studies», Dublin, Ireland, 45-78pp., March 14-15, 2024;
9. “Challenges of human resource management and the Importance of HR Compliance for Georgian organizations,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Foundations and Trends in Modern Learning» , Berlin, Germany, March 7-8, 2024;
10. “Employee Wellbeing Challenges in Human Resource Management,” Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Research Reviews», Prague, Czech Republic, March 1, 2024;

11. "Challenges of talent attraction and selection in Georgian organizations," Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Progress in Science», Brussels, Belgium, February 22-23, 2024, ISBN 978-1-6920-5180-8 DOI 10.5281/zenodo.10706991;
12. "THE IMPORTANCE OF COMMUNICATION IN HUMAN RESOURCE MANAGEMENT," Sumbadze K., Proceedings of the 5th International Scientific Conference «Research Retrieval and Academic Letters», Warsaw, Poland, 128-130pp.; March 21-22, 2024;
13. The Importance of HR Compliance for businesses, challenges and prospects,» Sumbadze K., International Conference «Digital Transformation and Artificial Intelligence», BTU, 2023;
14. <https://trainingindustry.com/top-training-companies/leadership/2024-top-leadership-training-companies/>
15. [Btu.edu.ge](http://Btu.edu.ge)
16. <http://www.insource.ge/ge/node/81>
17. "From teacher to Manager – Managing Language Teaching Organizations," Published online by Cambridge University Press, 14 February 2023, Ron White, Andrew Hockley, Julie van der Horst Jansen and Melissa S. Laughner



**მაია გელაშვილი**  
ეკონომიკის დოქტორი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნის  
ასოცირებული პროფესორი

## შემოსავლების უთანასწორობის ეკონომიკური შედეგი საქართველოში

### ანოტაცია

შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობა მოსახლეობის მწვავე პრობლემაა, როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში, ვინაიდან იგი წინაპირობაა ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა. თუმცა მსოფლიოში შემოსავლების განაწილებით სრულიად თანასწორი საზოგადოება არ არსებობს, რაც არც სასურველი და არც მიღწევადია. აქ მნიშვნელოვანია პროპორცია, რომ არ უნდა იყოს უკიდურესად ღარიბები და უზომოდ მდიდრები. სწორედ სახელმწიფოა ვალდებული უზრუნველყოს თავის ქვეყნის მოქალაქეთა ცხოვრების პირობების შექმნა და გაუმჯობესება. შემოსავლების უთანასწორო განაწილება კომპლექსური ხასიათისაა და განსაკუთრებით იგი მოიცავს უმუშევრობას, რომლის მთავარი მიზეზი არასტაბილური პოლიტიკური გარემო და არაკვალიფიციური მუშახელია.

საქართველოში საზოგადოება ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის სოციალ-ეკონომიკური უთანასწორობის წინაშე დგას. ეკონომიკურ ჭრილში მოსახლეობის დიდი ნაწილი არარეალიზებული და დაბალმსყიდველუნარიანია. რაც შესაძლებელს ხდის დაპირისპირების რისკს და საზოგადოების შიდა არეულობის, ვინაიდან ადამიანებს უნდა შეეძლოთ საკუთარი შრომიდან მიიღონ მეტი სარგებლიანობა და კეთილდღეობა თავიანთი არსებობისათვის და მაშინ როცა ხდება შემოსავლების უთანასწორო გადანაწილება და საარსებო მინიმუმსაც ვერ იღებს რა თქმა უნდა პირდაპირი მნიშვნელობით ჩნდება პოლიტიკური მღელვარება,

შესაბამისად, აღმოფხვრის გზები მთავრობის ინტერვენციას მოითხოვს, რადგან მან უნდა გაატაროს ისეთი ფისკალური პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს შემოსავლების განაწილების უთანასწორობას გრძელვადიან პერიოდში და გამოიწვევს თანასწორობას. ამგვარი ქვეყანა იქნება მდიდარი, სტაბილური და ერთიანი.

**საკვანძო სიტყვები:** უთანასწორობა, სიღარიბე, სტაბილური, ფისკალური პოლიტიკა, დაბალმსყიდველუნარიანი, არაკვალიფიციური.

### შემოსავლების უთანასწორობის ეკონომიკური შედეგი საქართველოში

ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს შემოსავლების მდგრადობა წარმოადგენს. თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი საბოლოო თანაბარი განაწილება. არათანაბარი გადანაწილება საზოგადოების დაძაბულობის შედეგია, ვინაიდან იგი იწვევს უიმედობასა და სიღარიბის შედეგს და მთავარი პრობლემა კი მოსახლეობის შემოსავლის მკვეთრი დიფერენცირებაა. ვინაიდან შემოსავლების დიდი ნაწილი ცალკეული ინდივიდებისთვის სიმდიდრის რესურსია და ხდება ჭარბი დაგროვება, რომელიც შედეგია უკვე უსამართლო გადანაწილების. მსოფლიო ბანკის კვლევების თანახმად: „თუ მდიდართა კლასის შემოსავლების წილი 1%-ით იზრდება, მაშინ მომდევნო 5 წლის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის მაჩვენებელი ფაქტიურად 0,08%-ით კლებულობს, ხოლო თუ ღარიბთა 20%-ის შემოსავლების წილი ასევე იზრდება, მაშინ 0,38%-ით უფრო მეტი

მთლიანი შიდა პროდუქტი იქმნება“ [Sott Database, 2012]. საერთაშორისო სავალუტო ფონდის 2015 წლის კვლევის მიხედვით შემოსავლების გადანაწილების უთანასწორობა ერთნაირი მიდგომით ვერ გადაწყდება რადგან, ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა გააჩნია. კერძოდ პრობლემას სხვადასხვა განათლების მქონე პირთა ხელფასებს შორის დიდი სხვაობაა.

შემოსავლების განაწილების უთანასწორობის მიზეზს მეცნიერი ამართება სენი გლობალიზაციას ასახელებს [Amartea sen, 2001]. იგივე აზრის არიან ჯ. სპერო და ლორა თაისონი, რომლებიც წერენ: „გლობალიზაციის ზრდის კვალობაზე დარიბი ქვეყნების საშუალო სულადობრივი შემოსავლის ჩამორჩენა შედარებით გადიდა“ [Joan Spero and Laure D’Andrea Tayson, 2000: 80-98]. პაულ კრუგმენის აზრით, შემოსავლების უთანასწორო განაწილება საზიანოა ერის, როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ ჯანმრთელობაზე (Paul Krugmen Retrieved from the Growing Gap.) და გვთავაზობს მისი აღმოფხვრის შემდეგ გზებს:

ა) ბაზრის სამართლიან შედეგებს და მთავრობის ინტერვენციას;

ბ) ისეთი ფისკალური პოლიტიკის გატარებას, რომელიც გრძელვადიან პერიოდში გამოიწვევს თანასწორობას.

მიუხედავად განსხვავებული აზრისა, ფაქტი ერთია – უთანასწორობის მიზეზი ადამიანთა განსხვავებული უნარი და მათი პიროვნული რეალიზაციაა. შემოსავლების განაწილებას თავისი მიზანი აქვს, კერძოდ, ირკვევა თუ:


- როგორ მოქმედებს მისი გადანაწილება საზოგადოების და სოციალური ჯგუფების ფორმირებასა და კეთილდღეობაზე;
- როგორ გავლენას ახდენს მისი განაწილება შინამეურნეობებისა და მომხმარებელთა ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლაზე.

განვითარების ერთ დონეზე მყოფი ქვეყნებისთვისაც კი განსხვავებულია შემოსავლების განაწილების პრიორიტეტულობა და ტენდენციები, ვინაიდან საზოგადოება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით არაერთგვაროვანია. მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანია, რომელთაც ცხოვრება ყოველდღიური არსებობისთვის უწევთ. აღნიშნული პრობლემა საქართველოში არსებით ხასიათს ატარებდა, ბოლო წლებში კი უმნიშვნელო გახდა მოსახლეობის კეთილდღეობის შესწავლა, ვინაიდან შემოსავლები ნაკლებად სტაბილურია, დასაქმებულთა უმეტესი ნაწილი თვითდასაქმებულია და ამგვარი შემოსავლებით რთულია განისაზღვროს, როგორც შემოსავლები, ასევე მისი განაწილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნება გატარდეს შემოსავლების უთანასწორო განაწილების ისეთი გრძელვადიანი პოლიტიკა, რომელიც ხელშემწყობი იქნება შრომის ბაზარზე სოციალურად დაუცველი ჯგუფების დასაქმებისა.

თანამედროვე საზოგადოება მრავალი პრობლემის, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობისა და სიღარიბის წინაშე დგას. თუმცა, ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკა გააჩნია და ერთნაირი მიდგომით უთანასწორობა ვერ გადაწყდება, რაც, რა თქმა უნდა, თავისი არსით ცუდია, ვინაიდან სიღარიბე კომპლექსური ხასიათისაა და საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, განსაკუთრებით უმუშევრობას. ამ მიმართულებით მთავარ მიზეზად არასტაბილური პოლიტიკური გარემო და არაკვალიფიციური მუშახელი მიიჩნევა საქართველოში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2023 წელს უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი 16,4% იყო, რაც წინა 2016-2022 წლებთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია. თუმცა უფრო კორექტული იქნება თუ თითოეული წლის ანალიზის შედეგს განვიხილავთ, რადგან 2021-2023 წლებში საკმაოდ საყურადღებოა 4,2% მასშტაბური ცვლილება, კერძოდ, რამ გამოიწვია ან ზეგავლენა მოახდინა აღნიშნულ შედეგზე. (იხ. დიაგრამა N1) რამდენადაც ცნობილია, მითითებულ წლებში არ ყოფილა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. უფრო მეტიც, იმავე სამსახურის მონაცემების საფუძველზე, მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მაღალი მაჩვენებელი 19,7% ფიქსირდება და სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის ხვედრითი წილი ქალაქად 20,6%-ს, სოფლად 12,3%-ს და სულ 32,9%-ია. საინტერესოა თუ უმუშევრობა ქვეყანაში დაბალი ინტენსივობით ხასიათდება, რატომაა დისბალანსი მედიანურ მოხმარებას, უმუშევრობასა და მოსახ-

ლეობის სიღარიბის ზღვარს მიღმა ხვედრით წილს შორის. სამწუხაროდ, აღნიშნული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო ლიდერ პოზიციაზეა მოსახლეობის ცხოვრებისა და კეთილდღეობის დაბალი დონით. ვინაიდან, უმუშევრობა გაცილებით იმაზე მეტია, ვიდრე ეს საქსტატის მონაცემებიდან ჩანს.


დიაგრამა N1



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასების ძირითადი მაჩვენებელი ეკონომიკური ზრდა და მთლიანი შიდა პროდუქტია. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ შემოსავლების განაწილება ერთ სულ მოსახლეზე. ამ მხრივ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების (იხ. დიაგრამა N2) საფუძველზე ვითარება შემდეგია:

დიაგრამა N2



წყარო: <https://mof.ge/mshp>

აღნიშნული დიაგრამა ანალიზის იმისა, თუ როგორი დამოკიდებულებაა მშპ-სა და ეკონომიკურ ზრდას შორის. მაშინ, როცა მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესების ძირითადი წყარო მისი შემოსავალია შესაბამისად ეკონომიკური ზრდაა, მაგრამ ეკონომიკა იზრდება, თუ ქვეყანაში საქონელი და მომსახურება იწარმოება, ამ შემთხვევაში წარმოებიდან შემოსავლების ზრდა არაა და ქვეყანაში უმუშევრობის დონე 32%-ს აღწევს საინტერესოა რის საფუძველზე ხდება ზრდა. კერძოდ, 2023 წელს მშპ შეადგენს 79,35, ხოლო 2021 წელს 60,0-ს. შესაბამისად, ეკონომიკური ზრდა 2023 წელს შეადგენს 6,5%, როცა 2021 წელს იგივე მაჩვენებელი 10,5%-ია. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე მშპ დაბალია და ეკონომიკური ზრდა მაღალი. ე.ი. უკუპროპორციულ კავშირში ყოფილა, არადა ეკონომიკაში მშპ-ს ზრდა ერთადერთი საიმედო და მდგრადი გზაა ეკონომიკის ზრდის. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკონომიკური ზრდა არა საქონლის წარმოებიდან და მომსახურებიდან, არამედ ფასების ზრდითაა გამოწვეული.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრიორიტეტები საქართველოში მრავალმხრივია, რომელიც ითვალისწინებს სიღარიბის შემცირებას, რეგიონულ გაუმჯობესებასა და საჯარო სერვისების მიწოდების გაუმჯობესებას. ახალ 2023 წლის ანგარიშში ნათქვამია, რომ “გასულ წელს ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ საქართველომ უფრო მდგრადი განვითარების გზები უნდა ეძებოს” [www.adb.org]. საქართველოს ეკონომიკამ ზრდის მაგივრად 3,9%-იანი ვარდნა, 12%-იანი ინფლაცია და 2,7%-იანი ბიუჯეტის დეფიციტი განიცადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლოგიკურია კითხვა: რატომ უნდა გვადეღვებდეს შემოსავლების უთანასწორობა? პასუხი ერთია, რომ ადამიანებს უნდა შეეძლოთ თავიანთი შრომიდან მიიღონ მეტი სარგებლიანობა და კეთილდღეობა. ვინაიდან ცოცხალი ორგანიზმია და არსებობისთვის სჭირდება საკვები, საყოფაცხოვრებო ნივთები, განათლება, ჯანმრთელობა და სხვა სოციალური მომსახურება. მაშინ, როცა ხდება შემოსავლების უთანასწორო გადანაწილება და საარსებო მინიმუმსაც ვერ იღებს, რა თქმა უნდა, პირდაპირი მნიშვნელობით ჩნდება პოლიტიკური მღელვარება, რაც მომავალში უკვე წინაპირობაა ქვეყანაში ეკონომიკის ზრდის დაბალი მაჩვენებლისა და არასტაბილურობისა.

ბოლო პერიოდში ქვეყნების უმეტესობაში შემოსავლების გადანაწილების უთანასწორობა შეინიშნება. გამონაკლისი არც საქართველოა, პრობლემა ასიათასობით ადამიანს ეხება, ვინაიდან მათი შემოსავალი გარკვეული დონის ქვემოთაა, რომელსაც სიღარიბის რეალურ მდგომარეობას ასახავს. ქვეყნის ეკონომიკის ზრდის უარყოფითი ტენდენციის მიუხედავად მთლიანი შიდა პროდუქტი 2023 წელს ერთ სულ მოსახლეზე 21574,9 ათ. ლარს ლარს შეადგენდა, რაც წინა 2022 წლის 19625,6 მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 1949,3-ით. მთავარი პრობლემად მაინც რჩება შემოსავლების უთანაბრო გადანაწილება, ვინაიდან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემების საფუძველზე, ჯინის კოეფიციენტი მერყეობს 0,41- 0,58 შორის. ეს შეესაბამება ისეთ ქვეყანას, როგორც არის ანგოლა და ჰაიტი. უთანასწორობის შედეგი ღარიბი და მდიდარი ადამიანების გამიჯვნაა საზოგადოებაში. კერძოდ, შემოსავლების განაწილების პოლიტიკა არა მარტო სოციალური შედეგების გასაუმჯობესებლად, არამედ ეკონომიკური ზრდის შენარჩუნების მიზნითაც უნდა განხორციელდეს. სიღარიბის დონე და შემოსავლების უთანაბრო განაწილება ერთმანეთს ორი ძირითადი მიზეზის გამო უკავშირდება:


1. შემოსავლები არ ნიშნავს მოხმარებას. მაშინ, როცა სიღარიბე შემოსავლების მიხედვით ითვლება;

2. შემოსავლების უთანაბრო განაწილებაში შედის, როგორც სიღარიბის ზღვარს მიღმა, ისე სიღარიბის ზღვარს ზემოთ მყოფი შინამეურნეობების შემოსავლები.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ეტაპზე საქართველოში სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრო გადანაწილება საკმაოდ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. მიზეზი სხვადასხვა არსებობს. კერძოდ გამოწვევაა: დაბალი ხელფასები და მაღალი გადასახადები, ინფლაცია და მთავარი

პრობლემა უმუშევრობა. დახმარების სერვისების თვალსაზრისით ბევრია ხარვეზი. განსაკუთრებით დაბალია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მიზნობრივი სოციალური დაცვის და მომსახურების სფერო. (იხ. დიაგრამა N3) 2023 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ ქალაქად მოსახლეობის 12,1% და სოფლად 23,1%-ცხოვრობს. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით შემცირებულია ქალაქად უმნიშვნელო 0,02%-ით და სოფლად კი გაზრდილია 2,5%-ით.

დიაგრამა N3



წყარო: საქსტატი

სიღარიბე ეს არის მდგომარეობა, როცა ადამიანი, როგორც ფინანსურ, ისე მატერიალურ და სოციალურ ნაკლებობას განიცდის. მის აღმოსაფხვრელად საქართველოში მრავალი უშედეგო რეფორმა გატარდა და სოლიდური თანხებიც დაიხარჯა. თუმცა სიმწვავის მიხედვით საერთო სურათი არ შეცვლილა. სიღარიბის დონის შესამცირებლად მთავრობამ სოციალური ტრანსფერები გამოიყენა, მაგრამ როცა ქვეყანაში მოსახლეობის ქალაქად 23 და სოფლად 12 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმაა. უკიდურესი სიღარიბე იზომება იმ ადამიანების მიხედვით, რომელთა დღიური თანხა 5 ლარზე ნაკლებია (1,9 აშშ. დოლარი). აღნიშნული ფულადი დახმარებით იგი მხოლოდ მინიმალურ საარსებო პირობებითაც ვერ კმაყოფილდება. უფრო მეტად საყურადღებოა იმ ოჯახების მდგომარეობა, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის წევრი ჰყავთ, რადგან მათ უფრო მეტი ხარჯის გაწევა უწევთ და ფაქტიურად სიღატაკის რისკის ქვეშაა. მნიშვნელოვანია ასევე ისიც, რომ პენსიის სოციალური დახმარების ფუნქციაც ეკონომიკურით იცვლება.

ეკონომიკაში შემოსავლების უთანასწორობის მთავარ ინდიკატორად ჯინის კოეფიციენტი მიჩნეული, რომელიც 0-სა და 1-ს შორისაა და მეტ უთანასწორობას მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს. უთანასწორობა მაღალია განსაკუთრებით არასტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემების მიხედვით საქართველოში ყველზე მდიდარი 10%-ი მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავალი 18-ჯერ უფრო მეტად აღემატება, ქვედა ფენაში მყოფ მოსახლეობის მიერ მიღებული შემოსავლის. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შემოსავლების 50%-ის განაწილება სახელმწიფოს მიერ იმართება, მოსახლეობა მაინც კმაყოფილია ცხოვრების მაღალი დონით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციაში[georgia.unwomen.org] „არა სიღარი-



ბეს“ აღნიშნულია, რომ 2030 წლისთვის სიღარიბეში მყოფი ყველა ადამიანი უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი უფლებებით ეკონომიკურ რესურსებთან მიმართებაში.

ხმოვანფუძიან სახელებს სახელობითის ნიშნად დაერთვის -ი- მაშინ, როცა სახელი ერთმარცვლიანია: ძმაი, ხმაი...ამ მოვლენის განვითარების საფეხური უნდა ყოფილიყო დიფთონგიზაციის პროცესი, კერძოდ, -ეი- კომპლექსი. რომელსაც დღესაც ვხვდებით ქვემოიმერულში: „ბადანიე“... ამრიგად, თუ ქვემოიმერულში -ი- სრულმარცვლიანია, მას ძალუძს წინა -ე-ს -ი-დ ქცევა, ხოლო თუ ამ პროცესს ადგილი არ აქვს, საეჭვოა მისი სრულმარცვლიანობის საკითხი. ამ მოვლენის განვითარების მომდევნო საფეხური უნდა ყოფილიყო ის, რომელიც სალიტერატურო ქართულმა ენამ (საერომ) განვლო ჯერ კიდევ XII-XIII საუკუნეებში<sup>4</sup> აქ საუბარია დიფთონგის დაშლის პროცესზე: „სტაქანი რა იყო, სანთელი სა იყო-ბადიე იყო“, მაგრამ განვითარების პროცესი ქვემოიმერულში უფრო შორსაც მიდის და მოგვეპოვება, ერთი მხრით, ისეთი ფაქტები, როგორიცაა: მამიდე, დეიდე..., მეორე მხრით: კალიი, ბაჭიი...ასიმილაციის ეს (იე-იი) პროცესი დღესაც მოქმედია ქვემოიმერულში, სადაც ისმის: კერიე-გალიი.

ხმოვანთა სინტაგმატურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქვემოიმერულში, მთელი ენობრივი სისტემის მსგავსად, ერთი მორფემის ფარგლებში არ რეალიზდება არც ერთ პოზიციაში. ამდენად, ქვემოიმერულის მონაცემები ადასტურებს ქართული ენის ფონემატური სტრუქტურისათვის გამოყვანილ წესს, ერთი მორფემის ფარგლებში ქართულისათვის უცხოა ხმოვანთა თანმიმდევრობა, რამდენადაც ქვემოიმერული დიალექტის ლექსიკაში რეალიზებული კომპლექსები ან ნასესხებ ლექსიკაში დასტურდება, ან ექსპრესიულ სიტყვებში ან მორფემათა ზღვარზე.

თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი ქვემოიმერულში კიდევ ერთხელ ადასტურებს ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის ძირითად წესს, რომ ქართულისათვის ძირეულია მზარდი ნაპრალოვნების კომპლექსთა რეალიზება ერთი მორფემის ფარგლებში. სამ და ოთხწევრა თანხმოვანთკომპლექსები ქვემოიმერულშიც მზარდი ნაპრალოვნობისაა.

ქვემოიმერულში სახელთა ბრუნება ვარიანტებს არ გვაძლევს. ცვლილებები, რომლებმაც ბრუნების პროცესში განსხვავებული შედეგი მოგვცა ფონეტიკური ხასიათისაა.

დიალექტში მიმდინარე ფონემატურ ცვლილებებს განვიხილავთ, როგორც ენის ფონემატური სტრუქტურის მორფოლოგიურ და ზოგჯერ სინტაქსურ სტრუქტურაზე ზეწოლის შედეგს. ამ თვალსაზრისით ბგერათცვლილება ორ ტიპად შეიძლება დაიყოს: ფონემატური სტრუქტურით განპირობებული და განუპირობებელი ცვლილებები. საგულისხმოა, რომ ნორმებითა და დამწერლობით შეუზღუდავი ქვესისტემა (მოცემულ შემთხვევაში ქვემოიმერული დიალექტი) უპირატესობას ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნებს ანიჭებს და სალიტერატურო ენისგან განსხვავებით მოქმედების ფართო ასპარეზს უთმობს მას, რაც თავის მხრივ საშუალებას უქმნის ფონე-

<sup>1</sup> Г. КЛИМОВ скланение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте ,1962, გვ.66

<sup>2</sup> თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976, გვ 20

<sup>3</sup> ქ. ძოწენიძე, ქვემოიმერული კილოკავი, 1954, გვ.

<sup>4</sup> არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942წ, გვ. 75-80

მატურ წესებს შეიჭრან მორფოლოგიასა და სინტაქსის სტრუქტურებში და გამოიწვიონ მთელი რიგი ფონეტიკური ცვლილებები.

### გამოყენებული ლიტერატურა:

---

1. გ.ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 1949.
2. ფ.ერთელიშვილი, სახელურ ფუძეთა ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში.
3. Г. КЛИМОВ скланение в картвельских языках в сравнительно-историческом аспекте, 1962.
4. თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, 1976.
5. ა.შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973.
6. არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942წ.
7. ე. ძოწენიძე, ზემოიმერული კილოკავი, 1954.

**Tea Lortkipanidze**  
*New Higher School-Nyuuni*  
*Affiliated Professor*

## **ANALYSIS OF THE MORPHONOLOGICAL PROCESSES OF THE SUBLIMINAL**

### **Abstract**

In this paper, we aimed to investigate the phonemic structure of the Sub-Imer dialect and, based on this, to analyze the morpho-phonemic changes within the dialect. Our analysis of the data from the sub-unit Kilokav, including the finer dialectal units within it and other kilo-words in the Georgian language, provides significant insights into the general trends of changes in the sound system. The examination of root morphemes in Kvemoimeruli confirmed the prevailing view that three-syllable stems are not historically characteristic of Georgian. Nearly all of the main syntactic features were revealed in Kvemoimeruli, and we consider the current phonetic changes in the dialect to be the result of pressures on the morphological and sometimes syntactic structure of the phonemic system of the language.

### **Analysis of Morphological Processes of Kvemoimeruli**

In addition to the literary language, the language system encompasses dialects, which essentially represent subsystems of the language. Studying dialects is crucial for determining the general regularity of language development and for revealing the internal structure of the language.

Dialectal variation is marked by a relative freedom of phonetic transformations. Unlike literary language, which operates under restrictive conditions, dialects are less constrained. Thus, the direction and trends of phonetic changes observed in dialects often offer valuable insights into the phonetic structure of the language.

Among the Georgian language dialects, Imeruli is one of the largest units, covering a wide area and including three main dialects that exhibit notable differences. Scientific study of Georgian dialects, including Kvemoimeruli, began in the early 20th century. Additionally, foreign-origin words appearing in the literary language are mostly recorded in writing, whereas in dialects, they are encountered orally. This oral tradition allows these words to be adapted to the Georgian form under the influence of the phonetic structure of the Georgian language, a process illustrated by ongoing phonetic changes in such words. Therefore, studying dialects is essential for understanding the global structure of the linguistic system.

The Georgian language boasts a rich variety of dialects, which reveal patterns of linguistic coincidence and difference. Analyzing these patterns helps us understand the possibilities and realizations of language. A detailed examination of phonetic and morphological features and changes in the Sub-Imer dialect highlights its unique position among the dialects of the Georgian language and its role.

Dialectal study is an endless source of research. Although exhaustive study is impossible, we have identified the main characteristics of Sub-Imer speech. Observing living speech, distinguishing and characterizing linguistic features of ancient written monuments, and comparing them with modern materials allow us to determine the phonetic and lexical features of the dialect.

The importance of studying Georgian dialects extends beyond theoretical interests; it also helps explain historical events and their functions. Analyzing Kvemoimerian speech, both in comparison to literary Georgian and other Georgian dialects, provides valuable insights. Morphological analysis of Kvemoimerian involves exploring the genesis of its peculiarities, the variety and fragmentation of characteristic forms, which have deep historical roots. Specifically, the presence of two-part, three-part, and four-part consonant



complexes in the anlaut, inlaut, and auslaut of words confirms the current view that “three-syllable stems are not historically characteristic of Georgian.” Some stems in the Georgian material are trisyllabic because names have been formed from monosyllabic stems through various affixes, resulting in their fossilized forms.<sup>11</sup>

It is known that when foreign vocabulary is incorporated into Georgian, it generally undergoes influence from the Georgian phonetic structure. In many cases, this influence leads to phonetic transformations that align the foreign words with Georgian phonetic norms. For example, M. Andronikashvili in his work “Essays on the Iranian-Georgian Language Relationship” discusses the transformation of foreign words such as “Bortsvi” and “Rat,” where the complex “tkh” is adapted to create a harmonious “tkh” complex.<sup>2</sup>

Regarding the rotation of names, historical documents confirm the features observed in modern Umerian speech. Historical rotations of names do not always align with the current forms in Umerian speech, where certain forms participate in what A. Shanidze refers to as “interverbal relationships.”<sup>3</sup>

2. G. Akhvlediani, *Basics of general phonetics*, 1949. p. 260

3. A. Shanidze, *Basics of Georgian Grammar*, 1973, p. 44

Rotational formants have evolved from ancient Georgian to the present-day modern (literary language and dialects). The presentation of rotational formants varies based on the names’ bases. In both singular and plural forms, the differences are evident in consonant-based and vowel-based infinitive and imperative nouns. According to Klimov, the special sign of subject-object (“nominal”) rotation predates the sign of subjective rotation.<sup>4</sup> This is based on the fact that the forms of narrative rotation in Georgian languages developed separately after their differentiation. In Georgian, the narrative suffix “-man” is relatively new and demonstrative, and its absence in older texts is evident, with proper names sometimes having the nominative suffix “-i” instead.<sup>5</sup>

4. G. KLIMOV declension in Kartvelian languages in comparative-historical aspect, 1962, p. 66

5. T. Uturgaidze, *Phonemic structure of the Georgian language*, 1976, p. 20

Names with final vowels in sub-numeral contexts, particularly in open constructions, often have “-i” as a nominative sign, a feature still present today.<sup>6</sup> In some sub-numerals, the “-i” sound retains its fullness even in the following vowel position, for example: “deide” < “deidei” < “deido.” Forms such as “deide,” “dane,” and “mamide” result from the assimilation of the nominative “-i” on the root vowel. Retaining the full vowel of “-i” indicates that forms like “mother,” “danai,” and others are newly formed rather than remnants of an older system where the nominal “-i” vowel did not follow regular weakening patterns.

Vowel-based names, when monosyllabic, were joined with “-i” as a nominative sign (e.g., “brother,” “voice”). The development of this process likely involved diphthongization, specifically the “-ey-” complex.

6. st. Dzotsenidze, *Zemoimeruli Kilokavi*, 1954, p. 159

If “-i” remains a full syllable in lower vowels, it can convert the preceding “-e” into “-i.” If this process does not occur, the full-syllable status of “-i” is questionable. The next stage of this development, seen in the literary Georgian language as early as the 12th-13th centuries<sup>7</sup>, involved the disintegration of diphthongs: “What was the glass, what was the candle, where was the net.” This process continues in the lower forms of Georgian, evident in both archaic and modern examples such as “aunt” and “uncle” compared to “kalii” and “bachii.” This assimilation process is still active today in Kvemoimeruli, where forms like “kerie-galii” are heard.

Syntagmatic analysis of vowels in Kvemoimeruli shows that, similar to the overall linguistic system, one morpheme is not realized in every position. This confirms that the phonemic structure of Georgian does not typically allow for sequences of vowels within a single morpheme, as seen in Kvemoimeruli vocabulary.

7. Arn. Chikobava, *the ancient structure of the root of the name in Kartvelian languages*, 1942, p. 75-80

Syntagmatic analysis of consonants in Kvemoimeruli further confirms the fundamental rule of the Georgian phonemic structure: the realization of increasing fissure complexes within a single morpheme is

1 F. Erthelishvili, *issues of phonemic structure and history of nominal stems in Georgian*, 1980, p. 130)

a core characteristic of Georgian. The rotational forms of names in sub-numeral contexts do not present multiple options. The changes observed in the rotation process are phonetic in nature.

We consider the ongoing phonemic changes in the dialect to be the result of pressure on the morphological and sometimes syntactic structures of the language. From this perspective, sound changes can be classified into two types: changes caused by the phonemic structure and unconditioned changes. Unlike the literary language, dialects provide a broader field for these changes, allowing phonemic rules to influence morphological and syntactic structures and resulting in a variety of phonetic modifications.

### References

- 
1. G. Akhvlediani, *Basics of General Phonetics*, 1949.
  2. F. Erthelishvili, *Issues of Phonemic Structure and the History of Nominal Stems in Georgian*.
  3. G. Klimov, *Declension in Kartvelian Languages in a Comparative-Historical Aspect*, 1962.
  4. T. Uturgaidze, *Phonemic Structure of the Georgian Language*, 1976.
  5. A. Shanidze, *Basics of Georgian Grammar*, 1973.
  6. Arn. Chikobava, *The Ancient Structure of the Root of the Name in Kartvelian Languages*, 1942.
  7. St. Dzotsenidze, *Upper Kilokave*, 1954.

**ზურაბ სანადირაძე**  
ფილოლოგიის მაგისტრი,  
ახალი უმაღლესი სასწავლებელი – ნიუნიის  
ასისტენტ-პროფესორი

**ირინე არჯევანიძე**  
ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი

## ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ასპექტები და თანამედროვე რეალიები საქართველოში

### ანოტაცია

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, შესწავლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა უცხოელებისა და არაქართული მოსახლეობისთვის. ამ პროცესში უმთავრესი ყურადღება ეთმობა ენის უნიკალურ მახასიათებლებს, როგორცაა ქართული ენის ნაწილობრივ აგლუტინაციური სტრუქტურა, შედარებით რთული გრამატიკა, ფონეტიკური თავისებურებები და ორიგინალური ანბანი. სწავლების პროცესი მოითხოვს ინოვაციური მიდგომების გამოყენებას, როგორცაა კომუნიკაციური მეთოდები, მულტიმედიური რესურსები და კულტურული ჩართულობა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენის პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ სიტუაციებში, როგორც თამაშებისა და დიალოგური პრაქტიკის მეშვეობით.

ქართული ენის შესწავლის ეფექტიანობა მეტწილად დამოკიდებულია სწორ მეთოდოლოგიაზე და ენობრივ გარემოზე, რაც ეხმარება ენის შემსწავლელს არა მხოლოდ ენის ტექნიკურ შესწავლაში, არამედ მისი კულტურული მნიშვნელობის გააზრებაში.

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ენა, მეორე ენა, გრამატიკა, ანბანი, კომუნიკაციური მეთოდები, კულტურული ჩართულობა, სწავლების მეთოდოლოგია.

### ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების ასპექტები და თანამედროვე რეალიები საქართველოში

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, შესწავლა მნიშვნელოვანი გამოწვევაა უცხოელებისა და არაქართული მოსახლეობისთვის. ამ პროცესში უმთავრესი ყურადღება ეთმობა ენის უნიკალურ მახასიათებლებს, როგორცაა ქართული ენის ნაწილობრივ აგლუტინაციური სტრუქტურა, შედარებით რთული გრამატიკა, ფონეტიკური თავისებურებები და ორიგინალური ანბანი. სწავლების პროცესი მოითხოვს ინოვაციური მიდგომების გამოყენებას, როგორცაა კომუნიკაციური მეთოდები, მულტიმედიური რესურსები და კულტურული ჩართულობა.

აღნიშნული საკითხი საკმაოდ აქტუალურია თანამედროვე საქართველოში, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ქვეყანაში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ და ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება მათი ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ქართული ენის, როგორც მეორე ენის, სწავლების თემა მოიცავს მრავალფეროვან შინაარსობრივ ასპექტებს, რომლებიც თანამედროვე რეალობებსა და გამოწვევებს დაფუძნებული.

ქართულს, როგორც მეორე ენას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოში

მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან კომუნიკაციისთვის, ასევე, მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ინტეგრაციისთვისა და პირადი განვითარებისათვის. ამ პროცესში სწავლების მეთოდები, რესურსები და საგანმანათლებლო პოლიტიკა გადამწყვეტ როლს ასრულებს.

### **ენობრივი პოლიტიკა და ინტეგრაცია:**

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლება საქართველოში მოითხოვს კომპლექსურ და თანამედროვე მიდგომებს. აუცილებელია სახელმწიფოს, პედაგოგებისა და საზოგადოების თანამშრომლობა, რათა ქართული ენა იყოს არა მხოლოდ სასწავლო საგანი, არამედ ყოველდღიური ინტეგრაციის საშუალება. სწორი პოლიტიკა და სწავლების ინოვაციური მეთოდები ხელს შეუწყობს სახელმწიფოს შიგნით ეთნიკური მრავალფეროვნების ჰარმონიულ თანაარსებობას. [2]

ქართული ენა საწინდარია სახელმწიფოებრივი ერთიანობისა – საქართველოში, სადაც ცხოვრობს სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი, როგორცაა: სომხები, აზერბაიჯანელები, ოსები, აფხაზები და სხვანი, ქართული ენა წარმოადგენს ერთიანი კომუნიკაციისა და ბალანსირების ინტეგრაციის ძირითად წყაროს. იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსახლეობას შორის შემაკავშირებელი ხიდის შექმნაში, რადგან ენის ცოდნა უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფის წევრებისთვის საზოგადოების სრულფასოვან წევრობაში ჩართვას.

ქართული ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის არამარტო ენის ცოდნის გაძლიერებას გულისხმობს, არამედ ეს ხელს უწყობს ეროვნულ თანასწორობასა და სამოქალაქო ცნობიერების ზრდას. [3]

**ქართული ენა, როგორც კულტურული იდენტობის საშუალება – ქართული ენა არამხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ საქართველოს უნიკალური კულტურული იდენტობის მატარებელიცაა. ეს უძველესი ენა დაკავშირებულია ქვეყნის ისტორიასთან, ხალხის ტრადიციებთან და კულტურულ მემკვიდრეობასთან. ჩვენს მრავალფეროვან ქვეყანაში ქართული ენა მძლავრი იარაღია კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნებისთვის.**[5]

**სახელმწიფო ენა ასრულებს საგანმანათლებლო ფუნქციასაც, რომელიც ხელს უწყობს ქართველი და არაქართველი ენის შემსწავლელთა შორის კავშირს, ცოდნის გაზიარებასა და საერთო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადოების შექმნას.**

მნიშვნელოვანია ქართული ენის შესწავლა უცხოელთათვის. ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პერსპექტივები საქართველოსა და უცხოეთში განიხილება სხვადასხვა ასპექტიდან. როგორც ქვეყნის საერთო-სახალხო ეროვნული ენა, ქართული ენა ძირითად როლს ასრულებს, როგორც ეთნიკური მრავალფეროვნების გადალახვისა და ეროვნული ერთიანობის მიღწევის ხელშემწყობი. მიმდინარე ტენდენციები და მომავალი პერსპექტივები მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

➤ საქართველოში ქართული ენის სწავლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ რეგიონებში, როგორცაა: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი და კახეთი. აღნიშნულ რეგიონ(ებ)ში ქართულ ენაზე კომუნიკაცია და განათლების მიღების პროცესში ხშირია დაბრკოლებები. ამიტომ სახელმწიფო პოლიტიკა და სახელმწიფო პროგრამები, მაგალითად, როგორცაა „**ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა**“, რომელშიც ამჟამად აქტიურად არიან ჩართულნი პედაგოგები და ცდილობენ მსურველთათვის დახმარების გაწევას, მათი მეშვეობით უნდა გაიზარდოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა კომუნიკაციური და კულტურული ინტეგრაცია.

➤ სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული ინიციატივები ხელს უწყობს არაქართულენოვანი მოქალაქეების სოციალურ და პროფესიულ გარემოში სრულფასოვანი ჩართვის პროცესებს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, სხვადასხვა რეგიონში მყოფი ენთუზიასტი მასწავლებლების მიერ შეთავაზებული ვაკანსიები და გადამზადების პროგრამები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ მიმართულებით.[3]

აუცილებლად აღსანიშნია ის ფაქტიც, რომ – ქართული ენის განვითარების გეოგრაფია შედარებით მცირე დიაპაზონშია, ვიდრე სხვა საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ენებისა, მისდამი ინტერესი საერთაშორისო აკადემიურ წრეებისა და უცხოელების მხრიდან კვლავაც იზრდება. სტუდენტებისა და მკვლევრების ჯგუფი, რომლებიც დაინტერესებული არიან ქართული ენის ისტორიითა და მისი შესწავლით, ასევე, საქართველოს კულტურისა და ისტორიით. ეს ყოველივე ხაზს უსვამს ქართული ენის საკვანძო მნიშვნელობას ჩვენს ტერიტორიულ არეალში.

### დასკვნა

ქართულის, როგორც მეორე ენის, სწავლების პერსპექტივები გულისხმობს მნიშვნელოვან რეფორმებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებასა და უცხოელთა მხრიდან ინტერესის გაზრდას. მისი წარმატებული განხორციელება გააუმჯობესებს/დახვეწს სახელმწიფოს მიზნებს ეთნიკური მრავალფეროვნების მართვასა და ქართული ენისა და დამწერლობის საზღვარგარეთ პოპულარიზაციაში.

### გამოყენებული ლიტერატურა და სხვა რესურსი:

1. **ეროვნული სასწავლო გეგმა** – <https://www.mes.gov.ge/content.php?id=3929&lang=geo> (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №40/ნ 2016 წლის 18 მაისი, ქ. თბილისი)
2. განათლების სექტორის მიმოხილვა, ეთნიკური უმცირესობების და სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების გამოწვევების იდენტიფიცირება – [https://idfi.ge/ge/overview\\_of\\_the\\_education\\_sector\\_and\\_identification\\_of\\_challenges\\_faced\\_by\\_ethnic\\_minorities\\_and\\_socially\\_vulnerable\\_groups](https://idfi.ge/ge/overview_of_the_education_sector_and_identification_of_challenges_faced_by_ethnic_minorities_and_socially_vulnerable_groups) IDFI ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბ., 2024
3. საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპული ჩარჩო კონვენციის 25-ე მუხლის პირველი პარაგრაფის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა, 2007
4. ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკური ანალიზი, ბოკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, თბ., 2008
5. პროექტი „საქართველო, როგორც მრავალეთნიკური და მრავალფეროვანი ქვეყანა“, თბ., 2023

**Zurab Sanadiradze**  
Master of Philology,  
New Higher Education Institute – Newuni  
Assistant Professor

**Irine Arjevanidze**  
Doctor of Philology,  
Professor

## ASPECTS AND CONTEMPORARY REALITIES OF TEACHING GEORGIAN AS A SECOND LANGUAGE IN GEORGIA

### Abstract

Learning Georgian as a second language is a significant challenge for foreigners and non-Georgian populations. In this process, the main attention is paid to the unique characteristics of the language, such as the agglutinative structure of the language, complex grammar, phonetic features and original alphabet. The teaching process requires the use of innovative approaches, such as communicative methods, multimedia resources and cultural engagement.

Special attention is paid to the practical use of the language in real situations, through role-playing and dialogic practice.

The effectiveness of learning the Georgian language largely depends on the right methodology and language environment, which helps language learners not only in the technical study of the language, but also in understanding its cultural significance.

**Keywords:** Georgian language, second language, grammar, alphabet, communication methods, cultural engagement, teaching methodology.

### Aspects and Contemporary Realities of Teaching Georgian as a Second Language in Georgia

This issue is highly relevant in modern Georgia, especially considering the multicultural population and the role of teaching Georgian as a second language as a vital aspect of integration.

The topic of learning Georgian as a second language encompasses diverse aspects based on contemporary realities and challenges. Georgian, as a second language, is particularly important for fostering communication and integration for ethnic minorities living in Georgia, as well as for their personal development. In this process, teaching methods, resources, and educational policies play a decisive role.

#### Linguistic Policy and Integration

Teaching Georgian as a second language in Georgia requires comprehensive and modern approaches. Collaboration between the state, educators, and society is essential to make Georgian not just a subject of study but a tool for everyday integration. Proper policies and innovative teaching methods can promote harmonious coexistence within the country's ethnic diversity. **【2】**

Georgian serves as a cornerstone of national unity. In a country home to various ethnic groups—such as Armenians, Azerbaijanis, Ossetians, and Abkhazians—Georgian acts as a primary medium for communication and integration. Knowledge of Georgian ensures that individuals from different groups can fully participate in society.

Teaching Georgian to ethnic minorities not only enhances language proficiency but also promotes national equality and civic consciousness. 【3】

### **Georgian language as a means of cultural identity**

The Georgian language is not only a means of communication but also a carrier of Georgia's unique cultural identity. This ancient language is deeply intertwined with the country's history, traditions, and cultural heritage. In a multiethnic country, Georgian serves as a powerful tool for preserving and maintaining cultural diversity. 【5】

The state language also performs an educational function, which promotes communication between Georgian and non-Georgian language learners, knowledge sharing, and the creation of a common state society.

### **The Importance of Learning Georgian for Foreigners**

The prospects for teaching Georgian as a second language in Georgia and abroad are considered from various aspects. As the common national language of the country, the Georgian language plays an important role in overcoming ethnic diversity and achieving national unity. Current trends and future prospects include the following main directions:

#### **The Importance of Learning Georgian for Foreigners**

Teaching Georgian as a second language offers significant prospects both in Georgia and abroad. As the nation's official language, Georgian plays a crucial role in bridging ethnic diversity and achieving national unity. Current trends and future directions include the following key areas:

➤ In Georgia, teaching the Georgian language is particularly important for ethnic minorities living in regions such as Kvemo Kartli, Samtskhe-Javakheti and Kakheti. In these regions, communication and education in Georgian are often hampered. Therefore, state policies and state programs, such as "Teaching Georgian as a Second Language", in which teachers are currently actively involved and trying to provide assistance to those who wish, are aimed at increasing the communicative and cultural integration of representatives of ethnic minorities.

➤ Support from the State and International Organizations: Initiatives from the Georgian government and international organizations aid in the full inclusion of non-Georgian-speaking citizens in social and professional environments. Job offers and retraining programs from the Ministry of Education, Science, and Youth of Georgia, along with dedicated teachers in various regions, play a significant role in this direction. 【3】

It is also important to note that the geographical scope of the Georgian language is relatively limited compared to other internationally significant languages. Nevertheless, interest in it continues to grow among international academic circles and foreigners. Groups of students and researchers are particularly interested in the history of the Georgian language and culture, emphasizing its pivotal importance in the region.

### **Conclusion**

The prospects for teaching Georgian as a second language involve substantial reforms, the use of modern technologies, and an increase in interest from foreign learners. Its successful implementation will enhance the state's goals in managing ethnic diversity and promoting the Georgian language and script internationally.



**References and Resources:**

1. National Curriculum: Ministry of Education and Science of Georgia (Order №40/N, May 18, 2016, Tbilisi).
2. Overview of the Education Sector and Identification of Challenges Faced by Ethnic Minorities and Socially Vulnerable Groups: IDFI – Institute for Development of Freedom of Information, Tbilisi, 2024.
3. Georgia’s First Report on the Framework Convention for the Protection of National Minorities, Georgian Government, 2007.
4. Policy Analysis on Civil Integration of Ethnic Minorities, BPPP Policy Research Group, Program for Ethnic Minorities, Tbilisi, 2008.
5. Project “Georgia as a Multiethnic and Diverse Country”, Tbilisi, 2023.



## მარინე დონგუზაშვილი

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნიის  
ასოცირებული პროფესორი

## პარიზის, როგორც მოდერნისტული ქალაქის პარადიგმა ფრენ- სის სკოტ ფიცჯერალდის პროზაში

### ანოტაცია

ურბანისტულ მოდელებს, რომელიც მოდერნიზმის ერთ-ერთ უაღრესად საინტერესო კონცეპტს წარმოადგენს უცხოურ ლიტერატურაში, აქტიურად იკვლევენ.

პარიზს ასეთ მოდელებში განსაკუთრებული ადგილი უკავია. სხვადასხვა ავტორების მხრიდან იგი ხან „განუყრელ დღესასწაულთანაა“ შედარებული, ხანაც, „ჯაზის საუკუნის ბაბილონად“ მოიხსენიება.

ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის ნაშრომებში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მოდერნისტული ქალაქის კონცეპტი. პარიზი, რომელიც წარმოდგენილია როგორც, ქალაქი ბოჰემა, პერსონაჟისეული აღქმითაა ამოხატული ლიტერატურის ამ სრულიად შეუდარებელ ნიმუშებში.

**საკვანძო სიტყვები:** პარიზი, მოდერნიზმი, პარადიგმა.

### პარიზის, როგორც მოდერნისტული ქალაქის პარადიგმა ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის პროზაში

ამერიკული კრიტიკის შეფასებით, ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის პიროვნებაში, როგორც ყოველ გამორჩეულ მწერალში, იყო რაღაც განსაკუთრებული. მან სახელი მისცა ეპოქას – ჯაზის საუკუნე, იხილა მისი დაბადება და იცხოვრა ამ სივრცეში.

რუსი მკვლევარი ა. დოლინინი მიმოიხილავს მეოცე საუკუნის დასაწყისის ამერიკული ნოველისტიკის განვითარების ყველაზე არსებით მომენტებს და აღნიშნავს, რომ ე. წ. მცირე ფორმას ხარკი ლამის ყოველმა მწერალმა გადაუხადა, თუმცა ჟანრის დიდოსტატებად მხოლოდ ფრენსის სკოტ ფიცჯერალდი, ერნესტ ჰემინგუეი, უილიამ ფოლკნერი და ქეთრინ ენ პორტერი იქცნენ.

მოდერნისტული პარიზის პარადიგმა უაღრესად აქტუალურია ქართველ ავტორთა შემოქმედებამდე. ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ პაოლო იაშვილის „ევროპა“, კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „დიონისოს ღიმილი“, ან ანტიციპაციური ლექსი – „პარიზი 1919 წელს“.

პარიზი (უფრო კონკრეტულად კი მისი ენიგმა – ეიფელი) გამსახურდიასთვის ბაბილონია (გოდოლია) – ისევე, როგორც ფრენსის სკოტ ფიცჯერალდისათვის, რომელიც სწორედ ასეთათაურებს თავის კონცეპტუალურ ნოველას – „ბაბილონში დაბრუნება.“ ფიცჯერალდისათვის პარიზი „თვალშეუდგამი სასახლეების, ღამის ბარების, ჰოტელების“ ქალაქია.

მოთხრობის სათაური ოციანი წლების კოსმოპოლიტურ პარიზს ბაბილონთან აიგივებს ორგვარი მითოლოგიური მნიშვნელობით: ბაბილონი, როგორც ენათა აღრევის ადგილი (შესაქმე, 2) და როგორც მეძავთა ღელა (გამოცხადება 17, 5)].

კრიზისის შედეგად დაცარიელებული პარიზის პერსონაჟისეულ აღქმას მწერალი განსაკუთრებულად წარმოგვიდგენს თავის ერთ ერთ ნოველაში. ჩარლზს პარიზი დაცარიელებული დახვდა, სასტუმროს ბარში ასეთი უჩვეულო სიმშვიდე უცნაურა. ეს უკვე აღარ ჰგავდა ამერიკულ ბარს – იძულებული იყავი, თავაზიანობა გამოგეჩინა, ბარის ბატონ-პატრონით ვეღარ დაიჭრდი თავს, „ისევ ფრანგულ ბარად ქცეულიყო“.

კონსტანტინე გამსახურდიაც „დიონისოს ღიმილში“, სლანსკის ეპიზოდში გამოკვეთს, რომ ათიან-ოციან წლებში პარიზის სტუმრები სწორედაც ბატონ-პატრონით იქცეოდნენ. ნამონდო-

ლარი სლანსკი იმდენსაც კი ბედავს, პარიზულ რესტორანში სავარსამიძესა და ხალილ-ბეის ქართულად სიმღერა აუკრძალოს.

როდესაც ურბანისტულ მოდელზე ვსაუბრობთ, წარმოუდგენელია მისი მიმოხილვა ღამის პანორამის გააზრების გარეშე. სწორედ ამიტომ, „ნასადილევს, შინ არ მიდის პროტაგონისტი – სურს ნახოს ღამის პარიზი უფრო ნათლად, უფრო საღი თვალით, ვიდრე წინათ“. **[ფიცჯერალდი, 2004: 133].**

ფიცჯერალდის ნოველაში ხაზგასმულია, რომ ქალაქის ყოფიდან გაქრა ტრადიციული ხელგამლილობა, ადამიანთა აბსოლუტურ უმრავლესობას საარსებო თანხაც ენატრება, რაც, ბუნებრივია, ირეკლება ყოფიერების მოდელზეც, გაბატონდება ტყუილი, თაღლითობა.

ერთ-ერთი ყველაზე იმპოზანტური გმირი, ჩარლი, თითქოს სრულიად უცხო ურბანისტულ გარემოში ხვდება. პარიზი, რჩეულ ქალაქთა შორის გამორჩეული, ერთ დროს ჩარლისთვის სამყაროს ცენტრს რომ წარმოადგენდა, სადაც შეეძლო უაზროდ და დაუფიქრებლად ეფლანგა ფული, მოპარული ველოსიპედით კი, შუალამიდან გათენებადღე, ვარსკვლავის მოედნის გარშემო ექროლა სატრფოსთან ერთად, რათა ბოლომდე შეესვა ამქვეყნიური ცხოვრების ტკბილი ნექტარი [ariliamag.ge/ქ.ტომარაძე], სადაც მეგობრების გარემოცვაში მყოფი, ალკოჰოლით გაბრუებული, ათასგვარი თავგადასავლით ავსებდა საკუთარ ცხოვრებას, პარიზში ხელახლა ჩასული, ხედავს მისთვის უსაყვარლესი ქალაქის უნიტბო სახეს, ყმაწვილკაცობის შეცდომებს, რწმუნდება, რაოდენ დიდია უაზროდ გაფლანგული დროისა და დაშვებული შეცდომების საზღაური. „ცხოვრების უღმობელი კანონი ფიცჯერალდის გმირს მხოლოდ მცირეოდენ შანსს უტოვებს, ის იდეალი განახორციელოს, რისკენაც შინაგანმა ხმამ, მწარე ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ უბიძგა“.

ამერიკული კრიტიკის შეფასებით, „ხეტიალი, კულტურული პილიგრიმოზა სკოტ ფიცჯერალდისა – ეს, იმავდროულად, უფრო ძველი, კოსმოპოლიტური პილიგრიმოზის ანარეკლია. მის საფუძველს წარმოადგენს გმირის მიერ საკუთარი დანაშაულის გაცნობიერება და მისი გამოსყიდვის სურვილი – ევმენიდეები დაუფლნენ ორესტეს და ქვეყნიდან ქვეყანაში ერეკებოდნენ“. **[Гайсмар М., 1976: 125]**

საგულისხმოა, რომ არა მხოლოდ პარიზი, არამედ მთელი „ფრანგული რივიერა ყოველთვის მიაჩნდა სკოტ ფიცჯერალდს უკანასკნელ თავშესაფრად“. **[Гайсмар М., 1976: 161]**

მაქსუელ გაისმარი წერს: „ეკონომიკურმა კრიზისმა პარიზის მარცხენა სანაპირო ქალაქ-აჩრდილად აქცია. დასრულდა ლხინი. ელეგიური ტონით მოთხრობა „ბაბილონში დაბრუნება“ მოგვაგონებს ჰემინგუის „კილიმანჯაროს თოვლიან მთას“. **[Гайсмар М., 1976: 168]**

20-იანი წლების პარიზზე საუბრისას, აუცილებლად გაგვახსენდება ერნესტ ჰემინგუის ცნობილი სიტყვები: „თუ შენ გაგიმართლა და ახალგაზრდობაში ერთხელ მაინც გიცხოვრია პარიზში, მაშინ, სადაც კი წახვალ, ის სულ თან გაგყვება მთელი ცხოვრება იმიტომ, რომ პარიზი განუყრელი დღესასწაულია“ **[ჰემინგუეი ე., 1965: 41].**

## The Paradigm of Paris as a Modernist City in the Prose of F. Scott Fitzgerald Summary

Urban models, which are one of the most interesting concepts of modernism, are actively studied in foreign literature.

Paris occupies a special place in such models. It is sometimes compared to an “indissoluble celebration”, sometimes referred to as the “Babylon of the Jazz Age” by various authors.

The concept of the modernist city is particularly prominent in the works of F. Scott Fitzgerald. Paris, presented as a city of bohemia, is portrayed through the character’s perception in these completely incomparable works of literature.

## The Paradigm of Paris as a Modernist City in the Prose of F. Scott Fitzgerald

According to American criticism, there was something special about F. Scott Fitzgerald, like every outstanding writer. He gave a name to an era – the Jazz Age, saw its birth, and lived in this space.

Russian researcher A. Dolinin reviews the most essential moments in the development of American fiction at the beginning of the twentieth century, and notes that almost every writer paid tribute to the so-called short form, although only Francis Scott Fitzgerald, Ernest Hemingway, William Faulkner, and Catherine Ann Porter became great masters of the genre.

The paradigm of modernist Paris is also highly relevant in the work of Georgian authors. Examples include Paolo Iashvili’s «Europe», Konstantine Gamsakhurdia’s novel «The Smile of Dionysus», or the anticipatory poem «Paris in 1919».

Paris (more specifically, its enigma – the Eiffel Tower) is Babylon (Godolya) for Gamsakhurdia – just like it is for Francis Scott Fitzgerald, who titled his conceptual novella «Return to Babylon» exactly like that. For Fitzgerald, Paris is a city of «incredible palaces, nightclubs, hotels.»

The title of the story identifies cosmopolitan Paris of the 1920s with Babylon in two mythological senses: Babylon as the place of confusion of languages and as the mother of harlots.

The writer presents the character’s perception of Paris, which had been emptied as a result of the crisis, in one of his novels. Charles found Paris empty, and the hotel bar was strangely quiet. It no longer resembled an American bar – you had to be polite, you couldn’t control yourself like a bar owner, «it had become a French bar again.»

Konstantine Gamsakhurdia also points out in the episode of Slansky in «The Smile of Dionysus» that in the 1910s and 1920s, guests in Paris behaved like masters. Arrogant Slansky even dares to forbid Savarsamidze and Khalil-Bey from singing in Georgian in a Parisian restaurant.

When we talk about the urban model, it is unthinkable to review it without understanding the night panorama. That is why, “the protagonist does not go home after dinner – he wants to see Paris at night more clearly, with a more sober eye than before.” [Fitzgerald, 2004: 133].

Fitzgerald’s novella emphasizes that traditional generosity has disappeared from the city’s life, the vast majority of people also lack a living wage, which, naturally, is reflected in the model of existence, where lies and fraud prevail.

One of the most imposing characters, Charlie, seems to find himself in a completely unfamiliar urban environment. Paris, a city of choice, once represented the center of the world for Charlie, where he could spend money carelessly and thoughtlessly, and on a stolen bicycle, from midnight to dawn, ride around the Place des Etoiles with his lover, in order to fully absorb the sweet nectar of worldly life [ariliamag.ge/K.Tomaradze], where, surrounded by friends, intoxicated by alcohol, he filled his life with thousands of adventures. Having returned to Paris, he sees the unmasked face of the city he loves the most, the mistakes of his youth, and becomes convinced of how great the price of wasted time and mistakes is. «The ruthless law of life leaves Fitzgerald’s character only a small chance to realize the ideal to which his inner voice, bitter life experience, has pushed him.»

According to American criticism, “the wandering, cultural pilgrimage of Scott Fitzgerald is, at the same time, a reflection of an older, cosmopolitan pilgrimage. Its basis is the character’s realization of his guilt and his desire to atone for it – the Eumenides took possession of Orestes and wandered from country to country.” [Gaysmar M., 1976: 125]

It is noteworthy that not only Paris, but also the entire “French Riviera” was always considered by Scott Fitzgerald as his last shelter. [Gaysmar M., 1976: 161]

Maxwell Gaismar writes: “The economic crisis has turned the Left Bank of Paris into a ghost town. The fun is over. In its elegiac tone, the story “Return to Babylon” reminds us of Hemingway’s “Snowy Mount Kilimanjaro.” [Gaismar M., 1976: 168]

When talking about Paris in the 1920s, we are bound to recall Ernest Hemingway’s famous words: «If you are lucky enough to have lived in Paris at least once in your youth, then wherever you go, it will follow you for the rest of your life, because Paris is an indissoluble holiday» [Hemingway E., 1965: 41].

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 
1. ფიცჯერალდი ფ. ს., თბ, 2004
  2. ჰემინგუეი ე., თბ, 1965
  3. Гайсмар Максвелл, Ф. Скотт Фицджеральд – Орест в отеле «Риц» *წიგნში* «Американские современники», М., 1976, 121-179;

## სამეცნიერო სიახლენი

ქართული პოლიტიკური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვანი შენაძენია პროფესორ **ნუკრი ხევცურიანის** ნაშრომი „**უკრაინის ფენომენოლოგია**“. ეს არის პირველი მონოგრაფია ქართულ სამეცნიერო სივრცეში, რომელიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობების დღის წესრიგის უმწვავეს პრობლემას – უკრაინის ფენომენოლოგიისა და მისი სახელმწიფოებრივი განვითარების ეტაპების ფუნდამენტური კვლევის საკითხებს. ეს თემა საკმაოდ სენსიტიურია საქართველოსათვისაც, რადგან რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა თანაბრად ეხება, როგორც გლობალურ, ასევე რეგიონულ პოლიტიკას და, მათ შორის, საქართველოსაც.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პროფესორ ხევცურიანის მიერ წარმოდგენილ კვლევას, რომლის მასშტაბური აზროვნება და რეალური დამოკიდებულება უკრაინაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების მიმართ არის ქართული და საერთაშორისო საზოგადოების სწორი ინფორმირების ერთ-ერთი მოკრძალებული ნაბიჯი.

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი ნუკრი ხევცურიანი წლებია თანამშრომლობს ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნისა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით. მან 2021 წელს ჩამოაყალიბა საქართველო-უკრაინის კვლევის ცენტრი, სადაც აქტიურად თანამშრომლობდა უკრაინის ცნობად ანალიტიკოსებთან. მისი სისტემური, გაბედული და მიზანსწრაფული ქმედებების მიზანი იყო, როგორც უკრაინის ფენომენის ემპირიული გააზრება, ასევე საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოებს შორის პოტენციური სინერგიის სფეროების პოვნა და დიალოგის მომზადება, რისი დეფიციტიც, სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საგრძნობია საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფოების ურთიერთობებში.

აღსანიშნავია, რომ კვლევა წარმოადგენს საკვლევი მთლიანი პრობლემის მხოლოდ პირველ ნაწილს, რომელშიც განსაკუთრებული მეცნიერული სიღრმითა და ორიგინალური მიდგომებითაა განხილული უკრაინელი ერის იდენტობის ფორმირების პროცესი რეტროსპექტული ანალიზის საფუძველზე და განსაზღვრულია რუსეთ-უკრაინის ომისა და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგის კორელაციის საკითხები. ამ პრობლემების ანალიზში იკვეთება ავტორის, როგორც მეცნიერის, პატრიოტისა ახალგაზრდა თაობის აღმზრდელი და დამკვალიანებელი პროფესორის პოზიცია, მისი მრწამსი და პრინციპები.

საკვლევი პრობლემის მზარდი შემეცნებითი და გამოყენებითი მნიშვნელობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილ ნაშრომს მნიშვნელოვანი დატვირთვა ექნება არა მხოლოდ სამეცნიერო-აკადემიური საქმიანობით დაკავებული ადამიანებისათვის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრისათვისაც,

**ჟურნალი „დიპლომატია და სამართლის“ სარედაქციო საბჭო**

### Scientific news

An important acquisition for Georgian political science is Professor Amiran Khevtsuriani's work «The Phenomenology of Ukraine.» It is the first monograph in the Georgian scientific space that addresses one of the most pressing issues on the international relations agenda – the fundamental research of the phenomenology of Ukraine and the stages of its state development. This topic is quite sensitive for Georgia as well, since the impact of the Russia-Ukraine war equally affects both global and regional politics, including Georgia.

In this situation, the research presented by Professor Khevtsuriani takes on particular significance. His comprehensive thinking and realistic approach to the events and processes unfolding in Ukraine represent a modest step towards properly informing both Georgian and international society.

Doctor of International Relations, Professor Amiran Khevtsuriani, has been working for years in international relations at the «Newuni» and Georgian Technical University. In 2021, he established the Georgia-Ukraine Research Center in Odesa, Ukraine, where he actively collaborated with prominent Ukrainian analysts. His systematic, bold, and determined actions aimed not only at an empirical understanding of the Ukrainian phenomenon but also at finding potential areas of synergy and preparing a dialogue between the states of Georgia and Ukraine, which, unfortunately, is currently lacking in their relations.

It is worth noting that the research represents only the first part of the broader research problem, which, with particular scientific depth and original approaches, examines the process of forming the identity of the Ukrainian people through retrospective analysis and addresses the correlation between the Russia-Ukraine war and the world political order. In analyzing these issues, the author's position as a scientist, patriot, and mentor to the younger generation is evident, along with his beliefs and principles.

Considering the growing cognitive and practical importance of the research problem, we believe that the presented work will be significant not only for people engaged in scientific-academic activities but also for the broader circle of civil society.

Editorial Board of the Journal «Diplomacy and Law»

დამკაბადონებელი  
ნანა დუმბაძე

დიზაინერი  
ირაკლი უშვერიძე



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტეკოვსკაიას ქ. 4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02  
E-mail: gamomcemlobauniversali@gmail.com; universal505@ymail.com



9 774491 265005